ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№116 (12795) 20 მაისი ოთხშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი




## ფედერაციამ და პროფლიგამ უკვე მოილაპარაკეს:

# არანაირი პროკურატურა, თამაშის ჩამწყობს კომისია დასჯის



პროკურატურისთვის საეჭვო თამაშების გადაცემა იყო იდეა, რომელსაც ფედერაცია-პროფლიგა მხარს უჭერდა და, ალბათ, ახლაც იმავე პოზიციაზეა, ოღონდაც, ამან ხეირი ვერ მოუტანა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებას. მასალები, ანუ ვიდეოჩანაწერები მიდის სამართალდამცავებთან, გამომძიებლები დღე და ღამე მუშაობენ იმაზე, თუ რა მოხდა ბოლნისში, ბორჯომში, გორში, თბილისში, ზესტაფონში, ზუგდიდში... ისმინება კლუბთა მესვეურების, მწვრთნელებისა და ფეხბურთელების ტელეფონები, მერე მიდის დაკითხვები და დაპატიმრებები, ყველაფერს ფარდა ეხდება, ყველას ყველაფერი ოფიციალურად უმტკიცდება და ქართული ფეხბურთიც სიბინძურეებისგან თავისუფლდება...

...როცა ფედერაცია და პროფლიგა ამ იდეას მხარს უჭერდნენ, ვინძლო, რაღაც ზომით მაინც ეძალებოდათ ილუზია, რომ ყველაფერი მართლაც ასე მოხდებოდა. ცხადია, დიდებულია, როცა ყველაფერი გამოძიებულია და ამის მერე გიხდება გადაწყვეტილების მიღება და სასჯელების ჩამორიგება. ეს ყველაფერი იდეალური ვარიანტია, რაც ვერ გაკეთდა და, ალბათ, ახლო მომავალშიც ვერ გაკეთდება...

საქართველო არასტაბილური ქვეყანაა. 7 ნოემბრის დარბევა, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, ომი რუსეთთან, ისევ მიტინგების ტალღა და საკნები - ასეთ ორომტრიალში სამართალდამცავებს, უბრალოდ, არ სცალიათ გარიგებული მატჩებისთვის. ესეც რომ არა, ჩვენს გამომძიებლებს არ აქვთ ასეთი ტიპის თაღლითობასთან ბრძოლის გამოცდილება. ჩაწყობილ თამაშებთან ბრძოლას არ უნდა დაედოს პოლიტიკური სარჩული - ესეც გასათვალისწინებელი იქნებოდა სამართალდამცავების მუშაობაში. ზოგი კლუბი ცნობილ ბიზნესმენს ეკუთვნის, ზოგსაც ცნობილი პოლიტიკოსი მფარველობს, ზოგიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება... მოკლედ, არ არის იოლი ასეთი საქმეების გამოძიება და, ალბათ, ამიტომაც ვერ მოიცალეს სამართალდამცავებმა ქართული ფეხბურთისთვის.

კომისია რომ შევქმნათ და მისი გადაწყვეტილების მიხედვით დავსაჯოთ კლუბი თუ კლუბის წარმომადგენლები, როგორ უნდა დავუმტკიცოთ მათ დანაშაული? სავსებით ლოგიკურ კითხვას სვამდნენ პროფლიგისა თუ ფედერაციის მესვეურები. არ არის მტკიცებულება, მაგრამ ყველამ ყველაფერი იცის - ასეთ სიტუაციაში ვერავის დასჯა ვერ ხერხდებოდა, მაგრამ ასე აღარ იქნება: 17 მაისის „სიონი"-"ვიტ ჯორჯია" თითქოს ბოლო წვეთი აღმოჩნდა და ფედერაცია-პროფლიგის მესვეურნიც შეთანხმდნენ, რომ შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც საეჭვო თამაშებს ჩაუკირკიტებს და ვერდიქტსაც გამოიტანს.

ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის, თუ რა სისტემით იმუშავებს კომისია, მაგრამ მხოლოდ პროკურატურის იმედზე რომ აღარ იქნება ყველაფერი, ეს უკვე ნათელია. კომისიაში, სავარაუდოდ, ჟურნალისტები და ვეტერანი ფეხბურთელები შევლენ. ჯერ არ არის დადგენილი, რამდენი კაცი იქნება კომისიაში და კონკრეტულად ვინ იქნებიან მისი წევრები. შევიტყვეთ, რომ ფედერაციას სურს, კომისიაში ის ცნობილი ვეტერანებიც შევიდნენ, ამ დროისთვის საფეხბურთო ოპოზიციას რომ წარმოადგენენ. ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება კომისიის დაკომპლექტების საკითხი - ვინძლო, ეს გადამწყვეტიც კი იყოს.

ერთის თქმა ახლავე შეიძლება - ასეთი კომისიის გადაწყვეტილებას ვერც ერთ ინსტანციაში ვერ გაასაჩივრებენ, რადგან ეს ეფექტური ვერ იქნება. ფეხბურთის ფედერაცია ფიფას სუბიექტია, ეს ორგანიზაცია კი კრძალავს მისი წევრი ასოციაციების საქმეებში ჩარევას. თუკი სადმე იყო ამის მცდელობა, ფიფა იმ ქვეყნებს თავისი რიგებიდან გარიცხვით დაემუქრა.

მოკლედ, ფედერაცია და პროფლიგა კორუფციასთან ბრძოლას ამწვავებენ და ეს ყველაფერი უკვე სავსებით რეალურია, ეს უკვე ქმედითი ნაბიჯია და ამანაც თუ ვერ გაამართლა...

**დავით თავართქილაძე**

# ფაჩულია ჰიუსტონში უნდათ



## უკრაინული პრესა:

### მანუს თამაში აღტაცებას იმსახურებს!



### თორნიკე შენგელია NBA-ს კემპზე

ლეგიონი » 14

# ვის დარჩება ბოლო თასი?




დღეს უეფას თასის ფინალია

წინათქმა » 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## კახა კალაძე

# ამას უკვე დიდი ხანია, შევეგუე...

## წავა თუ არა კალაძე ლივერპულში?

სატრანსფერო პერიოდის მოახლოებასთან ერთად, საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალაძის მიერ „მილანის" შესაძლო დატოვების თაობაზე სპეკულაციები თავიდან იწყება. მის სახელთან „ლივერპულს" ადრეც აკავშირებდნენ, მაგრამ ახლა ლაპარაკია კონკრეტულ თანხაზეც - 8 მილიონი ევრო, რომელსაც ინგლისელები მილანურ გრანდს გადაუხდიან. ერთია კიდევ, რომ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების ცნობით, კალაძის ახალი, სავარაუდო კლუბების რიცხვი გაიზარდა - „ლივერპულს", „მანჩესტერ სიტი", „ლევერკუზენი" და „პორტსმუთიც" ემატება.

ბუნებრივია, ეს სერიოზული მიზეზი იყო იმისთვის, რომ კახას მილანში დავკავშირებოდით. ცხადია, ჯერ კაპიტნის ჯანმრთელობით დავინტერესდით...



კახა კალაძე

- ახლა უკეთ ვარ, თვის ბოლოს ძუნძულსაც შევძლებ და იმედი მაქვს, მალე გამოვჯანმრთელდები.

**- სრული დატვირთვით წვრთნას როდისთვის განაახლებთ?**

- ვფიქრობ, ივლისის ბოლოს, როცა „მილანი" მოსამზადებელი შეკრებას დაიწყებს და მეც გუნდთან ერთად ვიქნები. ამ დროისთვის, ოპტიმალური დატვირთვებისთვის მზად უნდა ვიყო.

**- კი, მაგრამ სხვადასხვა წყაროს მიერ გავრცელებულ ცნობებს თუ ვენდობით, საკითხავია, ივლისში ისევ „მილანში" იქნებით, თუ სხვა გუნდში...**

- საკითხავია, „მილანში" თუ ვიქნები? აბა, სად უნდა ვიყო?

**- აგერ, წერენ, „ლივერპული" თურმე 8 მილიონ ევროს ჩამოდის თქვენს გადასაბირებლად...**

- არაფერი ვიცი, პირველად მესმის...

**- „ტრაიბალფუტბოლის" ცნობით კი „მილანი" და „მანჩესტერ სიტი" მალე ოფიციალურად გააფორმებენ პარტნიორობის დოკუმენტს, რის საფუძველზეც, რონალდინიოსა და პირლოსთან ერთად, „მანჩესტერ სიტიში" გადახვალთ...**

- ესეც პირველად გავიგე. მოკლედ, ზღაპრებია. ხომ იცით, რა პერიოდია ახლა? ჩემპიონატები მთავრდება და იწყება სატრანსფერო სპეკულაციები. ასე რომ, ნურაფერი გაგიკვირდებათ, ამას უკვე დიდი ხანია შევეგუე.

**- „ლივერპულითა" და „მანჩესტერ სიტით" არ მთავრდება, „ლევერკუზენიცა" და „პორტსმუთიც" ყოფილან თქვენით დაინტერესებული...**

- ინტერესი „მილანის" ყველა ფეხბურთელის მიმართაა, რაც პრინციპში ნორმალური მოვლენაა. ჩემითაც არა ერთი კლუბია დაინტერესებული. მაგრამ პირდაპირ გეტყვით - 9 წელია უკვე „მილანში" ვთამაშობ და აქ თავს ჩინებულად ვგრძნობ.

**- „მილანის" თავკაცი კარლო ანჩელოტი „ჩელსიში" მიდის?**

- ეს ჯერ არ არის გადაწყვეტილი...

**- თუ ანჩელოტი „ჩელსიში" წავიდა, „სტემფორდ ბრიჯზე" თქვენს ტრანსფერსაც ხომ არ უნდა ველოდეთ? მით უმეტეს, თავის დროზე თქვენი გადაბირება რომან აბრამოვიჩსაც უნდოდა...**

- არა, არ მგონია ასე მოხდეს... ჯერ თავად ანჩელოტის საკითხია გადასაწყვეტი. მოდით პირდაპირ გეტყვით, „მილანშია" თავს კარგად ვგრძნობ და კლუბის შეცვლა ჩემს უახლოეს გეგმებში ნამდვილად არ შედის. თან ისიც ვიცი, რომ „როსონერის" ხელმძღვანელობასაც არ სურს, რომ წავიდე, „მილანის" სამომავლო გეგმებშიც წამყვან ფიგურად მომიაზრებენ. ერთი სიტყვით, არანაირ ტრანსფერზე არ ვფიქრობ და ერთადერთი რამ, რაც ახლა მაღელვებს, ჯანმრთელობაა. რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავდგე ფეხზე, აღვიდგინო ფორმა და ძველებურად ავთამაშდე როგორც კლუბში, ისე ნაკრებში.

**- თუ მაინც მოხდა და კარლო ანჩელოტიმ „მილანი" დატოვა, ამბობენ, მის ნაცვლად მარკო ვან ბასტენი დაინიშნებაო. თქვენ უფრო მეტი გეცოდინებათ ამის თაობაზე...**

- ჯერ ის არ გარკვეულა, ანჩელოტი მიდის თუ რჩება და შესაბამისად, მის შემცვლელზეც ლაპარაკი ძალიან ადრეა, შეიძლება, დროის ფუჭად კარგვაც. ამ ეტაპზე სხვას ვერაფერს გეტყვით. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**- დაბოლოს, როგორც გავიგეთ ივლისში ვაჟს ელოდებით...**

- კი ეგრეა. შვილი ჩემთვის უდიდესი ბედნიერება და სტიმული იქნება. მე და ანუკი მოუთმენლად ველით პატარა ვაჟკაცის დაბადებას.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# კუპერი ნაკრებში დვალიშვილსაც გამოიძახებს?



ვლადიმერ დვალიშვილი

ეროვნული ნაკრების მორიგ ამხანაგურ მატჩამდე ორ კვირაზე ცოტა მეტი დარჩა. მოგეხსენებათ, 6 ივნისს მოლდოვას ვუმასპინძლებთ, 10-ში კი ალბანეთს ვესტუმრებით. ამ მატჩებისთვის ნაკრებში გამოსაძახებელთა ვინაობა ეროვნული გუნდის თავკაც ექტორ კუპერს ჯერ არ დაუსახელებია. შესაძლოა, არგენტინელი მწვრთნელი ჩემპიონატის დასკვნით ტურს ელოდება. ჩვენი ინფორმაციით, კუპერის სიაში, შესაძლოა, კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი, რიგის „სკონტოს" ფორვარდი ლადო დვალიშვილი ვიხილოთ. ეს ცნობა ნაკრების მწვრთნელის ქართველმა თანაშემწე ნიკა სახვაძემაც დაგვიდასტურა.

*„დიახ, კუპერი ლადო დვალიშვილზე ცნობებს აგროვებს. მალე ამ ფეხბურთელის თამაშების ჩანაწერიც გვექნება. გარდა ამისა, კუპერი ან მისი ასისტენტი ხოსე ფანტაგუცი სკონტოელ კოლეგებსაც გაესაუბრებიან და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ამის მერე მივიღებთ. მანამდე კი დვალიშვილს, შესაძლოა, ალბანეთისთვის სავიზო პრობლემა მოვუგვაროთ. თუმცა ვიზის გაკეთება იმას ნამდვილად არ ნიშნავს, რომ ლადო დვალიშვილი აუცილებლად იქნება სანაკრებო სიაში"*, - განგვიმარტა კუპერის თანაშემწემ.

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ თავად ფეხბურთელს დავუკავშირდით, მით უმეტეს, ვიცოდით, რომ ლადოს მსუბუქი ტრავმა ჰქონდა. დვალიშვილთან საუბარი სწორედ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მოკითხვით დავიწყეთ...

» 3

გულშემატკივართა კუთხე

# ეს რა ვნახე, ხალხს ფეხბურთს აზიზღებენ!

ქართული ფეხბურთის ქომაგები ბოლნისური მატჩის შთაბეჭდილებებსა და ზოგადად, ჩვენს ფეხბურთში გამეფებულ განუკითხაობაზე მსჯელობენ. ამასთან დაკავშირებით, რედაქციაში გვეწვია გულშემატკივართა კლუბ „ქომაგების" პრეზიდენტი, საფეხბურთო კლუბ „იბერიას" ყოფილი თავკაცი მამუკა ბიძინაშვილი და საქართველოს ჩემპიონატზე საკუთარი აზრი გაგვიზიარა...





- „ორმოქმედებიანი სპექტაკლი ფსევდორეჟისურითა და ცუდი მსახიობების შესრულებით" - მახსოვს, ასეთი სათაური ჰქონდა ჩემი თაობის უსაყვარლესი სპორტული ჟურნალისტის, ირაკლი ბერიაშვილის ერთ-ერთ მატჩის შემდგომ რეცენზიას გაზეთ „ლელოში", დაახლოებით 3 ათეული წლის წინათ... მიხვდით, ალბათ, ავტორი გარიგებულ მატჩს ამხელდა. მერწმუნეთ, ის მატჩი ახლოსაც კი ვერ მივიდოდა იმ მარაზმთან, რაც ბევრმა ჩვენგანმა იხილა „სიონისა" და „ვიტ ჯორჯიას" შესრულებით. ასე ვიტყოდი - ორმოცდაათამდე საფეხბურთო „ქილერმა", რომელთა შორის ვგულისხმობ ხელმძღვანელებს, მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს ორივე გუნდის მხრიდან, ღლისით, მზისით შემოგვთავაზეს ნამდვილი „თრილერი" და ისედაც სასიკვდილოდ დაჭრილი ქართული ფეხბურთი საკონტროლო გასროლით მოკლეს. ამასაც არ დასჯერდნენ და იმ დონეზე „განაგლდნენ" (თავხედი ის სიტყვა არ არის, რასაც იმსახურებენ), სულში ჩაფურთხებულ ქომაგებს გინება დაუწყეს და ლობე რომ არა, საცემრადაც გაიწევდნენ. ამ ლობემ უშველათ, თორემ ხანგრძლივად ჩამოშორდებოდნენ იმ საქმეს, რაც მათი საკეთებელი ნამდვილად არ არის... მოკლედ, ისეთი გოლბურთი გააჩალეს, თავიანთი პატრონ-მარჩენლების მოწონებული, რომ ვეტერანთა შოუს მონაწილეებსაც შემშურდებოდათ. ის ეჭვები, რაც ამ მატჩამდე არსებობდა, მათ თავადვე უამრავი ფაქტით დაადასტურეს. მთელი 90 წუთი ჭრიდნენ იმ ტოტს, რომელზეც ისხდნენ და ბოლოს, ბოლნისის სტადიონზე ზღართანი მოადინეს - თურმე ნუ იტყვით და, „ჩემპიონობას" ზეიმობდნენ. ვაი თქვენს პატრონს! ის ინციდენტი, რაც ბოლნისელ გულშემატკივრებსა და ფეხბურთელებს შორის მოხდა, ნათლად მოწმობს, რომ მთელი ქართული საფეხბურთო მილეთის აზრი ერთმნიშვნელოვანია: ეს იყო გარიგებული შეხვედრა! ეს აზრი კი გაცილებით კომპეტენტურია, ვიდრე პროკურატურის მიერ წარმოებული გამოძიება, ან კომისრისა თუ დამკვირვებლის მიერ დაწერილი პატაკი. მივმართავ ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელობას: თუ ოდნავი პროფესიონალიზმი მაინც გაგაჩნიათ, პატრიოტიზმის გრძნობა, ბოლოს და ბოლოს სინდის-ნამუსი შეგრჩენიათ, ახლა მაინც დაარქვით ყველაფერს თავისი სახელი. ფაქტი სახეზეა, თანაც ეს ფაქტი ჯიუტია. სასწრაფოდ შეიკრიბეთ და მიიღეთ თუმც დაგვიანებული, მაგრამ გადაუდებელი ვერდიქტი. მაგალითად: 1. „სიონი" და „ვიტ ჯორჯია" დაქვეითდნენ რეგიონალლიგაში, ხუთი წლით ზედა ლიგაში დაწინაურების უფლების გარეშე; 2. მატჩის მონაწილე ყველა პერსონას აეკრძალოს ქართულ ფეხბურთში მოღვაწეობა და ა.შ. ქართულ ფეხბურთს არ სჭირდება „შოუბოლმენები" და ძალადჩემპიონები, მას ბორიას, ბასას, შოთას, ნოდარის, დათოს, საშას დარი კაცები სჭირდება!

**- მაგრამ ამისთვის უდავო ფაქტები და საბუთია საჭირო...**

- მატჩი რომ ჩაწყობილი იყო, ამის საბუთს თავისით არავინ დაგვიდებს. თუმცა არ ბნელა და ყველაფერი ცხადად გამოჩნდა...

**- მხოლოდ ეჭვებით თუ ვიხელმძღვანელებთ, შესაძლოა, უმაღლეს ლიგაში ორადორი გუნდი დაგვრჩეს...**

- კი, მაგრამ თქვენ არ ხართ შეურაცხყოფილი ასეთი ფეხბურთით? დავით ყიფიანის სახელს რომ ატარებს ტურნირი, შეიძლება იმას აგდებით მოეკიდო და მერე ეროვნულ ჩემპიონატში საეჭვო შეხვედრა ჩაატარო?! ეს ამბავი როგორ უნდა ეპატიოთ?! როგორ არ მენანება ეს კლუბები, რაც თავი მახსოვს, ქართული ფეხბურთით ვცხოვრობ და მტკივა და ამიტომაც მიმაჩნია საჭიროდ პრეცედენტი, რომ ვილაც მკაცრად დაისაჯა, რათა შემდგომში მაინც შეჩერდეს ეს დამღუპველი პროცესი. თორემ, ხომ ხედავთ, ქართულ ჩემპიონატს მაყურებელი აღარ ჰყავს. ხალხს ფეხბურთს აზიზღებენ.

**- გარიგებებისა და ჩაწყობების მოსპობა საჭიროა, მაგრამ მხოლოდ ორ გუნდს თუ გამოვარჩევთ, უსამართლობა არ იქნება?**

- მოკვეთას არ ვგულისხმობ, მაგრამ ვილაც უნდა დაისაჯოს, თუმცა არა - მხოლოდ ფულადი ჯარიმით...

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიცენზირება

## ვინ მიიღებს საშვს უმაღლესი ლიგისთვის?

### 22 მაისი აპელაციებისთვის ბოლო დღეა...

საქართველოს ჩემპიონატი როგორც უმაღლეს, ისე პირველ ლიგაში დასასრულს მიუახლოვდა. გამოკვეთილია იმ გუნდების ვინაობა, ვინც გავარდება და ვინც ელიტას უმიზნებს. გადარჩენისთვის იბრძვიან ცხინვალის „სპარტაკი", „გაგრა" და ახალციხის „მესხეთი". „ბორჯომი" კი უკვე კარგა ხანია, უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა. ასე რომ, სამი გუნდიდან ორი უნდა გავარდეს. რბოლის ამ მოკლე მონაკვეთზე სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

| | თ | ქ |
|---|---|---|
| გაგრა | 30 | 28 |
| მესხეთი | 29 | 26 |
| სპარტაკი | 29 | 25 |

**ბოლო ტური**

**23 მაისი, შაბათი**

ოლიმპი-სიონი
ზესტაფონი-ლოკომოტივი
მესხეთი-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-მგლები
დინამო-ბორჯომი

*გაგრა ისვენებს*

ბოლო ტურში „გაგრამ" ახალციხელებს 2:0 სძლია და დაწინაურდა, თუმცა ბოლო ტურს გამოტოვებს და ამდენად, მეტოქეებზე ხდება დამოკიდებული. მაგრამ უკვე ცნობილია, რომ უმაღლეს ლიგაში თამაშის ლიცენზია დღემდე არ აქვს „მესხეთს" და თუ მდგომარეობა არ გამოასწორა, პირველ ლიგაში დაქვეითდება. უმაღლესში მოასპარეზე 11 გუნდიდან მხოლოდ ორმა ვერ გაიარა ლიცენზირება - „მესხეთმა" და „ბორჯომმა".

**კობა თედიაშვილი,** ახალციხის „მესხეთის" მთავარი მწვრთნელი: *„თითქმის ყველა საკითხი მოგვარებულია, მაგრამ წლიური ბიუჯეტის გარანტია დღემდე ვერ წარვადგინეთ. იმედია, გვექნება, მაგრამ დღეისთვის ასეთი ვითარებაა".*

ანუ, გამოდის, რომ ბოლო ტურში „მესხეთმა" ცხინვალის „სპარტაკს" რომც მოუგოს, შესაძლოა, ულიცენზიოდ უმაღლეს ლიგაში არც ათამაშონ. ასეთ შემთხვევაში, უპირატესობას ეძლევათ „გაგრასა" და „სპარტაკს". დებულების მიხედვით, ულიცენზიო კლუბის ნაცვლად უმაღლესში თამაშის პრიორიტეტი ლიცენზირებულ კლუბს მიენიჭება. უეფას ტურნირზე სერთიფიკატის გარეშე გასვლა წარმოუდგენელია. ლიცენზიის არმქონე კლუბს უფლება აქვს, მიმართოს ფედერაციის ალმასკომს, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს - ვინ ითამაშოს და ვინ არა უმაღლეს ლიგაში. სხვათა შორის, ალმასკომს შეუძლია, გამონაკლისიც დაუშვას. როგორც ვიცით, უმაღლესი და პირველი ლიგის იმ კლუბებს, რომლებმაც ლიცენზირება ვერ გაიარეს, აპელაციისთვის ვადა 22 მაისამდე აქვთ.

საინტერესოა ვითარება პირველი ლიგის აღმოსავლეთ ზონაშიც. აქ ლიცენზია ვერ მიიღო „ამერმა", რომელმაც ტურნირი დიდი უპირატესობით მოიგო და არ არის გამორიცხული, უმაღლეს ლიგაში ვერც გადავიდეს. ლიცენზირებამდე მივა თუ არა საქმე, ეს კლუბის პრეზიდენტ **ზურაბ ფოცხვერიას** გადაწყვეტილებაზეცაა დამოკიდებული. მისი ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუდან ისე ჩანდა, თითქოს, უმაღლესში ლიგაში თამაშთან დაკავშირებით „ამერს" ჯერ საბოლოო პოზიცია არ აქვს ჩამოყალიბებული.

საჩხერის „ჩიხურას" გადასვლა თავიდანვე გამოირიცხა, რადგან ლიცენზიას არ ფლობს. ბუნებრივია, უმაღლესში ვერ ითამაშებენ „დინამო 2", „ვიტ ჯორჯია 2", „სიონი 2" (ანუ, დუბლშემადგენლობები). მოკლედ, უნიკალური სიტუაციაა - შესაძლოა, საგზური მეხუთეადგილოსანმა გორის „დილამ" მოიპოვოს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, კლუბმა საამისოდ საჭირო თანხა იშოვოს.

დასავლეთ ზონაში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, რადგან ლიდერთა ჯგუფში ლიცენზია ლამის ყველას გააჩნია...

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

*ილია სპასოევიჩი*

# ქართველები კარგად ვერ აცნობიერებთ, რამდენად სახელოვანი კლუბია დინამო

## სპასოევიჩს გერმანიაში იწვევენ

**ილია სპასოევიჩს თბილისის „დინამოსთან" კონტრაქტი უმთავრდება და შესაძლოა, კარიერა ერთ-ერთ ევროპულ ლიგაში გააგრძელოს. ჩერნოგორიელი თავდამსხმელი საინტერესოდ საუბრობს, თუ რატომ ჩამოვიდა საქართველოში იუგოსლავიის 17-წლამდელთა ნაკრების ექსკაპიტანი და ნოვი სადის „ვოევოდინას" ყოფილი ფორვარდი საქართველოში...**

**- ილია, როგორც შევიტყვე, „დინამოსთან" მალე კონტრაქტი გიმთავრდება...**

- დიახ, სულ რაღაც ნახევარი წელი დამრჩა და დეკემბერში თავისუფალი გავხდები.

**- ძნელი დასაჯერებელია, საქართველოში დარჩენას აპირებდე, როცა თავად ქართველი ფეხბურთელებიც გაქცევაზე არიან...**

- ეს მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. უპირველესად, „დინამოს" გადასაწყვეტია, გაფორმდება თუ არა ახალი კონტრაქტი, მერე მეც ვიფიქრებ... დეკემბრამდე დიდი დროა, მანამდე, შესაძლოა, სხვა შეთავაზებებიც მივიღო.

**- ჩერნოგორიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობ...**

- ...და არა მარტო. თავის დროზე იუგოსლავიის 15 და 17-წლამდელებშიც მაქვს ნათამაშები, 17-წლამდელების კაპიტანიც ვიყავი, გოლებიც გამიტანია. მერე ნოვი სადის „ვოევოდინაში" ვთამაშობდი, სადაც ახლა მიხეილ ხუციშვილი ასპარეზობს. ვირიცხებოდი სერბეთ-ჩერნოგორიის ახალგაზრდულ ნაკრებშიც, სადაც ყველაზე მეტი, 12 შეხვედრა ჩავატარე და 5 გოლი გავიტანე. ჩერნოგორიის ახალგაზრდულ ნაკრებში კი მხოლოდ ორჯერ ვითამაშე.

**- ჰოდა, გაუგებარია, ასეთი მშვენიერი სტატისტიკით როგორ აღმოჩნდი საქართველოში და არა ევროპაში, სადაც ლამის ყოველ მეორე ბალკანელს იწვევენ?**

- რა გითხრათ... ბევრი რამ ხდება შენს ცხოვრებაში ისეთი, რასაც არ გეგმავ... სერბეთში ვთამაშობდი და კარგად ვგრძნობდი თავს, თუმცა რაღაც პერიოდში იქ გაჩერება აღარ გამოდიოდა და წამოვედი, ძველებური ურთიერთობები აღარ იყო. სხვათა შორის, „დინამოსთან" ერთად უფრო ძლიერი ლიგების კლუბებიც მიწვევდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში „დინამოს" სახელმა გადაწონა...

**- სახელმა? დღეს ხომ უმრავლესობას ფული აინტერესებს?**

- სიმართლე გითხრათ, ზოგჯერ მგონია, რომ ქართველები კარგად ვერ აცნობიერებთ, რამდენად სახელოვანი კლუბია თბილისის „დინამო". მრჩება შთაბეჭდილება, რომ ევროპასა და ბალკანეთში მას უფრო მეტ პატივს სცემენ, ვიდრე საქართველოში. ორი წელია აქ ვთამაშობ და ჩემს მაშინდელ არჩევანს სულაც არ ვნანობ. ტრადიციულ კლუბში სხვაგვარი დამოკიდებულება და ატმოსფეროა.



ილია სპასოევიჩი

**- საინტერესოდ საუბრობ...**

- იმიტომ, რომ ასეა. თბილისის „დინამოს", ბევრი ევროპული კლუბისგან განსხვავებით, თასების მფლობელთა თასი აქვს აღებული. შესაძლოა, დღეს უკეთეს და უფრო მდიდარ ლიგაში თამაშობენ ის გუნდები, რომლებიც მიწვევდნენ, მაგრამ ფეხბურთელის კარიერაში თბილისის „დინამოც" რომაა ნახსენები, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. სხვათა შორის, დიდი ფული არც „ცრვენა ზვეზდაშია", არც „პარტიზანში" და არც სხვა ცნობილ ბალკანურ კლუბებში, თუ არ ჩავთვლით ზაგრების „დინამოს", მაგრამ იქ ფეხბურთელები სახელის გამო მიდიან - ევროპელები მოთამაშეს აქედან უფრო ყიდულობენ. ასევეა „დინამოს" შემთხვევაშიც.

**- რაიმე კონკრეტული მიწვევა არ გაქვს?**

- არის საინტერესო წინადადებები და ბევრად ძლიერი ლიგებიდანაც. თუმცა, ახლა მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ჩემით უფრო გერმანული კლუბები დაინტერესდნენ.

**- საკმაოდ უცნაური სტატისტიკა გაქვთ - წელს გატანილი 9 გოლიდან, 7 შეცვლაზე გაიტანე, ძირითადში კი თავი ასე არ გამოგიჩენია...**

- მართალია... თუ არ მეშლება, ძირითადში 5 შეხვედრა ჩავატარე და რატომღაც, ბევრი გოლი ვერ გავიტანე. არ მინდა დავიჯერო, რომ მაინცდამაინც შეცვლაზე ვთამაშობ უკეთ, მაგრამ... ფაქტია. მიჭირს ამის ახსნა.

**- ბალკანელი ლეგიონერი საქართველოში რეზერვის ფეხბურთელია - ასეთი მდგომარეობით უკმაყოფილო არ ხარ?**

- ცხადია, ბედნიერი ვერ ვიქნები. რა დასამალია და, საქართველოში ჩამოსვლამდე ვოცნებობდი, რომ „დინამოს" ლიდერი გავმხდარიყავი, ბევრი გამეტანა და კარიერაში დიდი ნახტომი გამეკეთებინა. სამშობლოში ოჯახი და მეგობრები იმიტომ დავტოვე, რომ მეთამაშა. სამწუხაროდ, ნაწილობრივ ჩემი ოცნებები არ ახდა, ძირითადში ხშირად ვერ ვთამაშობ და უკმაყოფილო ვარ. თუმცა საქმეს პროფესიულად ვუდგები, მწვრთნელის და ხელმძღვანელობის აზრს პატივს ვცემ...

**- ძალიან დიპლომატიური პასუხია...**

- არა, რა დიპლომატია, გულწრფელად ვამბობ. ჩამოსვლისთანავე, „დინამოს" ხელმძღვანელებისა და ფეხბურთელებისგან იმხელა სითბო ვიგრძენი, სხვაგვარად ვერც ვიფიქრებ. ამისთვის მათ მადლობას ვუხდი. საქართველოში ბევრი მეგობარი შევიძინე. რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან „დინამოდან" წავალ და კარიერას სხვა კლუბში გავაგრძელებ, მაგრამ ეს ხალხი ყოველთვის ჩემს გულში დარჩება. დღემდე მაქვს ურთიერთობა უნგრეთში წასულ დათო ოდიკაძესთან, რადგან მისი სახით დიდი მეგობარი შევიძინე. ასე ვარ სხვა ბიჭებთანაც, აქ თავი უცხოდ არასდროს მიგრძვნია.

**- საქართველო-ჩერნოგორიის ნაკრებთა შეხვედრაზე რა შთაბეჭდილება დაგრჩა?**

- გაცილებით უკეთეს, ლამაზ ფეხბურთს ველოდი, მაგრამ ორივე გუნდმა იმედები გამიცრუა.

**- შენი აზრით, რომელი ნაკრები დაიკავებს ჯგუფში ბოლო ადგილს?**

- მინდა, ბოლოზე კვიპროსი დარჩეს.

**- რატომ? ისე არ ჩანს, თითქოს კვიპროსი ჯგუფში ყველა სუსტია. ძნელი წარმოსადგენია, ეს ნაკრები ბოლოზე გავიდეს...**

- (იცინის) აბა, საქართველოსა და ჩერნოგორიას ხომ არ ვუსურვებ ბოლო ადგილზე გასვლას?

**მერაბ მამულაშვილი**

# კუპერი ნაკრებში დვალიშვილსაც გამოიძახებს?

4 «

- მსუბუქი ტრავმა მქონდა, კუნთი დამეჭიმა და ამის გამო ლამის ერთი კვირის განმავლობაში ვერ ვვარჯიშობდი. ახლა ბევრად უკეთ ვარ. კვირას გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვივარჯიშე. 27 მაისს „იურმალასთან" მორიგი ტურის მატჩი გვაქვს. უკვე მზად ვარ და ვნახოთ, რას გადაწყვეტს გუნდის მთავარი მწვრთნელი პოლ ეშოურთი.

**- ლადო, როგორც გავიგეთ, ნაკრების თავკაცი ექტორ კუპერი გაკვირდებათ და შესაძლოა, მოახლოებული ამხანაგური მატჩებისთვის გამოგიძახონ...**

- ეს მეც გავიგე, მაგრამ ჯერ კიდევ არაფერია გადაწყვეტილი და აბა, რა გითხრათ?

**- თბილისიდან არ დაურეკავთ?**

- ჩემს ოჯახს დაუკავშირდნენ და უთხრეს - ყოველი შემთხვევისთვის, პასპორტი გამოაგზავნოს, სავიზო ფორმალობას მოვუგვარებთ, კუპერმა თუ გამოიძახა, მერე ვიზამ რომ აღარ დაგვაბრკოლოსო. ეს არის და ეს, რაც ვიცი. თუ სანაკრებო სიაში მოვხვდები, ძალიან გამიხარდება. ეს ჩემთვის იქნება შანსი იმისთვის, რომ შესაძლებლობები სათანადოდ წარმოვაჩინო და ეროვნულ გუნდში დამკვიდრებაზე გავაკეთო განაცხადი. ყველანაირად ვეცდები, ეს შანსი გამოვიყენო.

**- შორიდან რა წარმოდგენა გაქვს ნაკრების თავკაცზე?**

- კუპერზე მე რა უნდა ვთქვა ახალი? ამ დონის მწვრთნელია, ევროპის გრანდებში უმუშავია... საქართველოში ცხოვრობს, დადის და ეძებს ტალანტებს, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ესწრება, ფეხბურთელებს არჩევს და მერე სამშაბათის ვარჯიშებზე სხვადასხვა კომპონენტის დახვეწაზე ავარჯიშებს... ერთი სიტყვით, კუპერი თავს არ ზოგავს, მუშაობს... მართალია ნაკრები შედეგებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ამისთვის დროა საჭირო... ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ სამი-ოთხი მოთამაშის გარდა, მაღალი კლასის ფეხბურთელები არ გვყავს...

**- თუ კუპერის სიაში მოხვდები, მოლდოვისა და ალბანეთის ნაკრებთა წინააღმდეგ სათამაშოდ მოგიწევს მომზადება. მეტოქეებზე რას იტყოდით?**

- ლატვიამ მოლდოვას კიშინიოვში 2:1 მოუგო. ვნახე ეს მატჩი. ლატვიელებმა ორი გოლი გაიტანეს, მერე დაცვაში ჩაჯდნენ და შეძლეს თამაშის მოგება. თუმცა მოლდოვა სულაც არ არის ცუდი გუნდი. ალბანეთის ნაკრებს რაც შეეხება, ამ გუნდს ადრე ხშირად ვხვდებოდით, მაგრამ მას მერე წლები გავიდა და ეს გუნდი შეიცვალა, ახლა მასზე არაფერი ვიცი.

**- „სკონტო" მესამე ადგილზეა. შეძლებთ ჩემპიონობის მოპოვებას?**

- ვნახოთ, ლიდერ „მეტალურგსს" 4, ხოლო მეორეზე მყოფ „ვენტსპილსს" 2 ქულით ჩამოვრჩებით. ჯერ 10 ტურია ნათამაშები. წინა ორ გუნდს ბევრით არ ჩამოვრჩებით და ვნახოთ. მთავარი ბრძოლები შემოდგომაზე გველის.

**- შენს თანაკლუბელ დავით გამეზარდაშვილს როგორ მისდის საქმეები? რამდენადაც ვიცი, კონტრაქტი უმთავრდება. რას აპირებს?**

- დათო ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. ამ სეზონის ბოლოს, ნოემბერში უმთავრდება კონტრაქტი. ვნახოთ... „სკონტო" მას ასე იოლად ვერ შეელევა, ნოემბრამდე ჯერ დიდი დროა.

**- „სკონტოში" გოლები გაგაქვს, მაგრამ საინტერესოა, მთავარ თავდამსხმელად თამაშობ თუ მეორე ფორვარდი ხარ?**

- ხან ისე, ხან ასე. გააჩნია, რა ტაქტიკით ვთამაშობთ... თავდასხმაში ნებისმიერ ადგილზე შემიძლია თამაში. რაც შეეხება გატანილ ბურთებს, ამ სეზონში ჯერჯერობით 6 გოლი შევაგდე, აქედან ერთი - ჰეთ-თრიკია. ამასთან, 4 საგოლე პასიც შევასრულე. თუმცა ამას არ დავჯერდები, გოლებს კიდევ გავიტან...

**დავით ცაბაძე**

დანიშვნის მოლოდინში

# ქეცბაია 25 მაისამდე გადაწყდება

## თემურს ბოხუმში გამოცდიან?

გუშინ რუსულმა ტელეკომპანია 7TB-მ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა - **თემურ ქეცბაიას** რამდენიმე საათში ოფიციალურად გამოაცხადებენ „ოლიმპიაკოსის" მთავარ მწვრთნელადო. ეს ცნობა სხვა რუსულმა წყაროებმაც აიტაცეს გაავრცელეს. ბერძნული სააგენტოების მიხედვით კი რუსებს ვადებში ჰქონდათ ცდომილება, რაც მალევე დადასტურდა. თუმცა სცენარი ნამდვილად ისეთი, როგორც ჩვენ ვწერდით - „ოლიმპიაკოსში" ქეცბაიას დანიშვნა ლამის 100 პროცენტითაა გადაწყვეტილი...

ბერძნული „სპორტნეტი", „სიგმალაიფი", „სპორტ 24" და სხვა წყაროებიც წერდნენ, რომ ქეცბაიას 30 მაისამდე მოუწევდა მოცდა. თუმცა სიტუაცია იცვლება. დღეს პირეოსელთა კლუბის პრეზიდენტი **სოკრატის კოკალისი** აზიიდან სამშობლოში დაბრუნდება, ხვალზევ კი კიდევ ერთხელ შეხვდება 41 წლის ქართველ სპეციალისტს და 25 მაისამდე კონტრაქტიც გაფორმდება.

უფრო მეტიც, ბერძნული სააგენტოები უკვე იმასაც წერენ, ქეცბაია არაოფიციალურად მუშაობას უკვე შეუდგა და „ოლიმპიაკოსის" ხელმძღვანელებმა მისი რჩევით რამდენიმე ფეხბურთელის შეძენაზეც დაიწყეს ზრუნვა.

პარალელურად, პირეოსელები ზაფხულის მოსამზადებელი ეტაპის კონტურებსაც ხაზავენ. უკვე გაირკვა, რომ 18 ივლისს „ოლიმპიაკოსი" „ბოხუმთან" გასვლით ამხანაგურ მატჩს გამართავს. ასე რომ, ქეცბაიას პირველი გამოცდა სწორედ გერმანიაში ელის...

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## დავით მუჯირი

# აბა, არ ვიქნები გულნატკენი?!

## თუ იმიტომ გვექახიან, რომ ეს სპეციალისტების აზრის გათვალისწინებაში ჩაეთვალოთ, ჯობია, ისევ ის შემადგენლობა ათამაშონ

რუსული პრემიერლიგის მე-9 ტურში დავით მუჯირი გოლით, მისი გუნდი კი შთამბეჭდავი გამარჯვებით გამოირჩა. მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველმა ნახევარმცველმა 90-ე წუთზე მატჩს კუთხურიდან ოსტატური დარტყმით დაუსვა წერტილი - 4:0. მუჯირის ამ გოლმა რუსეთში ბევრს გაახსენა ლეგენდარული ილია დათუნაშვილის საფირმო კუთხურები. სხვათა შორის, ქართველს პრესამ „XXI საუკუნის დათუნაშვილიც" კი უწოდა...

მოკლედ, საკლუბო და სანაკრებო ამბებზე სასაუბროდ დავით მუჯირს მოსკოვში დავუკავშირდით...

**- დავით, გილოცავთ გოლს და მოდი, საუბარი სწორედ ამ მატჩით დავიწყოთ...**

- თამაში დიდი ანგარიშით, 4:0 მოვიგეთ და მგონი, აქედანაც ნათელი უნდა იყოს, თუ რა უპირატესობას ვფლობდით. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ გროზნოელებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ, მათ შორის, ტრავმირებული ლევან გვაზავაც და ეტყობა, ამიტომაც გამოიყურებოდნენ ასე სუსტად. ახლა ამას ისიც დაამატეთ, რომ ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში „ტერეკი" 10 კაცით გვეთამაშებოდა.

**- მართალია, მწვრთნელმა ბოლო 11 წუთი გათამაშათ, მაგრამ მაინც მოახერხეთ და ეფექტური გოლი გაიტანეთ. როგორ მოხდა ეს ყველაფერი? იქნებ, გაიხსენოთ ის ეპიზოდი...**

- კუთხურს რომ ვაწვდიდი, თანაგუნდელებს ვანიშნე, ბურთს ახლო ძელთან ჩავაგდებ-მეთქი. ძლიერად დავარტყი, ბურთი მეტოქის მცველს შეეხო და კარში შევარდა. იმას ნამდვილად ვერ დავიბრალებ, რომ დარტყმა გამიზნული იყო და მაინცდამაინც კუთხურიდან მსურდა გატანა... თუმცა გოლი გავიდა და ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. ამ გოლით დაგვირგვინდა კიდეც ჩვენი გამარჯვება.

**- ისე, საქართველოს ნაკრების ვარჯიშებისას კუთხურიდან „ჩახვევაზე" თქვენც და სხვა ლეგიონერებსაც ხშირად გიმეცადინიათ...**

- ეს ისე, გასართობად, თორემ არასდროს მქონია იდეფიქსად, რომ კუთხურიდან გამეტანა გოლები.

**- ასეთი გოლები გასული საუკუნის 60-იან წლებში ილია დათუნაშვილს გაჰქონდა...**

- სამწუხაროდ, ძველ ჩანაწერებში ეს მხოლოდ ერთხელ, „ოქროს მატჩის" დროსაა აღბეჭდილი... ისედაც, ილია დათუნაშვილის კუთხურებზე მაშინ ლეგენდები დადიოდა და ეს ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან ვიცოდი...

**- თქვენი გოლის შემდეგ ვინმეს მაინც თუ გაახსენდა ილია დათუნაშვილი?**

- კი, სტაჟიანმა გულშემატკივრებმა გაიხსენეს... ჩვენი გუნდის უფროსი, კოროტკოვი ადრე ფეხბურთელი იყო და სწორედ მან მითხრა - ილია დათუნაშვილის სტილში გაიტანე, XXI საუკუნის დათუნაშვილი ხარო...

**- ცოტა ხნის წინათ „ლოკომოტივის" დროებით მთავარ მწვრთნელად ვლადიმირ მამინოვი დაინიშნა. მისი ხელმძღვანელობით უკვე მესამე მატჩი მოიგეთ. ვითომ ასეთი კარგი მწვრთნელია მამინოვი, რომელიც ჯერ კიდევ შარშან ფეხბურთელი იყო?**

- როგორ გითხრათ... ჩანს, რომ აქვს მწვრთნელის მონაცემები და ჩემი აზრით, თუ გაჰყვება ამ საქმეს, მისგან კარგი სპეციალისტიც დადგება. რა თქმა უნდა, მოგებულ მატჩებში მისი წვლილი ძალიან დიდია, თუმცა არანაკლებია ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაც. მაგრამ გულახდილად ვიტყვი - ამ მატჩებში ძლიერი მეტოქეები არ გვყოლია...

**- რატომ? „ტერეკამდე" დაამარცხეთ „მოსკვა", რომელიც ახლა მესამე ადგილზეა...**

- თუნდაც „მოსკვა" იყოს. მართალია, ეს გუნდი მესამე ადგილზეა, მაგრამ იმ თამაშით, რაც ჩვენთან შეხვედრაში აჩვენა, ნამდვილად ვერ ვიტყოდი, რომ მესამე ადგილს იმსახურებს. 1:0 მოვიგეთ, თუმცა მეტიც შეგვეძლო. „მოსკვასთან" კაცნაკლულნი დავრჩით, მაგრამ კარში ერთხელაც ვერ დაგვირტყეს ხეირიანად.

**- მამინოვი დროებითი მწვრთნელია. მის სავარაუდო შემცვლელთა შორის კი ისეთი სოლიდური კანდიდატურები სახელდებიან, როგორებიც არიან მანჩინი, ბილიჩი, გრანტი, გაზაევი... თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ, ვის უფრო მეტი შანსი აქვს?**

- ამაზე ვერაფერს გეტყვით. ვნახოთ, ეს საკითხი ზაფხულში გადაწყდება.

**- რუსულ პრესასთან საუბარში მიხეილ აშვეთიამ „ლოკომოტივის" ბოსებს იური სიომინის დაბრუნება ურჩია. სიომინმა კიევის „დინამო" უკვე გააჩემპიონა და როგორც ცნობილია, ახლა სურს, „ოქრო" მშობლიურ მოსკოვის „ლოკომოტივსაც" მოაპოვებინოს...**

- სიომინი რომ მაღალი დონის მწვრთნელია, უდავოა. მეც ჭორის დონეზე ვიცი, რომ კანდიდატებს შორის ისიც ფიგურირებს. რუსეთში სიომინს დიდ პატივს სცემენ. რამდენად რეალურია „ლოკომოტივში" მისი დაბრუნება, ამას დრო გვიჩვენებს.

**- „ლოკომოტივს" ბოლო წლებში ჩავარდნა ჰქონდა. ამ სეზონში რას გეგმავთ?**

- ჩვენი გუნდი ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის იბრძოდა. ამ სეზონშიც ასეა. ვნახოთ, ვინ ჩაიბარებს გუნდს... სხვათა შორის, „ტერეკის" ძლევით მოწინავე ხუთეულს მივუახლოვდით. მომდევნო ორ მატჩს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ექნება - თუ ყაზანში „რუბინი" დავამარცხეთ და მერე შინ „სპარტაკსაც" ვაჯობეთ, საგრძნობლად გავიმყარებთ პოზიციებს... ისიც უნდა ითქვას, რომ რუსული პრემიერლიგა ახლა საკმაოდ მაღალი დონისაა, ძნელი სათამაშო და არაპროგნოზირებადი პირველობაა. თავად განსაჯეთ - ამ სეზონში გადმოსულმა „როსტოვმა" ზედიზედ დაამარცხა ცსკა და „ზენიტი". ასე რომ, ძალიან რთული გზა გვაქვს გასავლელი.

**- გვაზავასთან გაქვთ ურთიერთობა? ის ეროვნული ნაკრების წევრობის კანდიდატად მოიაზრება...**

- ლევანი არა მარტო „ტერეკში", არამედ მთელ რუსულ პრემიერლიგაში გამორჩეული ფიგურაა. ამის დასტურად აქაური პრესა და ინტერნეტგვერდებიც გამოდგება. თუნდაც სატრანსფერო პერიოდი გავიხსენოთ - ხშირად ინერებოდა, გვაზავა „ლუჩიდან" მიდისო და მერე მსურველი კლუბები იყო ჩამოთვლილი... რაც შეეხება ნაკრებში გამოძახებას, როგორც ვიცი, ლევანს რუსული პასპორტი აქვს, თუმცა ამ ფორმალობის მოგვარებაც არ არის შეუძლებელი. ჯერ მთავარია, ნაკრების მწვრთნელს გაუჩნდეს მისი მიწვევის სურვილი. თუ კუპერს ეს უნდა... აგერ, ამ ზაფხულს ჩვენს ნაკრებს ამხანაგური მატჩები აქვს ჩასატარებელი და მიიწვიონ გვაზავა, ნახონ, როგორ თამაშობს, ვინ უშლით ამაში ხელს?

**- ეროვნულ ნაკრებში თავადაც კარგა ხანია არ გითამაშიათ. ალბათ, არც ის არის გამორიცხული, რომ ექტორ კუპერმა სპეციალისტებს დაუჯეროს და თქვენც გამოგიძახონ. პლუს ამას, საქმეში ჩახედული ხალხი ფიქრობს, რომ ნაკრების თავკაცმა ასათიანს, ცქიტიშვილს, ამისულაშვილსა და გოგუასაც უნდა უხმოს...**

- თუ ნაკრების თავკაცი იმიტომ აპირებს ჩემი და სხვა მოთამაშეების გამოძახებას, რომ ამას ფეხბურთის სპეციალისტები და პრესა ითხოვენ, მაშინ სჯობს, ისევ ის მოთამაშეები მიიწვიოს, ვისაც აქამდე ათამაშებდა...

**- რატომ?**

- იტალიასთან თბილისურ მატჩამდე ნაკრებს 3 ამხანაგური მატჩი აქვს და ჯობს, კუპერმა ის ფეხბურთელები გამოიძახოს, რომლებზეც იტალიასთან, ჩერნოგორიასთან და ბულგარეთთან შეხვედრებზე აპირებს დაყრდნობას. თუ იმიტომ გვეძახიან, რომ ეს სპეციალისტების აზრის გათვალისწინებაში ჩაეთვალოთ, ჯობია ისევ ის შემადგენლობა ათამაშონ... ბოლოს და ბოლოს, შესარჩევი ეტაპი სრულდება და ერთი თამაში მაინც არ უნდა მოვიგოთ?! ეს ჩვენი ქვეყნის ეროვნული გუნდია და მართლა გული შემტკივა, ჩასაფრებულის პოზიციიდან არ ვლაპარაკობ...

**- თუმცა გეტყობათ, რომ გულნატკენი ხართ...**

- აბა, არ ვიქნები გულნატკენი?! როცა გაფართოებული შემადგენლობის 40 თუ 50 მოთამაშეს გასვლითი მატჩებისთვის ვიზები გაუკეთეს და მე არავის გავხსენებივარ, ეს არ მატკენდა გულს? რუმინეთთან გასვლითი ამხანაგური მატჩი რომ იყო, მაშინ სტაბილურად ვთამაშობდი „ლოკომოტივში", მაგრამ მაინც არ გამომიძახეს... მოკლედ, აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი, რა...



დავით მუჯირი

**დავით ცაბაძე**

მწვრთნელი

# მისტერ ბინის სწორი გადაწყვეტილებანი



შოთა არველაძე

**არ გამოვიდა „ბაიერნი" და უნდა გამოვიდეს „აიაქსი" - ასეა ახლა მწვრთნელ შოთა არველაძის საქმე. ის ახლა საკუთარ თავს ქმნის, როგორც მწვრთნელი და ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, თუმცა ყველაფერი მასზე არ არის დამოკიდებული. როგორც უნდა იყოს, შოთას სამწვრთნელო კარიერა ერთ ადგილზე არ ჩერდება, არის მოძრაობა და იქნება წინსვლა - ალბათ, გვაქვს უფლება ასეთი ვარაუდისა.**

ფეხბურთელს ფეხბურთი უნდა შიოდეს, მწვრთნელიც შემოქმედებითად უნდა იწვოდეს. **შოთა არველაძემ** არაერთხელ დაამტკიცა, რომ ის ჟინით გაუმაძღარი ფეხბურთელი იყო. „ტრაბზონსფორიდან" „აიაქსში" გადასვლის წინ ბევრად უფრო სარფიანი წინადადებები ჰქონდა, შეეძლო ისევ თურქეთში დარჩენილიყო, სადაც ამსტერდამელებზე მეტ გასამრჯელოს სთავაზობდნენ, მაგრამ უკეთეს ჯამაგირს პერსპექტივა და პრესტიჟი ამჯობინა.

„აიაქსის" მერე იყო „გლაზგო რეინჯერსი", ქრონიკულად მტკივან მუხლზე გადატანილი ოპერაციები და „ჩაფრებთან" კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ შემოთავაზება ყატარიდან, სადაც მისი უახლოესი მეგობარი **რონალდ დე ბური** უკვე თამაშობდა და შოთასაც თავისთან წასვლას ურჩევდა - ყატარული ხვატი, არცთუ დიდი დატვირთვები და ბევრი ფული - ტყუპისცალმა ამაზე უარი თქვა და ხრტილამოტეხილი მუხლით ისევ ევროპაში დარჩენა მოისურვა. პერიფერიული „ალკმაარი" 32 წლის არველაძისთვის არ იყო დიდი სატყუარა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებაში დიდი როლი პიროვნების ფაქტორმა შეასრულა - შოთას „ალკმაარში" მისვლა თვით **ლუის ვან გაალმა** შესთავაზა, ვინც სწორედ მაშინ დაინიშნა ამ გუნდის თავკაცად...

შოთას არაერთხელ ურჩევია ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელებისთვის რუსეთისა თუ უკრაინის მეორეხარისხოვან გუნდებში გადასვლას, ევროპაში თამაში გიჯობთ, სადაც თავიდან არ გექნებათ მაღალი ხელფასი, მაგრამ სამაგიეროდ, მოხვდებით მოწესრიგებულ გარემოში, სადაც გექნებათ უკეთესი საშუალება, ნამდვილ პროფესიონალებად ჩამოყალიბდეთო. ბევრმა არ დაუჯერა და აკი ხელიც მოეცარათ - შერჩათ კარგი „პადიომნი" და ხელფასი, მაგრამ ნაღდ ფეხბურთელებად ვერ გამოიწვრთნენ.

ყმანვილობაში შოთას პირადი მწვრთნელი **ჯემალ ჩიმაკაძე** გახლდათ. გახსოვდეთ, თქვენ საუკეთესოები ხართ და ამის ყოველთვის უნდა გჯეროდეთ, - ასეთი იყო ჩიმაკაძის შეგონება ტყუპი არველაძეებისადმი და ალბათ ამიტომაც, მათ არასდროს უფიქრიათ ნაბერეჟნიე-ჩელნიში, კრივოი როგსა თუ ზაქათალაში სათამაშოდ წასვლაზე. სხვათა შორის, „რეინჯერსის" მერე არველაძის აყვანას ყაზანის „რუბინიც" ფიქრობდა და არ არის ძნელი წარმოსადგენი, რა ჰონორარსაც გაიმეტებდა ჩვენებურისთვის, მაგრამ... თათარსტანი და შოთა - არ გამოვიდა.

შოთამ ჯერ კიდევ მაშინ გადაწყვიტა მწვრთნელობა, „ალკმაარში" რომ თამაშობდა. *„მეგონა, ფეხბურთში ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ ვან გაალისგან იმდენი ახალი რამ ვისწავლე, რასაც ვერც კი წარმოვიდგენდი. ის მართლაც ძლიერი მწვრთნელია"*, - გვითხრა ერთხელ შოთამ.

ვან გაალისგან მას თითქოს მწვრთნელური მუხტი გადაედო, ისეთი ბაცილა შეეყარა, რომლისგანაც განკურნება შეუძლებელია. შოთას ადრეც ჰქონდა მწვრთნელისთვის დამახასიათებელი მოთხოვნილებები. კარგად მახსოვს, გლაზგოში, „რეინჯერსის" ბაზაზე რომ ჰქონდა ჩვენს ნაკრებს ვარჯიში, შოთა უფრო მეტ მითითებას აძლევდა შედარებით გამოუცდელ ფეხბურთელებს, ვიდრე **კლაუს ტოპმიოლერი.** მოედანზე მწვრთნელივით ყვიროდა, თანაგუნდელებს უბრაზდებოდა კიდეც.

*„ხალხს ჰგონია, რომ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები სათანადოდ არ ვიბრძვით, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ასე არ არის, ჩვენ, უბრალოდ, სწორად არ ვთამაშობთ და გარედან ისე ჩანს, რომ ბრძოლა გვეზარება"*, - არაერთხელ უთქვამს შოთას, რომელმაც ბოლო წლებში გამოცდილებისა და „სწორად თამაშის" ხარჯზე მიაღწია კიდეც წარმატებებს (გოლებს) ჰოლანდიის ჩემპიონატსა და უეფას თასზე.

შოთა ყოველთვის წინ იხედებოდა. „ამსტერდამ არენაზე" „აიაქსი" „ალკმაარს" მასპინძლობდა და 1:0-ს იგებდა. ამ მეტად მნიშვნელოვან შეხვედრაში შოთამ გამთანაბრებელი გოლი გაიტანა, მაგრამ შესაბამისი ემოცია არ გამოუხატავს, თანაგუნდელებმაც ჯერ მსაჯისკენ გაიხედეს, ალბათ, გოლი არ ჩათვალაო... შოთამ კი ამით უბრალოდ პატივისცემა გამოხატა „აიაქსის" გულშემატკივრების მიმართ - ის ხომ ოთხი წელი თამაშობდა ამ გუნდში.

„მისტერ ბინი", „შოუთაიმი", „სიმპლ შოთა" (უბრალოდ, შოთა) - სწორედ „აიაქსში" თამაშის დროს შეარქვეს ეს თიკუნები არველაძეს, სწორედ ამ გუნდში ჩამოყალიბდა ის ევროპული რანგის ფეხბურთელად. დღეს კი მას „აიაქსი" მწვრთნელობას სთავაზობს. ჯერ მკაფიოდ არ არის გარკვეული, კონკრეტულად რა თანამდებობაზეა ლაპარაკი, მაგრამ შოთას „აიაქსში" შესაძლო დაბრუნება უკვე არ არის პატარა ამბავი.

როგორც ვან გაალის ერთ-ერთი თანაშემწე, შოთა წლეულს ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა. „ალკმაართან" კიდევ ერთი წლით აკავშირებს კონტრაქტი, თუმცა ეს ვერ იქნება დიდი დაბრკოლება „აიაქსში" გადასასვლელად. „ამსტერდამ არენაზე" დაბრუნება - ეს უკვე დიდი გამოწვევაა...

ფეხბურთის ფედერაციამ მას საქართველოს ნაკრების გაძღოლა მაშინ შესთავაზა, სანამ არჩევანი **ექტორ კუპერზე** გაკეთდებოდა. მიუხედავად გამოუცდელობისა, შოთას გულით უნდოდა ნაკრების მწვრთნელობა, მაგრამ ფეხბურთი ხომ ცხოვრებასავითაა - სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი ძალიან ბევრს ნიშნავს. შოთაც მოერია საკუთარ თავს და ნაკრების მწვრთნელობაზე უარი განაცხადა.

ახლა მორიგი გადაწყვეტილების ჯერია, თუმცა „აიაქსით" არ მთავრდება ყველაფერი - შევიტყვეთ, რომ შოთა კიდევ ერთ შეთავაზებას ელის...

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონი

## გიორგი ადამია
# მეტოქეებს არც ევროთასებზე გავახარებთ



გიორგი ადამია

**გიორგი ადამიამ** ბოლო ტურში ლომის წილი დაიდო „ბაქის" გაჩემპიონებაში, გოლი და საგოლე პასი მისი მონაგარია „მუღანთან" მატჩში. სხვათა შორის, ადამიამ საოცარი გოლი გაიტანა, მან მიყოლებით ხუთი მცველი მოატყუა და ისე შეაგდო. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობა ადამიას კლუბში დატოვების მიზანშეწონილებაზე ალაპარაკდა. შეგახსენებთ, რომ საკითხი ჯერ კიდევ ღიაა. გთავაზობთ ადამიას ინტერვიუს „აზერისპორტთან"...

- ისე მოხდა, რომ კონკრეტულ ეპიზოდში გადავწყვიტე ფონს დრიბლინგით გავსულიყავი, ყველა გოლი თავისებურად ლამაზია. ეს გოლი კი მხოლოდ იმითაა გამორჩეული, რომ საჩემპიონო მატჩში გავიტანე.

**- გიორგი თქვენ მეორედ გახდით აზერბაიჯანის ჩემპიონი, ერთხელ „ნეფთჩის" რიგებში, ხომ არ შეადარებდით ამ ორ ტიტულს?**

- რა მნიშვნელობა აქვს, რომელი კლუბის სახელით გახდები ჩემპიონი, ჩემთვის ორივე ტიტული ერთნაირად ძვირფასია.

**- რის ხარჯზე გახდა „ბაქი" ქვეყნის ჩემპიონი?**

- გუნდი ერთ მუშტად იყო შეკრული. კარიერის განმავლობაში ბევრ კლუბში მითამაშია, მაგრამ პირველი, რაც აქ გადმოსვლის მერე გამიკვირდა, სწორედ ესაა - „ბაქიში" ყველა ერთი ოჯახივითაა. ამიტომაც სეზონის ბოლოს მეტოქეებზე მეტი ქულები დავაგროვეთ.

**- ვინ არის ასეთი ატმოსფეროს შემქმნელი?**

- ყველა - სამწვრთნელო შტაბი, კლუბის შეფობა, ფეხბურთელები... გუნდში არ აქვს მნიშვნელობა რა ეროვნების ხარ, ყველანი ძმები ვართ. გაუგებრობები თუ ხდება ჩვენ შორის, ისიც მხოლოდ მოედანზე, მის გარეთ - არა.

**- „ოლიმპიკთან" წაგების შემდეგაც გჯეროდათ ჩემპიონობის?**

- ჩვენი ძალების მაშინაც გვეიმედებოდა, როცა მოულოდნელად „ხაზართანაც" დავმარცხდით. ჩვენს წარმატებებს საიდუმლო არ აქვს, რომც ჰქონოდა თქვენ ამას არ გეტყოდით. უბრალოდ, ბოლომდე ვირწმუნეთ საკუთარი ძალების, რომ აუცილებლად გავხდებოდით ჩემპიონები.

**- დასვენება დიდ ხანს არ მოგიწევთ, ევროთასები კარზეა მომდგარი...**

- არა უშავს, დასვენებას ყოველთვის მოვასწრებთ. მთავარია, ევროთასებზე კარგად ვიასპარეზოთ, თუ ჩვეულად გავაგრძელებთ, გარწმუნებთ, ჩვენს მეტოქეებს რთული მატჩები ელით.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**



რევაზ ბარაბაძე

# ბარაბაძე ვარჯიშს შეუდგა

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ რევაზ ბარაბაძემ ვარჯიში ჩვეული დატვირთვით განაახლა. საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი შარშან, აგვისტოს დასაწყისში, მახაჩყალის „ანჟის" ერთ-ერთ შეხვედრაში დაშავდა და მენისკის ურთულესი ოპერაცია გაიკეთა. რეზომ უკვე გაიარა რეაბილიტაციის კურსი.

*„მეორე კვირაა, ბურთით ტრენაჟორების დარბაზში ვვარჯიშობ. კუნთი ძველებურად მოლონიერდა და ათ დღეში ოპტიმალური დატვირთვები მექნება. მთელ ევროპაში სეზონი მთავრდება და მომავლისთვის რაღაც იმედები მაქვს. თუმცა სად გადავალ, ეს ჯერ კიდევ არ არის გარკვეული და ვერაფერს გეტყვით", - გვითხრა ბარაბაძემ.*

**მერაბ მამულაშვილი**

# ივანიშვილის გოლი, ანანიძის საგოლე

საფრანგეთის ჩემპიონატში დარჩენისთვის იბრძვის „ლე მანი", რომლის სარეზერვო შემადგენლობაში სამი ქართველი ირიცხება. ეს გუნდი საფრანგეთის სამოყვარულო ლიგაში თამაშობს, სადაც 78 ქულით მე-6 ადგილზეა. ბოლო ტურში „ლე მანი" შინ 0:2 დამარცხდა „კოლომიესთან". მატჩში ორმა ჩვენებურმა ითამაშა, **ვახტან ფანცხავამ** თავიდან ბოლომდე, ხოლო **ამირან სანაია** მე-80 წუთზე ჩაერთო. **გიორგი მაკარიძე** კი ამჯერად არ გამოჩენილა.

შვეიცარიაში ჩემპიონობისთვის იბრძვის „ციურიხი", მის სარეზერვო გუნდში კი წარმატებით ირჯება **გიორგი ივანიშვილი**. ბოლო ტურში „ციურიხის" 21-წლამდელთა გუნდი „ჰიონგს" ესტუმრა და 1:3 დამარცხდა. ივანიშვილმა 90 წუთი ითამაშა და 88-ე წუთზე პრესტიჟის გოლი გაიტანა. ქართველი ფორვარდი რეზერვისტთა ლიდერად ჩამოყალიბდა და ერთი-ორჯერ ძირითადი გუნდის სკამზეც მოხვდა.

პორტუგალიის ახალგაზრდულ ჩემპიონატში „ბენფიკამ" 2:0 მოუგო „ამადორას", 17 წლის ქართველი **ბაქარ მირცხულავა** ამჯერად სათადარიგო იყო. რეგულარული ჩემპიონატი „ბენფიკამ" მეორე ადგილზე დაასრულა, პლეიოფის ჯგუფში კი ქართველის გუნდი პირველია 16 ქულით.

რუსეთის დუბლების ჩემპიონატში **ჯანო ანანიძის** „სპარტაკი" „ტომს" სტუმრად 1:1 დაუზავდა. ქართველი შემტევი ნახევარმცველი სასტარტო შემადგენლობაში იყო. მატჩის 53-ე წუთზე **არტურ მალოიანმა** ჯანოს პასით გახსნა ანგარიში. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრის, **ირაკლი კვეკვესკირის** „ყუბანი" სტუმრად „კრილია სოვეტოვთან" დამარცხდა - 0:1. ირაკლიმ 90 წუთი ითამაშა კრასნოდარელთა დუბლების შემადგენლობაში. „რუბინის" მეორე შემადგენლობა „ამკარს" ეწვია, სტუმრებმა პირველი ტაიმი 0:2 დათმეს, ამიტომაც მწვრთნელმა საქმეში სათადარიგო გოლკიპერი **ნუკრი რევიშვილი** ჩართო, ნუკრის გოლი არ გაუშვია, თუმცა „რუბინი" მაინც დამარცხდა - 1:2.

უკრაინის დუბლების ჩემპიონატშიც ითამაშეს ქართველებმა - „დნიპროს" მეორე შემადგენლობამ სტუმრად 5:1 მოუგო „კრივბასს". **ბექა გოცირიძე** 63-ე წუთზე შეცვალეს მას თავი არაფრით გამოუჩენია. მატჩის 75-ე წუთზე „დნიპროს" რიგებში **ბექა ბეროშვილი** გამოჩნდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გიორგი ივანიშვილი

ინტერვიუ

## ნოდარ აკობია
# ჩვენ სისტემის პროდუქტთან წავაგეთ
## ჯორჯიას ამსტერდამში გაისადაც ელიან



ნოდარ აკობია

„ფონდი არველაძის" დახმარებით ქართველი 12-წლამდელები ამსტერდამში TORNEO DEL FUTURO-ს ტურნირზე რომ ითამაშებდნენ, „ლელომ" არა ერთხელ გაუწყათ. ტურნირი გასულ უქმეებზე გაიმართა. „ჯორჯიამ" (ასე ჰქვია ჩვენი მოზარდების გუნდს) 7 თამაშიდან 6 წააგო და ერთი მოიგო - „ჩელსისთან" 0:2 დამარცხდა, იაპონურ „კაშიმასთან" 0:1, მილანის „ინტერთან" 0:1, „აიაქსთან" 0:3, „ანდერლეხტთან" 0:4, „ალკმაართან" 0:1, და მხოლოდ ამსტერდამის რაპ-ს მოუგო - 2:1.

ერთობ სასიამოვნო ამბავიც: ტურნირის საუკეთესო მეკარეებად ჯორჯიელები - ნიკა ადეიშვილი და ოთარ გოშაძე დაასახელეს. „ჯორჯიას" მწვრთნელი გახლავთ გამოცდილი სპეციალისტი ნოდარ აკობია, რომელსაც ტურნირის შეჯამება ვთხოვეთ...

**- ბატონო ნოდარ, ტურნირზე 7 მატჩიდან 6 წააგეთ. ასეთი შედეგი თქვენთვის მოსალოდნელი იყო?**

- რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო. ეს ბავშვები ხომ პირველად მონაწილეობდნენ ასეთი რანგის შეჯიბრებაში. ისინი პირდაპირ, უცბად შეეჯახნენ ევროპის ტოპსკოლების გუნდებს. ასე რომ, ის შედეგი, რაც მივიღეთ, შემთხვევითი არ ყოფილა. კარგად გამოჩნდა, თუ რა საზომით უნდა განისაზღვროს შესაძლებლობები, რა დონემდე უნდა მივიდეთ... ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა, რომ ამ ტურნირზე გაისადაც დაგვპატიჟეს. ამის გამო პირველ რიგში შოთა არველაძეს უნდა გადავუხადოთ მადლობა. რომ არა ის, ჩვენი ბავშვები ასეთი მაღალი დონის ტურნირზე ვერ მოხვდებოდნენ.

**- ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, რაშიც მკვეთრი განსხვავება დაინახეთ, ალბათ, ფიზიკური მომზადება იყო...**

- ცხადია, მეტოქეებს ფიზიკურად ჩამოვრჩებოდით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ჩვენი მოზარდები გაცილებით უფროსი ასაკის ფეხბურთელებს ეთამაშებოდნენ. სისწრაფე, გამძლეობა, საერთო ფიზიკური მონაცემები - მეტოქე გუნდები ამაში ძალიან ძლიერები გამოდგნენ.

**- გასაგებია, რომ ჩვენი და ევროპელი ბავშვები აბსოლუტურად სხვადასხვა პირობებში ემზადებიან, მაგრამ მაინც რითია გამოწვეული ამხელა სხვაობა? რა არის აქ მთავარი ფაქტორი?**

- ევროპელებს დაგეგმილი სისტემა აქვთ და მათი ბავშვთა გუნდებიც სისტემური მუშაობის პროდუქტს წარმოადგენენ. ისინი ყველაფერს გეგმაზომიერად აკეთებენ. მათი განვითარების სისტემა იმასაც მოიცავს, რომ კონკრეტულ ასაკში ბავშვებს კონკრეტული მიმართულებით წვრთნიან. ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროგრამა სახელმწიფო რანგშია აყვანილი.

**- კიდევ რა შენიშნეთ ევროპის წამყვანი კლუბების ბავშვთა გუნდებში განსაკუთრებულად საყურადღებო?**

- მოგეხსენებათ, ამ ტურნირს მომავლის ჩემპიონთა ლიგას უწოდებენ და მოზარდებს მწვრთნელები დავალების შესრულებას ისე სთხოვდნენ, როგორც პროფესიონალ ფეხბურთელებს.

**- ტურნირზე ერთი მატჩის მოგება მაინც მოახერხეთ. რაპ-ი საკმაოდ ცნობილი ბავშვთა სკოლაა ჰოლანდიაში და მიუხედავად ამისა, მასთან გაიმარჯვეთ...**

- დაძაბული თამაში იყო. გადამწყვეტი გოლი გიორგი ზარიამ შეაგდო, რომელმაც მეკარის შეცდომით ისარგებლა.

**- როგორც შევიტყვეთ, მილანის „ინტერთანაც" შეიძლებოდა არწაგება...**

- იტალიელებმა გოლი მართლაც საეჭვო 11-მეტრიანიდან გაგვიტანეს. მანამდე ვატო არველაძეს ჰქონდა კარგი მომენტი, მაგრამ ვერ გამოიყენა.

**- ტურნირის საორგანიზაციო დონე ალბათ მაღალი იყო. იქნებ კონკრეტულად გვითხრათ ამის შესახებ...**

- ყველაფერი მართლაც მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. თამაშებს შორის კვებაც კი იყო გათვალისწინებული. სასტუმროში ბანანები და წვენები უხვად ელაგა ბავშვებისთვის. ერთი სიტყვით, პირობები ჩინებული იყო.

**- ფაქტობრივად, „ჯორჯია" საქართველოს 12-წლამდელთა ბავშვების კრებული იყო. ნუთუ არ შეიძლებოდა, ამ ტურნირზე ოდნავ უკეთ გამოსვლა?**

- ეს ბავშვები საქართველოში მეტოქეებს 10:0, 15:0, 26:0 ამარცხებენ... მაგრამ ამსტერდამის ტურნირზე ვერაფერი გააწყვეს მეტოქეებთან, რადგან სულ სხვა წინააღმდეგობას წააწყდნენ.

**-"ჯორჯიას" ორი მეკარე ტურნირის საუკეთესო გოლკიპერებად დაასახელეს. გამოდის, რომ განსხვავება ჩვენსა და ევროპელ ბავშვებს შორის უზარმაზარი არ უნდა იყოს...**

- მერწმუნეთ, განსხვავება მართლაც მკვეთრია. რაც შეეხება მეკარეებს, ადეიშვილი და გოშაძე ნამდვილად საუკეთესონი იყვნენ. „ჯორჯიასთან" სისტემატური მუშაობამ ორი თვის განმავლობაში მომიწია და მეკარეებს რამდენიმე ტექნიკური ილეთი დავახვეწინე. მათ მართლაც კარგი მონაცემები აქვთ.

**- ტურნირზე გამგზავრებამდე თქვით, „ჯორჯია" იმის ჩვენებას ალბათ მოახერხებს, რასაც ფეხბურთში ქართული ხასიათი ჰქვიაო. შეძლეს ეს ჩვენმა ბავშვებმა?**

- რასაც ფეხბურთის თამაში ჰქვია, ამით „აიაქსმა" დაგვჯაბნა, დანარჩენმა გუნდებმა გოლები მეტწილად სტანდარტული სიტუაციებიდან გაგვიტანეს.

**- გაისად ახალი გუნდის შექმნაზე მოგიწევთ მუშაობა?**

- არა, რადგან ტურნირის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ გათამაშებას ასაკი ერთი წლით მოუმატონ, ანუ შეჯიბრება 13-წლამდელთა შორის ჩატარდება. ეს ბირთვი, რომელმაც ახლა ითამაშა, შენარჩუნებული იქნება, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ რაღაც ცვლილებები მოხდეს. ალბათ იცით, რომ ეს ბავშვები სხვადასხვა საფეხბურთო სკოლის წევრები არიან და მხოლოდ კვირაში ორჯერ ვახერხებთ მათ ერთად შეკრებას. მოკლედ, საგაისოდ, „ჯორჯია" კიდევ უფრო დაიხვეწება.

**დავით თავართქილაძე**





უეფას თასი. ფინალის წინათქმა

# ვინ მოიგებს ბოლო ფინალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღეს საღამოს, სტამბულში უეფას თასის ფინალურ მატჩში ტიტულისთვის დონეცკის „შახტარი" და ბრემენის „ვერდერი" იბრძოლებენ. ვერ ვიტყვით, რომ ამ მატჩს საფეხბურთო ევროპა მოუთმენლად ელოდა, რადგან უეფას თასმა დიდი ხანია, დაკარგა ლაზათი, მაგრამ ეს ფინალია, ფინალი კი ყოველთვის საინტერესოა.**

„ვერდერმა" წელს ბუნდესლიგაში ამაზრზენად იასპარეზა, დასკვნითი ტურის წინ მეათე ადგილზეა და ბოლო შეხვედრებში ბუნდესლიგელებს ქულებს უპრობლემოდ ურიგებს. მიუხედავად მეათე ადგილზე ყოფნისა, რაც ბრემენული კლუბისთვის ფაქტობრივად კატასტროფული შედეგია („მუსიკოსები" ხომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშს არიან მიჩვეულები), ბრემენში მაინც ყველა კმაყოფილია. შესაძლოა იმიტომაც, რომ სეზონის მიწურულს „ვერდერს" 10 დღეში ორი ტიტულის მოგება შეუძლია: უეფას თასის და გერმანიის თასის.

„მუსიკოსების" დამრიგებელი **თომას შააფი** საგონებელში ნამდვილად არ არის ჩავარდნილი იმის გამო, რომ მისმა გუნდმა წელს გერმანიის ჩემპიონატში თავი შეირცხვინა. გამოცდილი სპეციალისტი იმითაც კმაყოფილია, რომ ბრემენელები გერმანიისა და უეფას თასის ფინალში არიან. *„ჯერ ხელში არაფერი გვიჭირავს, გარდა სტამბულის ბილეთებისა,"* - თქვა შააფმა რამდენიმე დღის წინ.

„ვერდერს" ფინალში, ანუ, სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან მატჩში ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელი არ ეყოლება: გუნდის დირიჟორი **დიეგო** დისკვალიფიცირებულია. სწორედ ამიტომ, მთელი საფეხბურთო გერმანია დარწმუნებულია, რომ ნახევარდაცვაში წამყვანი როლი დაბადებით თურქს, **მესუთ იოზილს** დაეკისრება, რომელსაც შააფი ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ხშირად ანდობს ფლეიმეიქერის საპასუხისმგებლო პოზიციას.

*„დიეგოსთან ერთად და დიეგოს გარეშე, „ვერდერი" ორი განსხვავებული ცნებაა. ძალიან სამწუხაროა, რომ ბრაზილიელი ფინალში ვერ დაგვეხმარება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მის გარეშეც შეგვიძლია წარმატების მიღწევა. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ „შახტარი" დავამარცხოთ,"* - აცხადებს იოზილი, რომელსაც, სხვათა შორის, თურქეთში ვერ იტანენ, რადგან სამშობლოს ნაკრებს, გერმანიის ნაკრებში თამაში ამჯობინა. თუმცა იოზილი მატჩის წინ ცდილობს, სტამბულელების გული მოიგოს და ამბობს, ბავშვობიდან „ფენერბაჰჩეს" ფანი ვარ და ჩემთვის ამ კლუბის სტადიონზე თამაში დიდი პატივიაო.

*„ეს სეზონი ძალიან ცუდად ჩავატარეთ და ახლა გვინდა, რომ გულშემატკივრებს უეფას თასის მოგებით მოვუბოდიშოთ, მაგრამ „შახტარი" ძალიან ძლიერი გუნდია და ფრთხილად უნდა ვიყოთ. დონეცკელები ფინალში შემთხვევით არ გასულან,"* - ეს კი მეკარე **ტიმ ვიზეს** განცხადებაა.

*„ერთი კვირის წინ ვფიქრობდი, რომ ჩვენს გუნდში არასათანადო განწყობა იყო და მეჩვენებოდა, რომ ფეხბურთელებს მოტივაცია აკლდათ. ახლა კი, მას მერე, რაც სტამბულში ჩამოვედით, დავრწმუნდი, რომ თითოეული ჩვენგანი ასი პროცენტით მზადაა ფინალისთვის,"* - ამბობს **ტორსტენ ფრინგსი**, რომელიც 32 წლისაა და კარიერაში საკლუბო დონეზე პირველ ფინალში ითამაშებს.

დიეგოს გარდა, ბრემენული კლუბის რიგებში ვერც დაცვის ბურჯ **პერ მერტეზაკერს** (ტრავმა) ვიხილავთ და ვერც პორტუგალიელ ფორვარდ **უგო ალმეიდას** (დისკვალიფიკაცია). არსებობდა საშიშროება, რომ ფინალში თავდამსხმელები, **კლაუდიო პისარო** და **მარკუს როზენბერგი** ვერ ითამაშებდნენ, მაგრამ გუშინვე გაირკვა, რომ ორივე მათგანი მწყობრშია. გუშინ გუნდთან ერთად ისევ ივარჯიშეს **ნალდომ** და **აარონ ჰანტმაც** - ასე რომ, მოედანზე გასვლა მათაც შეეძლებათ.

*„ასეთი თამაშისთვის გუნდს განსაკუთრებული მენტალიტეტი სჭირდება და ის, რომ „ვერდერს" ასეთი მენტალიტეტი აქვს, ჩვენ „ჰამბურგთან" შეხვედრებში დავამტკიცეთ,"* - აცხადებს ბრემენული კლუბის სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი**.

რაც შეეხება „შახტარს" - გუშინ ნაშუადღევს დონეცკელებმა პრესკონფერენცია გამართეს. პრესას **დარიო სრნა**, მთავარი მწვრთნელი **მირჩა ლუჩესკუ** და ბრაზილიელი **ფერნანდინიო** წარუდგნენ. მათ ბევრი ისაუბრეს, მაგრამ ფაქრობრივად არაფერი თქვეს. ეს განსაკუთრებით ლუჩესკუზე ითქმის, რომლის წინადადებებსაც თარჯიმნები რუმინულიდან რუსულის გავლით, ინგლისურად, გერმანულად ან თურქულად თარგმნიდნენ და შესაძლოა, ამ გრძელ გზაზე ბევრი სიტყვა თუ აზრი დაიკარგა.

24 წლის ფერნანდინიომ თქვა, საოცარია ის ფაქტი, რომ მე ასეთ ასაკში, დონეცკის „შახტართან" ერთად ევროტურნირის ფინალში გავედიო. 63 წლის ლუჩესკუსთვის კი სტამბული ძალიან კარგად ნაცნობი ქალაქია: მირჩა „გალათასარაისაც" წვრთნიდა და „ბეშიქთაშსაც". ლუჩესკუმ სტამბული აქო, ძალიან ლამაზი ქალაქიაო და აქო თურქებიც, ფეხბურთში ყველაფერი იდეალურად ესმითო. ცხადია, ლუჩესკუ ოპტიმისტურადაა განწყობილი და თავისი გუნდის წარმატების სჯერა. იმის გამო, რომ ეს ფინალი უეფას თასის ისტორიაში უკანასკნელია, მირჩასთვის მისი მოგება განსაკუთრებით საამაყო იქნება. სხვა მხრივ კი, „შახტარის" თავკაცს ბევრი არაფერი უთქვამს, აღნიშნა მხოლოდ ის, რომ **ჟადსონი** სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს, რადგან გამოჯანმრთელება მოასწრო. მიმომხილველები კი ვარაუდობენ, რომ ჟადსონს სასტარტოში **ვილიანის** ნაცვლად ვიხილავთ, ხოლო **გაის** ნაცვლად კი, ლუჩესკუ **ლევანდოვსკის** ათამაშებს.

*„ჩემი გუნდის მთავარი კოზირი ტექნიკაა. ჩვენი მიზანია, რომ თამაში ვაკონტროლოთ,"* - განაცხადა უკრაინული კლუბის თავკაცმა. რაც შეეხება „ვერდერის" ძლიერ მხარეებს, ლუჩესკუს აზრით, ბრემენული კლუბის მთავარი პლუსები შემტევი ფეხბურთი და ფიზიკური სიძლიერეა: „ვერდერს" შესანიშნავი ათლეტები ჰყავს, რომლებიც საქმეს გაგვირთულებენ."

**გოტფრიდ ლენცი**

### სავარაუდო შემადგენლობები

**შახტარი:** პიატოვი - სრნა, კუჩერი, ჩიგრინსკი, რატი - დულიაი, გაი - ილსინიო, ფერნანდინიო, ვილიანი (ან ჟადსონი) - ლუის ადრიანო.

**ვერდერი:** ვიზე - კ. ფრიტცი, პრიოდლი, ნალდო, ბიონიში - ციოლისი, ბაუმანი - ფრინგსი, იოზილი - როზენბერგი, პისარო.

**არბიტრი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)





იუვენტუსი

# კანავარო იუვეში დაბრუნდა

## რანიერი რომაში მიდის?

**კლაუდიო რანიერი** ტურინის „იუვენტუსის" მთავარ მწვრთნელობას გუშინ გამოეთხოვა და ადგილი **ჩირო ფერარას** დაუთმო. სენიორ კლაუდიოს ძალიან არ უნდოდა დაკავებული პოსტის დატოვება, მაგრამ მოუწია. „იუვეს" ხელმძღვანელებს ნამდვილად ჰქონდათ ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი - გუნდს სერია A-ში მთელი შვიდი ტურია არ მოუგია, რაც დაგვეთანხმებით კატასტროფული შედეგია. რანიერი ჟურნალისტებს გაესაუბრა და განაცხადა, რომ მოვლენათა ასეთ განვითარებას მოელოდა:

*„ბოლო დღეებში ვგრძნობდი, რომ პოსტის დატოვება მომიწევდა. მიუხედავად ამისა, ვცდილობდი, საბრძოლო განწყობა არ დამეკარგა და ფეხბურთელებისთვის მოტივაცია არ დამეგდო. ძალიან საწყენია, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანე. დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ გუნდი სწორი მიმართულებით მიდიოდა და მომავალ სეზონში აუცილებლად გვექნებოდა წარმატება. რაც მოხდა, მოხდა, ველარაფერს შევცვლით. მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც მუშაობაში მეხმარებოდა. მადლობა ფეხბურთელებს და კლუბის ხელმძღვანელებს. წარმატებებს ვუსურვებ ჩირო ფერარას და „იუვეს" მომავალ მესაჭეს. რას გავაკეთებ უახლოეს მომავალში? - საკმაოდ რთული სეზონი იყო და პირველ რიგში კარგად დავისვენებ. შემდეგ კი ვნახოთ, ფეხბურთთან გამოთხოვებას ჯერ არ ვაპირებ".*

იტალიური პრესა კი მოვლენათა შესაძლო განვითარების ახალ ვარიანტზე საუბრობს. როგორც იცით, დიდია იმის შანსი, რომ სეზონის დასრულებისთანავე „რომას" **ლუჩანო სპალეტი** გამოეთხოვოს. თავხოტორა სპეციალისტი „იუვეს" დამრიგებლის პოსტზე ერთ-ერთ მთავარი კანდიდატად ითვლება. სწორედ მისი და **ანტონიო კონტეს** ვარიანტებს განიხილავენ ყველაზე აქტიურად ჟურნალისტები. თუ სპალეტიმ მართლაც დატოვა „ჯალოროსი", მისი შემცვლელი გახდება მოსაძებნი. ეს მწვრთნელი კი შესაძლოა, კლაუდიო რანიერი იყოს. „კორიერეში" გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, ლუჩანოს წასვლის შემთხვევაში, „რომას" მესვეურები სწორედ რანიერის ვარიანტს მიანიჭებენ უპირატესობას. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

„იუვენტუსის" გულშემატკივრებისთვის სასიამოვნო სიახლე გვაქვს. გუშინ, გადაწყდა, რომ **ფაბიო კანავარო** მომავალი სეზონიდან „ვეკია სენიორას" ღირსებას დაიცავს. გვიან საღამოს, ეს ინფორმაცია ტურინული გრანდის ვებგვერდმაც დაადასტურა. იტალიის ნაკრების კაპიტანს „რეალთან" ხელშეკრულება ივნისში ეწურება და მისი „იუვეში" გადასვლა ძალიან მარტივად მოხერხდა. ფეხბურთელმა ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი გახანგრძლივების პერსპექტივით. კანავარო ტრანსფერმა ძლიერ გაახარა და ეს არც ჟურნალისტებთან დაუმალავს:

*„ბედნიერი ვარ იმით, რომ კვლავ მომეცემა ტურინული გრანდის მაისურის ჩაცმის საშუალება. „იუვეში" ასპარეზობა ჩემთვის ყოველთვის დიდი პატივი იყო და ასეა ახლაც. ვგრძნობ, ჯერ კიდევ შემიძლია გუნდს სარგებელი მოვუტანო. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ვეკია სინიორაში" არ გადმოვბარგდებოდი. ვიცი, რომ გულშემატკივართა ნაწილი მოღალატედ მთვლის. მათ მიაჩნიათ, რომ „იუვე" გაჭირვების ჟამს მივატოვე. არადა, ეს ასე არ ყოფილა. მაშინ, კლუბს ფინანსურად ძალიან უჭირდა და რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვა გახდა საჭირო. მათ შორის მეც აღმოვჩნდი და ძალიან მიხარია, რომ ჩემს სანაცვლოდ აღებული თანხით „იუვენტუსმა" იხეირა. ვისაც ჰგონია, რომ სხვებზე ნაკლებად მტკიოდა „იუვეს" გასაჭირი, ძალიან ცდება. მიუხედავად ყველაფრისა, დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრები კარგად მიმიღებენ და მეც ყველაფერს ვილონებ მათ გასახარებლად".*

აღნიშნულ ტრანსფერზე კომენტარი გააკეთა „იუვეს' ტექნიკურმა დირექტორმა **ალესიო სეკომ**: *„ფაბიო მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია და ამით ყველაფერია ნათქვამი. ის იტალიის ნაკრების კაპიტანია, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ კანავაროს აქტიური საფეხბურთო კარიერა გრძელდება. ბოლო თვეებში მის გადმობირებაზე ძალიან აქტიურად ვმუშაობდით და გარჯა დაგვიფასდა. კანავაროს სახით, დაცვის რგოლს დიდი ძალა შეემატა. „იუვენტუსი", ფაბიოსთან ერთად, კიდევ უფრო ძლიერი იქნება".*

**ლაშა ნიკლაური**

ფიორენტინა





# კრესპო ვიოლას უმიზნებს

ფლორენციის „ფიორენტინამ" სეზონი ცუდად დაიწყო, რასაც ჰქონდა თავისი მიზეზი. გუნდს ორ ფრონტზე, ჩემპიონთა ლიგასა და სერია A-ში უწევდა ბრძოლა, რაც „ვიოლასთვის"' საკმაოდ რთული ამოცანა გამოდგა. შედეგად, ტოსკანელებმა ვერც ლიგის ჯგუფური ბარიერი დაძლიეს და ვერც ეროვნულ პირველობაზე გამოუვიდათ მთლად კარგი სტარტი. თუმცა, ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირიდან გამოვარდნის შემდეგ, გუნდმა თამაშს მოუმატა და სერია A-ში მდგომარეობა მკვეთრად გაიუმჯობესა. დღეს შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მომავალ სეზონში „ფიორენტინა" კვლავ იასპარეზებს ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში. „ვიოლას" გადასწრების და მეოთხე ადგილზე გადასვლის შანსი ჯერ კიდევ აქვს „ჯენოას", მაგრამ ეს შანსი ნაკლებად რეალურია.

ფლორენციული კლუბის მესვეურები შეცდომის გამეორებას აღარ აპირებენ და მოახლოებული სატრანსფერო ფანჯრისას გუნდის გაძლიერებას სერიოზულად გეგმავენ. პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ვიოლას' ხელმძღვანელებს უკვე გადადგმული აქვთ გარკვეული ნაბიჯები და უახლოეს მომავალში შეიძლება პირველი შედეგებიც მიიღონ. პირველი შენაძენი კი შესაძლოა **ერნან კრესპო** გახდეს. არგენტინელი თავდამსხმელი „ინტერის" ძირითად შემადგენლობაში კარგა ხანია ვერ ხვდება და გუნდის გამოცვლას აპირებს. ფლორენციელთა ინტერესი კრესპოს პირადმა აგენტმა, **ფერნანდო იდალგომაც** დაადასტურა:

*„ერნანი „ინტერიდან" წასვლას აპირებს და ამაში დასამალი არაფერია. ახალგაზრდულ ასაკში აღარ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, რამდენიმე საკმაოდ საინტერესო წინადადება გვაქვს. პრიორიტეტულია „ფიორენტინას"' მესვეურთა შემოთავაზება. „ვიოლა" საკმაოდ ამბიციური გუნდია და შემთხვევითი არაა, რომ ფლორენციელები მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებენ. ერნანი ნამდვილად არ არის წინააღმდეგი, კარიერა ტოსკანაში გააგრძელოს. უახლოეს დღეებში, „ფიორენტინას" მესვეურებთან საქმიანი შეხვედრა მექნება და ბევრ რამეს მოეფინება ნათელი".*

კრესპოს გადაბირების მომხრეა **ალბერტო ჯილარდინოც** და აცხადებს, რომ გუნდს არგენტინელი ძალიან გააძლიერებს. ჯილას თქმით, მისი და გუნდის სხვა ფეხბურთელების სურვილია, „ვიოლას" რამდენიმე მაღალი კვალიფიკაციის მოთამაშე შეემატოს. როგორც ჩანს, ფეხბურთელები კონკურენციას არ უფრთხიან და აცნობიერებენ, რომ სხვაგვარად ორ ფრონტზე ბრძოლა მომავალ სეზონშიც გაუჭირდებათ.

**ლაშა ნიკლაური**

ინტერვიუ

ლეო მესი

# დამირეკოს და ვუპასუხებ

## თუმცა არგენტინელი ფორვარდი მადრიდის რეალში არასოდეს გადავა

ძალიან ბევრი მიზეზი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ ლეო მესის პერსონა ახლა გულშემატკივრებში არნახულ ინტერესს იწვევს. უპირველესი, რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის მოახლოებული ფინალია. ზუსტად ერთ კვირაში რომის ულამაზეს ოლიმპიურ სტადიონზე ერთმანეთს ევროპული ფეხბურთის ორი უდიდესი გრანდი დაუპირისპირდება. როგორც ყოველთვის, ამ ფინალშიც ბევრი რამ ვარსკვლავებზე იქნება დამოკიდებული. „ოლიმპიკოზე“ ერთ მხარეს კრისტიანო რონალდო იქნება, მეორე ბანაკს კი ლეო მესი გაუძღვება. ამ გარემოების გათვალისწინებით, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მომდევნო დღეების განმავლობაში „მანჩესტერისა“ და „ბარსელონას“ ვარსკვლავები მუდმივად ყურადღების ეპიცენტრში იქნებიან. თუმცა, გუშინ მესი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზის გამო, ჟურნალისტების ნადირობის ობიექტი გახდა. საქმე ის არის, რომ სამეფო კლუბის პრეზიდენტის სავარძლის მაძიებელმა ფლორენტინო პერესმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ არგენტინელ გენიოსთან ძალიან დიდი სიამოვნებით ითანამშრომლებდა. სენიორ პერესის ამ განცხადების გამო „ბარსელონას“ ბაზას უამრავი კორესპონდენტი მიაწყდა. კლუბის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა საზოგადოების დიდი ინტერესი გაითვალისწინა და საგანგებო პრესკონფერენცია დანიშნა. იმავე დღეს მესიმ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. მოგეხსენებათ, ის „ადიდასის“ ერთ-ერთი სახეა და ამ კომპანიის ახალ პროდუქტებს რეკლამას უკეთებს. გუშინ ლეომ საზოგადოებას „ადიდასის“ ახალი ბუცების პრეზენტაცია შესთავაზა. აღსანიშნავია, რომ არგენტინელი ფორვარდი ამ ბუცებით ჩემპიონთა ლიგის ფინალს ითამაშებს.



**- ლეო, პირველ რიგში, ფლორენტინო პერესის ბოლო განცხადების შესახებ უნდა გკითხოთ. საპრეზიდენტო კანდიდატმა სრული სერიოზულობით თქვა, მესისთან დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებო. მის ამ სიტყვებს როგორ აღიქვამთ?**

- ძალიან მშვიდად. შესაძლოა, სენიორ პერესს ჩემთან თანამშრომლობა მართლაც უნდოდეს. მე ამაში განსაკუთრებულს და ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ. პირიქით, სრულიად ბუნებრივია, რომ სამეფო კლუბის პრეზიდენტობის კანდიდატს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მოთამაშესთან თანამშრომლობის სურვილი ამოძრავებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ „რეალში“ საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს. არ გამოვრიცხავ, ის ამ თემაზე საუბრით, მხარდამჭერების მობილიზებას აპირებდეს. არ ვიცი, მე ძალიან მშვიდად ვარ და არაფერზე არ ვნერვიულობ.

**- ესე იგი, ფლორენტინო პოპულარული თემით სპეკულირებს?**

- არ ვიცი, მე უბრალოდ, ვივარაუდე. ეს არის და ეს. ალბათ, ჯობია, თავად მას დაელაპარაკოთ და ყველა საინტერესო საკითხი უშუალოდ ფლორენტინო პერესთან გაარკვიოთ.

**- გულწრფელად მითხარით, ფლორენტინო პერესმა რომ დაგირეკოთ, რას იზამთ?**

- თქვენ რას გააკეთებდით? ცოტა არ იყოს, უცნაური კითხვაა.

**- თუ შეიძლება, მიპასუხეთ.**

- ფლორენტინო პერესმა რომ დამირეკოს, აუცილებლად ვუპასუხებ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ზრდილობისა და თავაზიანობის საკითხია.

**- ლეო, ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ თავაზიანი ადამიანი ხართ. სულ სხვა რამ გვაინტერესებს, ფლორენტინო პერესს „რეალში“ გადასვლაზე თუ დაელაპარაკებით?**

- მე ძალიან ბევრჯერ მითქვამს, რომ „ბარსელონაში“ ბედნიერად ვგრძნობ თავს. ყველაფერი, რაც ცხოვრებაში გამაჩნია, ამ კლუბმა მომცა. კატალონიური გრანდი რომ არ დამხმარებოდა, არ ვიცი, ახლა ვინ ვიქნებოდი. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ ფეხბურთელი ვერ გავხდებოდი. სწორედ „ბარსამ“ გამომიწოდა დახმარების ხელი და ბევრი მწვრთნელისგან ხელნაკრავი, არაპერსპექტიულად შერაცხილი პატარა ბავშვი საყმაწვილო სკოლაში ჩამრიცხა. ცხოვრების ბოლომდე მადლობელი ვიქნები. ძალიან მიხარია, რომ ჩემი კარიერა კარგად აეწყო. „ბარსელონას“ ღირსების დასაცავად ყველაფერს ვაკეთებ და მომავალში კიდევ უფრო მეტს გავაკეთებ. ვგონებ, ჩემი პასუხი იმის დადასტურებაა, რომ ფლორენტინო პერესს მადრიდში გადასვლაზე არ დაველაპარაკები. ეს გამორიცხულია. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ადამიანი ბედნიერებას ელტვის და როცა თავს უაღრესად ბედნიერად გრძნობს, ამაზე უარს არ იტყვის. არ არსებობს თუნდაც ერთი მიზეზი, რომელიც „რეალში“ გადასვლაზე დამაფიქრებს.

**- როგორ ფიქრობთ, ფლორენტინო მაინც დაგირეკავთ?**

- არა მგონია. მან ყველაზე კარგად იცის, რომ პირად საუბარშიც იმავეს ვიტყვი, რაც ახლა მოგახსენეთ. სენიორ პერესი სერიოზული კაცია და აუცილებლად ეცოდინება, რომ „ბარსელონა“ ჩემთვის მხოლოდ საფეხბურთო კლუბი არ არის. ის ჩემი სახლი და მეორე სამშობლოა. მოკლედ, დარწმუნებული ვარ, რომ ფლორენტინო პერესი სატრანსფერო საკითხებზე სალაპარაკოდ არ დამირეკავს. მას ყველა სხვა საკითხზე დიდი სიამოვნებით დაველაპარაკები.

**- იყო დრო, როცა ლუიშ ფიგუც თქვენსავით კატეგორიულად საუბრობდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ქუდი დაიხურა და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადავიდა.**

- კი, მაგრამ მე რა შუაში ვარ? ფიგუ, ფიგუა, მე კი ლეო მესი ვარ. ფლორენტინო პერესმა შეიძლება, ძალიან ბევრჯერ თქვას, მესისთან სიამოვნებით ვითანამშრომლებო, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ პრესამ ყოველ ჯერზე ერთი ამბავი ატეხოს და საგანგებო პრესკონფერენციები გავმართოთ? სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, „ბარსელონადან“ არ წავალ. ეს უბრალოდ გამორიცხულია.

**- კარგი, ახლა ჩემპიონთა ლიგის ფინალზეც ვისაუბროთ. როგორ ფიქრობთ, რომაული მატჩი ლეო მესისა და კრისტიანო რონალდოს დუელად იქცევა?**

- მე ასე არ ვიტყოდი. „ბარსელონასა“ და „მანჩესტერის“ დაპირისპირება გაცილებით დიდი მოვლენაა, ვიდრე რომელიმე ცალკეული ფეხბურთელების დუელი. მესმის, რომ კრისტიანო რონალდოსა და ჩემ მიმართ განსაკუთრებული ინტერესია, თუმცა გარწმუნებთ, ფინალს მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით თუ მოიგებ. ეჭვი არ მეპარება, რომ რონალდოც ასევე ფიქრობს. უბრალოდ, ვარსკვლავების სიმრავლე ლამაზ სანახაობას განაპირობებს. „მანჩესტერი“ და „ბარსელონა“ იმდენად ძლიერი გუნდები არიან, რომ მხოლოდ ცალკეულ ფეხბურთელებზე საუბარი არასერიოზული იქნება.

**- „ბარსას“ ფინალში საკადრო პრობლემები ექნება. ტრავმებისა და დისკვალიფიკაციების გამო ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაგაკლდებათ...**

- ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ამაზე ლაპარაკს რა აზრი აქვს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საკადრო პრობლემებმა გადაულახავი პრობლემები არ შეგვიქმნას. ეს დაუშვებელია. ახლა მთავარია, ის მოთამაშეები გამოჯანმრთელდნენ, რომლებიც მკურნალობის ბოლო სტადიაში იმყოფებიან. გასაგებია, რომ რაფა მარკესი ვერ დაგვეხმარება, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ანდრეს ინიესტა და ტიერი ანრი დროულად გამოჯანმრთელდნენ. მათ გარეშე, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გაგვიჭირდება. თუ ტრავმა არ მაწუხებს, ექიმებს ძალიან იშვიათად ვაკითხავ ხოლმე, მაგრამ ეს დღეებია, მათ თითქმის ყოველ დღე ვეკონტაქტები და ჩვენი ბიჭების მდგომარეობაზე ვეკითხები. მგონი, უკვე თავიც მოვაბეზრე, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია. ინიესტა და ანრი „ბარსელონას“ ლიდერები არიან. მათ აუცილებლად უნდა ითამაშონ. გული მწყდება, ერიკ აბიდალი „ჩელსისთან“ მატჩის მთავარი მსაჯის შეცდომის გამო რომ ვერ ითამაშებს, მაგრამ ეს ის რეალობაა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიცვლება.

**- მანჩესტერელებისგან ყველაზე დიდ საფრთხეს რაში ხედავთ?**

- „მანჩესტერ იუნაიტედი“ ზოგადად სახიფათო გუნდია. მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ბრიტანულ გრანდში უამრავი ვარსკვლავი თამაშობს. ყველაზე დიდი საფრთხე, რა თქმა უნდა, ამ გუნდის ამოუწურავი შემტევი პოტენციალია. მანჩესტერელები ყოველთვის დიდი ძალებით უტევენ. ეს არ არის ერთფეროვანი კლუბი. მის ვარსკვლავებს მრავალფეროვანი იერიშების ორგანიზება შეუძლიათ. წინასწარ ვერასოდეს გაიგებ, ისინი რა საფრთხეს შეგიქმნიან. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ პირველიდან უკანასკნელ წამამდე მაქსიმალურად მობილიზებული და კონცენტრირებული უნდა ვიყოთ. ჩემი აზრით, ფინალი ორივე გუნდისთვის ურთულესი იქნება. იოლი გამარჯვების იმედი არავის გვაქვს.

**- ბოლო დროს შედარებით უფერულად თამაშობთ. რა ხდება, ხომ არ გადაიღალეთ?**

- ბუნებრივია, ახლა ისე კარგად ვერ ვარ, როგორც სეზონის დასაწყისში, მაგრამ ეს სრულიად ლოგიკური ფაქტია. აღარც კი მახსოვს, წელს რამდენი თამაში ჩავატარე. რამდენჯერ ვიმოგზაურე და რამდენი კილომეტრი ვიფრინე. ეს ყველაფერი ილექება და გრძნობ, რომ დაიღალე... თუმცა ცხადია, ეს პრობლემა მხოლოდ მე არ მაწუხებს. მანჩესტერელმა ბიჭებმაც დიდი გზა გამოიარეს და ისინიც დაღლილები არიან. უფერულ თამაშს რაც შეეხება, დიახ, ვაღიარებ, წინა თვეებში უფრო კარგად გამოვიყურებოდი. შესაძლოა, ეს მართლაც გადაღლის ბრალი იყოს, მაგრამ გარწმუნებთ, ყველაფრის მიუხედავად, მე ისევ სრული დატვირთვით და დიდი შემართებით ვემზადები.

**- თქვენს მეგობარს, კარლოს ტევესს „მანჩესტერში“ პრობლემები აქვს...**

- ზოგადად სხვა კლუბებზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ ჩემთვის სრულიად გაუგებარია, კარლიტოს გასაშვებად როგორ იმეტებენ. ის იმდენად ძლიერი ფორვარდია, რომ მსოფლიოს ნებისმიერი გრანდის ძირითად შემადგენლობაში მოხვდება. თუ წავა, ამით მხოლოდ „იუნაიტედი“ დაზარალდება. ტევესი მის გზას ყოველთვის მოძებნის და ძალიან დიდ ფეხბურთს ითამაშებს.



სკანდალი

# კალდერონსა და ბოლუდას პატიმრობა ემუქრებათ

## ისინი მადრიდის პროკურატურაში ეჭვმიტანილებად დაიბარეს

**რამონ კალდერონმა** მადრიდის „რეალს“ პრიმერა დივიზიონში ორი გამარჯვების გარდა უამრავი პრობლემა და სკანდალი მოუტანა. როგორც იცით, სამეფო კლუბის ყოფილმა პრეზიდენტმა თანამდებობა მას შემდეგ დაკარგა, რაც ესპანურმა მედიამ ასამბლეასთან დაკავშირებით მომხდარი მაქინაციების შესახებ შეიტყო და ხმაურიანი სტატიები გამოაქვეყნა. მაშინდელი პრეზიდენტი ქუჩიდან მიყვანილი ხალხისთვის ასამბლეის დელეგატის ყალბი მოწმობების დამზადებასა და პირადი მიზნებისთვის მათ გამოყენებაში ამხილეს. მოკლედ, კალდერონს რაღაც საკითხების გატანა უნდოდა და მხარდამჭერები არ ჰყოფნიდა. ამიტომ, მან ოცამდე უცხო პირს ყალბი მოწმობა გადასცა და კენჭისყრაში სრულიად უკანონოდ მიაღებინა მონაწილეობა. ეს ამბავი „დიარიო მარკას“ კორესპონდენტებმა გაიგეს და ერთი ამბავი ატეხეს. იმხელა სკანდალი აგორდა, რომ კალდერონი თანამდებობიდან გადადგა.

თუმცა, როგორც ჩანს, სენიორ რამონი მხოლოდ თანამდებობის დატოვებით ვერ გადარჩება. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კალდერონი და „რეალის“ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **ვისენტე ბოლუდა** მადრიდის პროკურატურაში ეჭვმიტანილის სახით დაიბარეს. ისინი ვალდებულნი არიან, დათქმულ დროს გამომძიებელთან გამოცხადდნენ და ჩვენება მისცენ. წინასწარვე ცნობილია, რომ პროკურატურა ძიების პროცეში მათ დაპატიმრებას არ მოითხოვს, თუმცა სასამართლოზე ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მათ ციხეში, სულ მცირე, ხუთი წლით უკრავენ თავს. პატივცემულ სენიორებს, გამოძიება სწორედ ყალბი საბუთების დამზადებასა და ასამბლეის კენჭისყრების ფალსიფიცირებას ედავება. კალდერონმა ერთ-ერთი რადიოსადგურის კორესპონდენტს განუცხადა, რომ დამალვას არ აპირებს და ადვოკატთან ერთად პროკურატურაში დათქმულ დროს მივა. ასეთივე გეგმა აქვს სენიორ ბოლუდასაც. ორივე მზადაა, გამოძიებასთან ითანამშრომლოს და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში პასუხი აგოს. აღსანიშნავია, რომ პროკურატურა იმ ცრუ დელეგატებსაც დაკითხავს, რომლებმაც ასამბლეის მუშაობაში სრულიად უკანონოდ მიიღეს მონაწილეობა. გამომძიებლები წინასწარ არაფერს ამბობენ, მაგრამ ექსპერტების ვარაუდით, რამონ კალდერონი და ვისენტე ბოლუდა თავს იოლად ვერ დაიძვრენენ. სასაცილო ისტორია სულაც არ არის, მაგრამ ერთ კურიოზულ გარემოებას გვერდს მაინც ვერ ავუვლით. ერთ-ერთმა კატალონიურმა ტოტალიზატორმა კალდერონისა და ბოლუდას შესაძლო დაპატიმრებასთან დაკავშირებით ფსონების მიღებაც კი დაიწყო. ტოტალიზატორის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ცნობით, ერთ დღეში ფსონი 30 ათასზე მეტმა ადამიანმა დადო. მათი 87 პროცენტი ბატონების, რამონისა და ვისენტეს დაპატიმრებას წინასწარმეტყველებს.

გვერდი მოამზადა
ილია ნიკოლაიშვილმა

მილანი




# მალდინი მწვრთნელობას არ აპირებს

## ბექჰემმა ანჩელოტის სიდიადე აღიარა

**კარლო ანჩელოტის** გარშემო ვნებათაღელვა არ ცხრება. ჟურნალისტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ კარლეტო „მილანში" დარჩება, ნაწილი კი მის მომავალს „ჩელსის" უკავშირებს. ბოლო დღეებში, ანჩელოტის ლონდონში გადაბარგების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა. ამ თემაზე კომენტარი გააკეთა **დევიდ ბექჰემმა** და იმედი გამოთქვა, რომ ანჩელოტი კარიერას „მილანში" გააგრძელებს:

„არაერთ მწვრთნელთან მიმუშავია და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კარლო მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ტაქტიკოსია. დიდი ხანი არაა, რაც მასთან ვმუშაობ, მაგრამ უკვე ბევრი რამის სწავლა მოვახერხე. ყველა სიკეთესთან ერთად, ანჩელოტი კარგი ფსიქოლოგია და იცის, როგორ მიუდგეს ამა თუ იმ ფეხბურთელს. დარწმუნებული ვარ, მასზე უკეთ ვერავინ შეძლებს მომავალი სეზონისთვის „მილანის" მომზადებას. პირადად ჩემი და თითოეული ფეხბურთელის სურვილია, რომ ანჩელოტიმ „როსონერიში" განაგრძოს მუშაობა".

ანჩელოტის „მილანში" დარჩენის მომხრეა **პაოლო მალდინიც**. „როსონერის" ლეგენდარული კაპიტანი ორიოდე კვირაში ბუცებს ლურსმანზე ჩამოკიდებს და საფეხბურთო კარიერას დაემშვიდობება. გუშინ პაოლომ Milan Channel-ს ინტერვიუ მისცა და სხვადასხვა საკითხზე ისაუბრა:

„კარლეტო უნდა დარჩეს და იმედია, ეს ასეც იქნება. მან ხუთი თითივით იცის გუნდში არსებული ვითარება და დარწმუნებული ვარ, საკუთარი თავი ჯერ არ ამოუწურავს. როგორც ვიცი, ანჩელოტის წასვლის სურვილი არ აქვს, რაც ძალიან მაიმედებს. მე კი უნდა წავიდე, ეს ცხადზე ცხადია. ბავშვი არ ვარ გადაწყვეტილებები ყოველ წუთს ვცვალო. ფეხბურთი ისედაც დიდხანს ვითამაშე და დროა, ადგილი ახალგაზრდებს დავუთმო. სექტემბრამდე დავისვენებ და არაფერზე ვიფიქრებ. შემდეგ კი ვნახოთ, ალბათ გარკვეული წინადადებები მექნება და მათგან ავირჩევ რომელიმეს. აქედანვე ვიცი, რომ მწვრთნელობას ხელს არ მივყოფ. ამ საქმეში ყველაფერი ის არის გაერთიანებული, რაც ფეხბურთში არ მიყვარს. არც იმას გამოვრიცხავ, სპორტის ნომერ პირველ სახეობას საქმიანი კუთხით საერთოდ აღარ დავუბრუნდე. ჩემი აზრით, გულშემატკივრის თვალით ფეხბურთის ყურება, არაფერი სჯობია".

**ლაშა ნიკლაური**

მწვრთნელი

# გვირგვინი რაინდისთვის

შაბათს „მანჩესტერ იუნაიტედმა" „არსენალთან" შინ ფრე ითამაშა. აილო ნანატრი ქულა და ზედიზედ მე-3, სერ **ალექს ფერგიუსონის** ხელმძღვანელობით მე-11 და ისტორიაში მე-18 საჩემპიონო ტიტული მოიპოვა. ფერგიმ გულშემატკივრები იმავე საღამოს დაამშვიდა, განუცხადა, რომ პენსიაზე გასვლას არ ჩქარობს. ვიდრე „ოლდ ტრეფორდის" ტრიბუნებზე შეკრებილი გულშემატკივრები თავიანთი კერპების მორიგ წარმატებას ზეიმობდნენ, შოტლანდიელი სამომავლო გეგმებს აწყობდა. მას ჩემპიონის ტიტულებით „ლივერპულის" გადასწრება უნდა. შეგახსენებთ, რომ მერსისაიდელებმა თავისი უკანასკნელი, რიგით მე-18 ოქრო, 1990 წელს **კენი დალგლიშის** ხელმძღვანელობით მოიპოვეს.

„როცა „ლივერპულს" ტიტულებით გავუსწრებთ, უკვე მართლა მაგარი იქნება. რაც მთავარია, ჩვენ გვინდა და შეგვიძლია პროგრესირება. თანაც, გუნდი საკმაოდ ახალგაზრდულია და ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას მომდევნო წელსაც შევეცდებით. პენსიაზე გასვლას არ ვაპირებ. დავრჩები და „მანჩესტერ იუნაიტედში" მუშაობას განვაგრძობ. წასვლის ზუსტ ნიშანს მხოლოდ ჩემი ჯანმრთელობა მომცემს", - ამბობს 67 წლის სპეციალისტი.

ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ „ლივერპულთან" საშინაო შეხვედრაში განადგურების შემდეგ „მანიუმ" „ფულჰემთანაც" მარცხი იწვნია. კრიზისის დასრულების ნიშნად „ასტონ ვილასთან" მატჩი იქცა. იმ დღეს **ფედერიკო მაკედამ** შეხვედრის ბედი 90-ე წუთზე გატანილი გოლით გადაწყვიტა, რასაც შვიდთამაშიანი მოგებათა სერია მოჰყვა, რისი წყალობითაც „ეშმაკებმა" „ლივერპული" უკან ჩამოიტოვეს.

„როცა „იუნაიტედში" მუშაობა დავიწყე, მაშინ მერსისაიდელებს ყველაზე ძლიერი გუნდი ჰყავდათ და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩემპიონის 11 ტიტულს მოვიგებდით, თუნდაც ამისთვის ბედს მილიონი წელიწადი მოეცა", - აცხადებს ფერგიუსონი.

**შალვა ბიბილაშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა


ტრიუმფის უმთავრესი შემოქმედი სერ ალექს ფერგიუსონია



ბენ ფოსტერი და რობერტ გრინი ნაკრების ვარჯიშზე

ინგლისის ნაკრები

# კაპელოს დილემა

## ჯეიმსი და ფოსტერი არა. რობინსონი ან გრინი?

„პორტსმუთის" ვეტერანი მეკარე **დევიდ ჯეიმსი** ივნისში **ფაბიო კაპელოს** გუნდს ყაზახეთსა და ანდორასთან მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის შეხვედრებში ვერ დაეხმარება. იტალიელი მაესტროს განკარგულებაში ვერ იქნება ასევე „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე **ბენ ფოსტერი**. მას მარჯვენა ხელზე მყესები ჰქონდა დაზიანებული, ოპერაცია რამდენიმე დღის წინ გაიკეთა და მწყობრში მხოლოდ ივლისის ბოლოს თუ ჩადგება.

38 წლის ჯეიმსმა ორშაბათს „პორტსმუთისა" და „სანდერლენდის" შეხვედრა გამოტოვა კისრის ტრავმის გამო. ყველა სხვა უბედურებასთან ერთად, მას წინ მხარზე გასაკეთებელი არცთუ იოლი ოპერაციაც ელის. „მხარი უკვე წელიწად-ნახევარია მაწუხებს, - ამბობს ჯეიმსი. - მომდევნო სეზონისთვის მინდა კარგ ფორმაში ვიყო. ამიტომ ჯობია, ოპერაცია ახლავე გავიკეთო. დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისის ნაკრები ამ ორ თამაშს უჩემოდაც მოიგებს".

„გუშინ დილას დევიდმა გაიღვიძა თუ არა კისრის არეში საშინელი ტკივილი იგრძნო, - განაცხადა „პორტსმუთის" მთავარმა მწვრთნელმა პოლ ჰარტმა, - ვეცადეთ, ზოგადი მეთოდებით დავხმარებოდით, თუმცა რაც ვცადეთ, ყველაფერი ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა. საღამოს ხუთი საათისთვის გადაწყვეტილება უკვე მიღებული გვქონდა. ჩვენ მის ჯანმრთელობას ვერ გავრისკავდით. რახან ერთი ოპერაცია უკვე დანიშნულია, ამით ვისარგებლებთ და მხრის ტრავმასაც ვუმკურნალებთ. დევიდი ოპერაციისთვის ანალიზებს ოთხშაბათს აიღებს. იმედი გვაქვს, თუკი ქირურგიული ჩარევა წარმატებული იქნება, ის სეზონის დაწყებისთანავე შემოგვიერთდება. დევიდი წარმოუდგენლად ძლიერი ადამიანია. დარწმუნებული ვარ, ხსენებულ პრობლემას გაუმკლავდება. მან დღეს უნდა გაიღოს მსხვერპლი, რათა მომავალში გ ზად კიდევ უფრო დიდი წინაღობები არ დახვდეს".

მაშ ვინ უნდა ჩადგეს ინგლისელთა კარებში? არ არის გამორიცხული, კაპელომ ბლექბერნელ **პოლ რობინსონს** უხმოს ან ინგლისელთა ბასტიონი „ვესტ ჰემის" კარის დარაჯ **რობერტ გრინს** ანდოს. გრინს დებიუტანტი არ ეთქმის. მის ანგარიშზე ორი სანაკრებო შეხვედრაა, მათ შორის ბოლო, სამი თვის წინ, ესპანეთის წინააღმდეგ. რაც შეეხება რობინსონს, მისი ამბავი ყველას მოგეხსენებათ. ის **სტივ მაკლარენის** დროს ნაკრებში დაშვებულ კოშმარულ შეცდომებს ემსხვერპლა და კაპელოს ერთხელაც არ გახსენებია. მას შემდეგ, რაც პოლი „ტოტენჰემიდან" „ბლექბერნში" გადავიდა, ბევრად უფრო საიმედოდ ათამაშდა, თუმცა იქნება თუ არა სანაკრებოდ მზად, ამ შეკითხვაზე პასუხი არავის აქვს.

**შალვა ბიბილაშვილი**

ჰოლანდიის თასი

# ჰერენვენის პირველი ტრიუმფი

„ჰერენვენსა" და „ტვენტეს" შორის ჰოლანდიის თასის ფინალური შეხვედრა ფრედ დასრულდა. გამარჯვებული ვერ გამოავლინა დამატებითმა დრომაც. „ჰერენვენმა" პირველად კლუბის არსებობის ისტორიაში ჰოლანდიის თასი პენალტების სერიაში მოიპოვა - 5:4 მათ სასარგებლოდ.

თამაში როტერდამის „დე კუიპზე" გაიმართა. ფრისლანდელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს. ანგარიში 27-ე წუთზე გაიხსნა. თავი გამოიჩინა **გორან პოპოვმა**. მისმა უმძლავრესმა დარტყმამ მიზანს შორიდან უწია. მეორე ტაიმში უპირატესობა „ტვენტემ" მოიპოვა. ანგარიში ჰოლანდიის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დასახელებულმა **ელერო ელიამ** გაათანაბრა. მან ბურთი კარგად დაამუშავა, ოდნავ ცენტრისკენ შეიწია და ზუსტად ხარიხის ქვეშ „დააჭედა". ენსხედელთა უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. მათ „ჰერენვენის" ძელს ბურთი ორჯერ მოარტყეს. ეს ჯერ **კენეტ პერესმა** გააკეთა, დამატებით დროში კი **რონი სტამმა**. თუმცა როგორც ხშირად ხდება ხოლმე, „ტვენტე" გამოუყენებელი მომენტების გამო დაისაჯა. 112-ე წუთზე ბედმა **ბონავენტურ კალუს** გაუღიმა. „ტვენტემ" ბოლო ძალები მოიკრიბა და მეტოქე საკუთარ კარს მიაჯაჭვა. საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე თავური დარტყმით ანგარიში **იუსუფ ჰერსიმ** გაათანაბრა. ჰერსი, ენსხედელთა გმირი, პენალტების სერიაში ერთადერთი ფეხბურთელი აღმოჩნდა, ვინც თერთმეტმეტრიანი გააფუჭა და მეტოქეს გამარჯვება აჩუქა. „ჰერენვენი" ჰოლანდიის თასის ფინალში 1993 და 1997 წლებშიც გავიდა, მაგრამ მან ორჯერვე დათმო გადამწყვეტი შეხვედრა. მესამე ცდა წარმატებული გამოდგა.

აღსანიშნავია, რომ „ჰერენვენის" ნორვეგიელი თავკაცის **ტრონდ სოლიდისთვის** ეს მე-7 სათასო ტიტულია. აქამდე 50 წლის სპეციალისტს ანალოგიური წარმატებისთვის სამშობლოში „ბოდო გლიმტის" (ორჯერ), ბელგიაში „ბრიუგეს" (ორჯერ) და საბერძნეთში „ოლიმპიაკოსის" მწვრთნელის რანგში მიუღწევია.

**შალვა ბიბილაშვილი**



ჰერენვენის ფეხბურთელები ხარობენ

ვარსკვლავი

# ფეხბურთს ვთამაშობთ, რათა გავიმარჯვოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა




**ინგლისური** გამოცემა „გარდიანის“ ჟურნალისტმა პოლ ჰეივორდმა „ჩელსის“ მეკარე პეტრ ჩეხი დაიმარტოხელა და ფეხბურთზე საათზე მეტხანს ელაპარაკა. ფეხბურთელი უამრავ საინტერესო საკითხს შეეხო. მან საბოლოოდ დაასკვნა, რომ იმედის გაცრუებამ ადამიანი შეიძლება რაღაც უფრო დიდ რამემდე მიიყვანოს. ჩეხს უამრავი ფიზიკური თუ სულიერი ტრავმა გადაუტანია პროფესიულ ასპარეზზე. რამდენი ერთის დასახელება შეიძლება: ყბის უმძიმესი მოტეხილობა; ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგება, თანაც პენალტების სერიაში და სულ ახლახან, იმავე ტურნირის ნახევარფინალის წაგება „ბარსელონასთან“ და არა იმიტომ, რომ მისი გუნდი მეტოქეზე სუსტი იყო. პეტრი წაგებაზე განსაკუთრებით მგრძნობიარედ ლაპარაკობს და მისი დავიწყების გზებს ეძებს.

ჩეხი მეკარეა და სწორედ სათამაშო პოზიციიდან გამომდინარე აქვს ყველაზე მეტი დრო იმაზე საფიქრელად, რატომ არ უნდა ჩამოუშვას „ჩელსიმ“ ხელები დანებების ნიშნად და მიღებული გაკვეთილებიდან რა დასკვნა გამოიტანოს. ორი ადამიანის საუბარი თავდაპირველად ეხება „არსენალთან“ ტრიუმფულ გამარჯვებას, რომელიც „არისტოკრატებმა“ ტომ ჰენინგ ოვრებოსთან დამარცხების შემდეგ ოთხ დღეში მოიპოვეს.

*„თუკი წინა პირობებს გავითვალისწინებთ, „ემირიტსზე“ ასი პროცენტით დავამტკიცეთ, რამდენად ძლიერი გუნდი გვყავს. ფეხბურთელებმა სიდინჯე გამოავლინეს. ზოგი შეიძლება ფიქრობდა, რომ მინდორზე წაგებისგან განერვიულებულები გამოვიდოდით, მივიღებდით სამ წითელ ბარათს და როგორც იტყვიან, ამით თამაში დამთავრდებოდა. ყველას შეუძლია იფიქროს და ილაპარაკოს ჩვენზე რაც მოესურვება. ჩვენ კი ვინმესთან დანებებას არ ვაპირებთ.*

*ადამიანმა თავი ხელში უნდა აიყვანოს და მრისხანება აკონტროლოს. თუკი ამას ვერ შეძლებს და წყობილებიდან გამოვა, გაწეული შრომა წყალში გადაიყრება და არაფერიც არ გამოვა. სწორედ ეს მოვახერხეთ და „არსენალთან“ დაგროვილი ბრაზი სათანადო კალაპოტში მივუშვით. მაშინ, როცა დიდიე დროგბა და მიხაელ ბალაკი იმ საღამოს დახარჯული ემოციების გამო უეფას სანქციებს ელიან, დანარჩენი ფეხბურთელები ჩაფიქრებულები ვსხედვართ და მომხდარს ვაანალიზებთ. საბოლოოდ ყველანი მივდივართ დასკვნამდე, რომ ეს წლების შემდეგაც მოგვაგონდება როგორც დიდი უსამართლობა“.*

წყეული თამაშის შემდეგ **პეტრ ჩეხი** პირველად დათანხმდა ინტერვიუზე. ის ხელახლა განიცდის თამაშს და მოგონებათა უწყვეტ ნაკადს ებრძვის. ყველაზე მეტად უკმაყოფილოა იმით, რომ ასეთი დიდი მატჩების შედეგი უკვე მერამდენედ წყდება თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ვიდეოგამეორებების გარეშე.

*„შესვენებაზე გასახდელში მივდივართ და გვესმის, რომ ორი აშკარა თერთმეტმეტრიანი არ მოგვცეს. თუმცა იმასაც ვიაზრებთ, რომ წინ კიდევ 45 წუთია და შეხვედრას მინიმალური ანგარიშით ვიგებთ. ვეუბნებით საკუთარ თავს, უნდა გავიტანოთ კიდევ ერთი გოლი. ვბრუნდებით მინდორზე. შესანიშნავად ვთამაშობთ კონტრშეტევებზე, ერთადერთი ბოლო პასი ტოვებს უკეთესის სურვილს. მათი მეკარე კარგად ირჯება. შემდეგ კიდევ ერთ პენალტს არ გვაძლევენ. შეიძლება იმ ადამიანმა, ვინც ტელევიზორთან იჯდა, იფიქრა, რომ ეს ჩვენი დღე არ იყო, რომ ბედი არ გვწყალობდა. თუმცა მინდორზე ბიჭებს სულ სხვა განწყობილება გვაქვს - მიუხედავად იმისა, რომ იქ ყველაფერი თითქოს ჩვენ წინააღმდეგაა, სათანადოდ ძლიერები ვართ. მსაჯს შეუძლია აკეთოს, რაც უნდა. ჩვენ მაინც გავალთ ფინალში“.*

მსაჯის მიერ დამატებული დროის მესამე წუთზე **ლიონელ მესიმ ანდრეს ინიესტას** პასი მიაწოდა, ვინც, ჩეხის სიტყვებით, დარტყმის მომენტში მთლიანად დაიხარჯა. *„მასთან უმალ ჩვენი მცველები გაჩნდნენ. იმ წერტილიდან ბურთი ყველგან შეიძლებოდა გაფრენილიყო, კარის ზემოთ, ღრუბლებში... ყველგან. ანდრესს კი მხოლოდ კარის ჩარჩოში მოხვედრა უნდოდა. ზუსტად ისე გაისროლა, რომ ამაზე უკეთ, უბრალოდ, ვერ გააკეთებდა. ბალაკი და ალექსი მის წინ იყვნენ აღმართულები. მას ჩვეულებრივ რომ დაერტყა, ბურთი სწორედ ჩვენს მცველებს მოხვდებოდა. არადა, ძალზე ძნელია ამ შედეგთან შეგუება, რადგან შესანიშნავად ვითამაშეთ... როგორც აღმოჩნდა, სულ ტყუილად“.*

პეტრ ჩეხი 2004 წელს „ჩელსიში“ „რენიდან“ გადავიდა. მასში ლონდონელებმა 7 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. მას თან მოჰყვა „მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარის“ სტატუსი. თუმცა ორწელიწად-ნახევრის წინ რედინგელ **სტივენ ჰანტთან** ცნობილი შეჯახების შემდეგ მისი კარიერა თითქოს დაღმართს გაუყვა. მიმდინარე სეზონში ჩეხი, როგორც წესი, ამართლებდა საპატიო სტატუსს. იყო მხოლოდ ორი სერიოზული ჩავარდნა, როცა „ბოლტონთან“ (4:3) და „ლივერპულთან“ (4:4) შეხვედრებში 100 წუთის განმავლობაში მან 7 გოლი გაუშვა. ამ ორი თამაშის გამო მასთან კარიერის დაღმასვლაზე იწყებ ლაპარაკს და მის თვალებში უკმაყოფილებას აფიქსირებ. *„ვფიქრობ, სეზონის დაწყებიდან იანვრამდე შესანიშნავი პერიოდი მქონდა. რამდენიმე თამაშის ბედი ჩემმა საიმედო თამაშმა გადაწყვიტა. შემდეგ კი დაიწყო პრობლემები გუნდის დაცვის ხაზში, რომელსაც მე ვერ ვაკონტროლებდი. გუუს ჰიდინკის მოსვლის შემდეგ ჩვენი თამაში გამოსწორდა. ხარისხი მეც გავაუმჯობესე. იყო ორად ორი თამაში, რომელზეც მართლა მწყდება გული - „ბოლტონსა“ და „ლივერპულთან“. თანაც ორივე ერთ კვირაში. შეიძლება ადამიანებს ჩემში ეჭვი სწორედ ამის შემდეგ შეეპარათ. ძირითადი კრიტიკა სწორედ ამ მატჩების გამო მხვდა წილად. მაოცებს მხოლოდ ერთი რამ: არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მთელი სეზონი სწორედ ასეთი მქონდა. ვინც კი ნახავს, რამდენი შეხვედრა ჩავატარე მშრალად, ასეთი მოსაზრება ძალზე უცნაურად მოეჩვენება. ვიცოდი, როგორ უნდა ჩავმდგარიყავი ფორმაში - თუკი სიმშვიდეს შევინარჩუნებ და ჩემს საქმეს პანიკის გარეშე გავაკეთებ, ფორმას სტაბილურად შევინარჩუნებ. სწორედ ამიტომ, როცა სეზონში მაღალ დონეზე ჩატარებული 25-30 თამაში გაქვს, ერთი და ორი ჩავარდნის გამო ყველაფრის შეცვლა შეცდომა იქნებოდა. მეც ჩვეულებრივ ვმუშაობდი. ასეთ მომენტებში მთავარია ფსიქოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება“.*

ფეხბურთელმა ისიც იცის, რომ მისი მუზარადიც კი განსჯის საგნად არის ქცეული. *„გაკვირვებული ვარ, როცა ადამიანები ამბობენ, რომ მუზარადით მოთამაშე ფსიქოლოგიურად უფრო ძლიერი ვხდები. სიამოვნებით ვითამაშებდი მის გარეშეც, მაგრამ ექიმები ამის ნებას არ მაძლევენ. ისინი მიმტკიცებენ, რომ მის გარეშე თამაში ჩემთვის დიდი რისკია. სხვანაირად არ გამოდის“.*

ჩეხი მეკარე „ჩელსიზე“ როგორც პროფესიონალი სამხედრო ისე ლაპარაკობს. ის განსაკუთრებულ ყურადღებას ტაქტიკასა და სტრატეგიას აქცევს. მას ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს ვიდეოგამეორებებთან დაკავშირებით. ალბათ, მის მოსაზრებას ყველა გაიზიარებს, ვინც დროებით შრომისუუნარო **ოვრებოს** მსაჯობა იხილა ლონდონურ შეხვედრაში. *„მთელი ღამე იმაზე ფიქრში გავატარე, როგორ მოხდა, რომ ისეთი პრესტიჟული გათამაშება როგორიც ჩემპიონთა ლიგაა, ტურნირი, რომელსაც მთელ მსოფლიოში უყურებენ, ასეთ ვითარებაში აღმოჩნდა. მთავარ მსაჯს რადიოკავშირი აქვს გვერდითა და მეოთხე მსაჯებთან. ზუსტად 10 წამში შეიძლება გაიგო, იყო თუ არა ხელით თამაში. იყო დარღვევა საჯარიმოს შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ. ასეთი მსაჯობის გაგრძელების შემთხვევაში ფეხბურთი ვერ დაიმსახურებს კარგ იმიჯს. მხოლოდ რამდენიმე წუთი და მეოთხე არბიტრი სიმართლეს გაარკვევს. ყოველთვის ბოლმა მახრჩობს, როცა უეფას მაღალჩინოსნები ამ იდეის წინააღმდეგ გამოდიან. ეს არის ის, რასაც ყველაზე მეტად გამოვყავარ წყობილებიდან. თუკი მსაჯს მიეცემა ვიდეოგამეორების ნახვის უფლება, მისი გადაწყვეტილება ყველასთვის ბევრად უფრო დამაჯერებელი იქნება. არც ტრიბუნებზე იქნება უკმაყოფილება და არც მუქარა გაისმება ვინმეს მიმართ. უბრალოდ, ამ იდეის მტრებს არ ესმით ის იმედგაცრუება, რაც ფეხბურთელს ასეთი შეხვედრების შემდეგ ეუფლება.*

*ფეხბურთი ჯადოსნური თამაშია, რომელიც ხანდახან მკაცრი ხდება ხოლმე. ის, რაც ვინვნიეთ, იყო ყველაზე საშინელი ვარიანტი. თითქმის არაფრისგან გოლი გავუშვით 93-ე წუთზე... და თან 4 თუ არა 3 პენალტი არ დაგვინიშნეს. ამასთან შეგუება ძნელია, რადგან ამ მიზნისთვის მთელი სეზონი თავაუღებლად ვმუშაობდით. ფინალამდე ჩვენ ურთულესი გზა გვქონდა და გამოვვარდით იმის გამო, რომ მსაჯმა ცუდად იმუშავა. ხომ ნახეთ, რამდენი იმედგაცრუება იყო საფინალო სასტვენის შემდეგ? საქმე მხოლოდ 90 წუთში არ არის. ეს მთელი სეზონის ჯაფის წყალში გადაყრა იყო“.*

ასეთი ფიქრებისგან წარმოშობილი ტკივილი ჟურნალისტსა და ფეხბურთელს შორის არსებულ სივრცეს ავსებს. თუმცა ლიგიდან გამოვარდნას ჩეხი განსხვავებული თვალითაც უყურებს. ის რჩევას აძლევს კლუბის ხელმძღვანელობას **გუუს ჰიდინკის** შემცვლელი რაც შეიძლება დიდი ხნით შეინარჩუნოს, რადგან სტაბილურობა მნიშვნელოვანი ფაქტორია კლუბის ცხოვრებაში. *„ჰიდინკმა კლუბში ძველი „ჩელსის“ სული ააღორძინა, რასაც ცოტა თავისიც დაამატა. ეს ადამიანი სადაც წავიდა, წარმატება ფეხდაფეხ დაჰყვებოდა. ეს არ არის დამთხვევა. ჰიდინკის ყოველ მოქმედებაში ადვილი შესამჩნევია, რომ ტოპკლასის ფეხბურთელებთან მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. მისი ძალა იმაშია, რომ ყოველთვის იცის, რა პოტენციალს ფლობს მისი გუნდი. ის არასოდეს მოსთხოვს ფეხბურთელს ისეთი საქმის გაკეთებას, რაც მის ხასიათში არ ზის. ეს პრინციპი კი კარგად მუშაობს.*

*დეკემბერსა და იანვარში ჩვენს გუნდს დისციპლინა აკლდა. სწორედ ეს გახდა წარუმატებლობის მთავარი წინა პირობა. ჩვენ არასწორად გვესმოდა უმთავრესი ფაქტორები და ქულებსაც ამიტომ ვკარგავდით. ჰიდინკი კი ყოველ შეხვედრაში ფეხბურთელებს იდეალურად იყენებდა მიზნის მისაღწევად. როცა სპორტსმენებს ყოველი დეტალი კარგად ესმით, მაშინ გუნდი საათივით მუშაობს. ჰიდინკი ბევრს არასოდეს ლაპარაკობს. როცა ხმას იღებს, მხოლოდ საქმეზე.*

*მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი გუნდში ხანგრძლივი დროით მოდიოდეს. როცა სკოლარი დაინიშნა, ყველას გვეგონა, რომ ფელიპაო 5 წლით დარჩებოდა... შევცდით. ვინც უნდა მოვიდეს ჰიდინკის ადგილას, მას გამოცდილი ფეხბურთელების მთელი ჯგუფი ელოდება მებრძოლი ხასიათით და გამარჯვებისკენ სწრაფვის სურვილით, რომლებიც მზად არიან მძიმე სამუშაოსთვის.*

*ადამიანები იმასაც ამბობენ, რომ პირველ შეხვედრაში ჩვენ ძალიან დიდი ყურადღება გადავიტანეთ დაცვაზე... გასაგებია, მაგრამ ფეხბურთს იმიტომ ვთამაშობთ, რომ გავიმარჯვოთ. „არსენალი“ ხშირად ლამაზად თამაშობს, მაგრამ ვერაფერს იგებს, რადგან ამ გუნდს რაღაც აკლია. ჩვენ კი დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია შედეგი მივიღოთ ულამაზო ფეხბურთითაც და შეგვიძლია მოვაწყოთ ლამაზი სანახაობაც. ჩვენ ძალიან ძლიერები ვართ და ეს „ბარსელონასთანაც“ დავამტკიცეთ“.*

**შალვა ბიბილაშვილი**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოტფრიდ ლენცი წარმოგიდგენთ — უქმეებიდან უქმეებამდე

# დრიბლინგი ევროპაში

# ჟოზე წინასწარმეტყველი




**სამი ჩემპიონი, სამნაირი სცენარი: „ინტერმა“ იზეიმა და კონკურენტებს დასცინა, „მანჩესტერმა“ რაფაელ ბენიტესისგან მილოცვა მიიღო, მაგრამ ეს მილოცვა ხაზგასმით არ არის განკუთვნილი სერ ალექს ფერგიუსონისთვის, „ბარსელონამ“ კი თვითონაც იზეიმა და მეტოქე გუნდის ქომაგებმაც ოვაციები უძღვნეს. აი, გერმანია კი, ჩემპიონის ვინაობის გარკვევას ბოლო ტურში ელოდება, თუმცა ბუნდესლიგაში უკვე თითქმის ყველაფერი გარკვეულია...**

**თქვენ წინაშეა „ლელოს“ დიდი დრიბლინგი ევროპაში.**

## სერია A
### მოურინიო, როგორც ნოსტრადამუსი

„ინტერის“ ფეხბურთელები „სიენასთან“ მატჩს გამოუძინებლები შეხვდნენ, რადგან უკვე ჩემპიონები იყვნენ. „ინტერი“ „მილანის“ მარცხმა (უდინეში) გააჩემპიონა. „ნერაძურიმ“ მე-17 სკუდეტოს მოპოვება მილანის ქუჩებში, ათასობით ინტერისტასთან ერთად იზეიმა. **მარკო მატერაციმ, დეიან სტანკოვიჩმა** და **კრისტიან კივუმ** პლაკატი გადმოფინეს, რომელზეც დაახლოებით ასეთი შინაარსის წარწერა იყო: *„ამბროზინი, ჩემს უკანალში ჯერ კიდევ არის ადგილი!“* ეს იყო პასუხი და რევანში იმაზე, რაც „მილანის“ საყრდენმა ნახევარმცველმა ორი წლის წინ ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ თქვა. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ ამბროზინიმ განაცხადა, იტალიის ჩემპიონობა „ინტერმა“ ერთ ადგილზე შეიტენოსო. გარდა ამ პლაკატისა, „ინტერის“ ფეხბურთელებს მაისურებზე ეწერათ: „Roma, Juventus, Milan - Zero Tituli“. „ნერაძურის“ თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ** რამდენიმე თვის წინათ თქვა, „რომა“, „იუვენტუსი“ და „მილანი“ ამ სეზონში ვერც ერთ ტიტულს ვერ მოიგებენო, თუმცა სიტყვა ტიტული პორტუგალიურად წარმოთქვა (სწორია Titoli). მოურინიოს ეს განცხადება ახლა უკვე ინტერისტების საკულტო გამონათქვამია და ფანებმა პორტუგალიელ სპეციალისტს ნოსტრადამუსი შეარქვეს.

ცოტა ხნის წინათ, **სილვიო ბერლუსკონიმ** „მილანის“ მთავარი მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი** გააკრიტიკა და თქვა, მხოლოდ კარლეტოს ბრალია ის, რომ „მილანმა“ ამ სეზონში სკუდეტო ვერ მოიგოო. შესაბამისად, ანჩელოტი „მილანში“ დარჩენას არ აპირებს და გეზი ლონდონისკენ აქვს აღებული. *„სამოთხეში წმინდანების სიტყვის გადახვევა არ შეიძლება. ფაქტია, რომ წმინდანს უნდა მივმართო და დაველაპარაკო,“* - თქვა ანჩელოტიმ და რა თქმა უნდა, ამით ბერლუსკონის მიმართა. თუმცა ამ უკანასკნელს განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს და როგორც ჩვენი იტალიელი კოლეგები ამტკიცებენ, სილვიოს „მილანის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ექსმილანისტა **ფრანკ რაიკაარდის, მარკო ვან ბასტენის** ან **ლეონარდოს** ხილვა უნდა.

„იუვენტუსმა“ სეზონის ბოლოს ძალიან რომ აურია, ჭკვიანი კაცი მიხვდებოდა, რომ ტურინული გრანდის ხელმძღვანელები მთავარ მწვრთნელ **კლაუდიო რანიერის** დღეებს უთვლიდნენ. „ატალანტასთან“ ფრის შემდეგ კი, მოლოდინი, როგორც იქნა, გამართლდა - „იუვემ“ რანიერი დაითხოვა და მის ნაცვლად დროებით **ჩირო ფერარა** დანიშნა. ეს უკვე გარდაუვალი იყო, რადგან „ფიორენტინა“ „იუვეს“ უკვე ერთი ქულის დისტანციაზე მიუახლოვდა და ტურინელებს უბრალოდ უფლება აღარ ჰქონდათ, რანიერის გაშვების მიზნით კიდევ ერთი თამაში არ მოეგოთ. ახლა კი ყველაფერი თავის ადგილზეა და აბა, გამოიცანით, რას იზამს „იუვენტუსი“ მომდევნო ტურში...

## პრემიერლიგა
### ხარი ხართან რომ დააბა

ტაბლოიდმა „ნიუს ოფ ზე უორლდმა“ ჩეხ თავდამსხმელ **რომან ბედნარს** შავი დღე აყარა. გაზეთის ჟურნალისტი ბირმინგემში ნარკოტიკებით მოვაჭრეს გაურიგდა და თავდამსხმელს გადაუღო ფოტოები, რომლებზეც ასახულია, თუ როგორ ყიდულობს ბედნარი თავის შეყვარებულთან ერთად კოკაინსა და მარიხუანას. მასალა გაზეთში კვირას, „ლივერპულთან“ მატჩის წინ გამოქვეყნდა. ბედნარს კლუბმა მაშინვე დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. 26 წლის ფეხბურთელმა ბოდიში მოიხადა და თქვა, ნარკოტიკები მეგობრისთვის ვიყიდეო. რა თქმა უნდა...

**არსენ ვენგერი** „რეალის“ გაწვრთნის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია, მაგრამ აქამდე მადრიდული კლუბისა და ფრანგი მწვრთნელის სიყვარული ცალმხრივი იყო. ახლა კი, მას მერე, რაც „მეთოფეების“ გულშემატკივრებმა ვენგერს უსტვინეს, ამ უკანასკნელმა კი თქვა, ისე მექცევიან, თითქოს ვინმე მოვკალიო, „არსენალის“ დამრიგებელმა „რეალთან“ ფლირტი უკვე სახალხოდ გააბა და ჩვენს ინგლისელ კოლეგებს დაუფარავად უთხრა, **ფლორენტინო პერესის** პროგრამა ძალიან საინტერესოაო. სამეფო გუნდის პრეზიდენტობის კანდიდატს ვენგერი პარიზში შეხვედრია.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ინგლისის მე-18 ჩემპიონობა გაიფორმა, მაგრამ „ლივერპულის“ მთავარმა მწვრთნელმა **რაფა ბენიტესმა** თავის მანჩესტერელ კოლეგა სერ **ალექს ფერგიუსონს** წარმატება არ მიულოცა. *„ისეთი რალაცები ვნახე და გავიგე, რომ ეს ყველაფერი ძალიან არ მომწონს,“* - თქვა ესპანელმა, - *„სწორედ ამიტომ, ახლა მხოლოდ ამას ვიტყვი: ვულოცავ „მანჩესტერს“. ეს დიდი გუნდია!“* ხუთი წელია, ბენიტესი ინგლისში მუშაობს და რა გასაკვირია, რომ ისეთი გახდა, როგორებიც ფერგიუსონი და ვენგერი არიან - მარცხის აღიარება უკვე მასაც ძალიან უჭირს.

## პრიმერა დივიზიონი
### ხიხონის იმედი

„რეალის“ „ვილიარეალში“ წაგებამ, პრიმერა დივიზიონის მიმდინარე სეზონის ბედი გადაწყვიტა და „ბარსელონა“ ჩემპიონად დააფიქსირა. კატალონიელ გიგანტებს მალიორკელები ისე დახვდნენ, როგორც წესია: კატალონიური გრანდის ფეხბურთელებს საჩემპიონო დერეფანი გაუკეთეს. ამას გარდა, „მალიორკას“ გულშემატკივრები ჩემპიონებს რამდენიმე წუთის განმავლობაში უკრავდნენ ტაშს. „ბარსამაც“ „მალიორკას“ სამაგიეროდ გადაუხადა და 3 ქულა დაუტოვა. ვერ დავიჩემებთ, რომ „ბარსელონა“ ძალით დანებდა. უბრალოდ, **პეპ გვარდიოლამ** თავისი მთავარი ვარსკვლავები დაასვენა და არც სათადარიგოებისთვის უთხოვია, თავი მოიკალითო. „ბარსას“ მალე ხომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი ელის...

თუკი ცხრილის სათავეში ყველაფერი გარკვეულია, პრიმერა დივიზიონს ინტრიგა ქვედა ნაწილში შერჩა, სადაც გუნდები გადარჩენისთვის იბრძვიან. ორთვიანი პაუზის შემდეგ „ხიხონმა“, როგორც იქნა, თამაში მოიგო. „სპორტინგმა“ „მალაგა“ 2:1 დაამარცხა. ვერ ვიტყვით, რომ ხიხონელებმა შესანიშნავად ითამაშეს, მაგრამ რაც მთავარია, მოიგეს და ეს კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ პრიმერა დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაზე იოცნებონ. რაც მთავარია, „ხიხონს“ რთული მატჩები არ აქვს დარჩენილი: ჯერ „ვალიადოლიდს“ ხვდება, რომელიც თითქმის გადარჩენილია, მერე კი „რეკრეატივოს“...

## ლიგა 1
### მარსელი მოკვდა, გაუმარჯოს ბორდოს

დიდი შანსია, რომ ათწლიანი პაუზის შემდეგ „ბორდო“ ისევ გახდეს საფრანგეთის ჩემპიონი. **ლორან ბლანის** გუნდს ზედიზედ ცხრა თამაში აქვს მოგებული და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჟირონდელების შემჩერებელი აღარავინაა. სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე „ბორდომ“ უკვე გაინაღდა ჩემპიონთა ლიგის საგზური, თანაც, ცნობილია, რომ ბლანის გუნდი პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება. „ბორდოსთვის“ სერიოზული პლუსია ისიც, რომ გუნდს დარჩენილ ორ ტურში საკმაოდ იოლი მეტოქეები ჰყავს: „მონაკო“ და „კანი“. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ „ბორდო“ მარსელის „ოლიმპიკს“ 3 ქულით უსწრებს, წესით, ველოდრომელებმა ბლანის გუნდს ჩემპიონობა ვერ უნდა წაართვან. „ბორდოს“ შესანიშნავი თამაში და წარმატებები მეტწილად ფლეიმეიქერ **იოან გურკუფის** დამსახურებაა, რომელსაც ამ სეზონში 12 გოლი და 7 საგოლე პასი აქვს. ყველაფერთან ერთად, ჟირონდელებს საკუთარ მოედანზე ძალიან კარგი ბალანსი აქვთ: 13 მოგება, 5 ფრე, არც ერთი მარცხი.

მართალია, ამ უქმეების შემდეგ „ლიონს“ ზედიზედ მერვედ გაჩემპიონების არანაირი შანსი აღარ აქვს, სამაგიეროდ, ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგის მიღმა ალბათ არ დარჩება. ამისათვის „ლიონი“ მეორე ან მესამე ადგილზე უნდა გავიდეს. „მარსელის“ 3:1-ზე დამარცხების შემდეგ, „ლიონი“ პსჟ-ს უკვე 4 ქულით უსწრებს. **ქარიმ ბენზემამ** დუბლი შეასრულა და კრიტიკოსებს მოუწოდა, მოკეტეთო - მას ამ მატჩამდე 2009 წელს მხოლოდ 4 გოლი ჰქონდა გატანილი, რის გამოც მაგრად აკრიტიკებდნენ. მესამე გოლი კი **ჟუნინიოს** ანგარიშზეა, რომელმაც, რა თქმა აუნდა, საჯარიმო დარტყმით იხეირა. ეს გახლდათ პერნამბუკანოს რიგით 99-ე გოლი „ლიონის“ რიგებში.

## ბუნდესლიგა
### თუ ვოლფსბურგი ჩემპიონი ვერ (არ) გახდა...

ბოლოსწინა ტურმა „ვოლფსბურგი“ ორი ქულით დააწინაურა და დაძაბულობის პიკი, რომელიც 32-ე ტურის შემდეგ იყო, 33-ე ტურის შემდეგ მოხსნილია. მართალია, ბოლო ტურის წინ სამ გუნდს რომ ჩემპიონობის შანსი აქვს, ეს ძალიან კარგი მოვლენაა, მაგრამ ნერვების მომშლელია ის ფაქტი, რომ მიუნხენის „ბაიერნი“ ბოლოსწინა ტურში „ჰოფენჰაიმთან“ ფრით დაკმაყოფილდა! დიახ, დაკმაყოფილდა, რადგან მიუნხენურ კლუბში განგაში არავის აუტეხავს, არავის უტირია, არავინ დამწუხრებულა და გუნდის გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** შაბათს საღამოს პირდაპირ ეთერში იცინოდა კიდეც. თანაც, ირონიულად, როგორც სჩვევია. როგორც ჩანს, ამ გუნდს გერმანიის ჩემპიონობა მართლაც ყელში ამოუვიდა და ღმერთი არ გაუწყრეს „ვოლფსბურგს“, „ვერდერთან“ არ წააგოს და „ბაიერნი“ არ გააჩემპიონოს, თორემ ბუნდესლიგის ფასი კაპიკი იქნება, კაპიკი!

თუმცა ეს ალბათ არ მოხდება, რადგან „ბაიერნის“ შეფებს და საერთოდ, გერმანიაში ყველას კარგად ესმის, რომ თუ ახლა ბუნდესლიგის იმიჯზე ზრუნავენ, „ვერცხლის სინი“ აუცილებლად „ვოლფსბურგმა“ უნდა მოიგოს, რადგან „ბაიერნის“ ან „შტუტგარტის“ ჩემპიონობა სასაცილო ამბავი იქნება. ამრიგად, **ფელიქს მაგათს** შეუძლია, მშვიდად იყოს, მაგრამ ის მაინც არ არის მშვიდად.

ბილეფელდის „არმინიას“ 33 თამაშიდან მხოლოდ ოთხი აქვს მოგებული! მხოლოდ ოთხი! და იმ შემთხვევაში, თუ მწვრთნელშეცვლილი ბილეფელდური კლუბი ბოლო ტურში მეხუთე თამაშსაც მოიგებს, შეიძლება, ბუნდესლიგაში დარჩეს. ეს კი რეკორდი იქნება, რადგან მხოლოდ და მხოლოდ 5 მოგებით პირველ ბუნდესლიგაში ადგილი არასდროს არავის შეუნარჩუნებია. „არმინიამ“ ამ სეზონში „კიოლნის“, „ვერდერის“, „კარლსრუეს“ და „ლევერკუზენის“ დამარცხება შეძლო - სირცხვილი მათ!

ყველასათვის მოულოდნელად, უფრო სწორად, გამეძავებული „ვერდერის“ დამარცხების შემდეგ, გადარჩენის შანსი „კარლსრუესაც“ გაუჩნდა და გუნდის კაპიტანმა **მაიკ ფრანცმა**, რომელიც ბუნდესლიგის ნომერ პირველი ჯალათია, თქვა, ბოლო ტურში „ჰერტას“ ვხვდებით და დამერწმუნეთ, ბერლინელებს ძალიან მძიმე მატჩი ელითო. ფრანცისგან ასეთი დაპირება იმას ნიშნავს, რომ მინიმუმ მხოლოდ **მარკო პანტელიჩი** და **ანდრეი ვორონინი**, მაქსიმუმ კი მთელი „ჰერტა“ ფეხებს უნდა გაუფრთხილდეს და ფრანცს მოერიდოს. მაგრამ ამ უკანასკნელს უნდა შევახსენოთ, რომ ბინძური და უხეში თამაში გერმანიაში „ჰერტას“ მოგონილია. უფრო კონკრეტულად, ბერლინელთა ცენტრალური მცველის, **იოზიპ შიმუნიჩისა**, რომელიც ამ ბოლო დროს დაჭკვიანდა, თორემ ადრე სამ ტურში ერთხელ აძევებდნენ ხოლმე. და თუ საჭირო გახდა, შიმუნიჩი ბოლო ტურში ყრმობას სიამოვნებით გაიხსენებს.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს და რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, „ლევერკუზენმა“ მეორე წრეში თამაში მოიგო და თანაც, შინ. ამ წარმატებას, შეიძლება მხოლოდ ერთი მიზეზი ჰქონდეს: 13-თვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ მოედანზე **ბერნდ შნაიდერი** დაბრუნდა! აქსიომა: ის, ვინც „ლევერკუზენს“ (!) მეორე წრეში (!) საკუთარ მოედანზე (!) მოაგებინა (!), იოახიმ ლიოვმა ყოველმიზეზგარეშე უნდა წაიყვანოს მსოფლიოს ჩემპიონატზე. „შნიქსი“ მაგარია...

(გაგრძელება)

II ნაწილი.

## ნინ, ვარსკვლავური ზეცის დასაპყრობად

### ესპანეთის ჩემპიონატი

ამბობენ, რომ ისტორია - მუდმივი გამეორებაა. გამონაკლისი არც ფეხბურთის ისტორიაა. ასე მაგალითად, ოთხი წლის წინ, საფრანგეთის ნაკრებმა 12-წლიანი პაუზის შემდეგ თავის პირველ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ბოლო შესარჩევი მატჩის ბოლო ერთ საათში გაინაღდა. ეს მოხდა 1977 წლის ნოემბერში, საფრანგეთისა და ბულგარეთის ნაკრებთა შეხვედრაში.

ახლაც იგივე განმეორდა - 1981 წლის ნოემბერში, საფრანგეთისა და ჰოლანდიის ნაკრებთა დაპირისპირებაში ირკვეოდა, მიიღებდა თუ არა ჩვენი გუნდი ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატში თამაშის უფლებას.

ბელგიის ნაკრებს უკვე დასრულებული ჰქონდა ჩვენს ჯგუფში გამოსვლა და მხოლოდ სამი გუნდი იბრძოდა ჩემპიონატში მოსახვედრად: ჰოლანდია, საფრანგეთი და ირლანდია. ეს უკანასკნელი საფრანგეთისა და ჰოლანდიის მატჩში ფრეს ნატრობდა. შეხვედრა „პარკ-დე-პრენსზე" 18 ნოემბერს იმართებოდა. ეს სავარაუდო ფრე საფრანგეთისთვის ნაგების ტოლფასი იყო, ჩვენს ორ მოწინააღმდეგეს კი ნეიტრალურ მინდორზე დამატებითი მატჩის გამართვის შანსს აძლევდა.

ასეთი იყო სატურნირო მდგომარეობა შესარჩევ ციკლში ჩვენი ბოლო მატჩის წინ.

ახლა არ ვაპირებ ამ შეხვედრის პერიპეტიების აღწერას. გარკვეულწილად, ის ძალიან წააგავდა საფრანგეთი-ბულგარეთის მატჩს: იგივე პუბლიკა, იგივე ატმოსფერო, იგივე დაძაბულობა და იგივე თამაში.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ გავიმარჯვეთ.

მე პირველი გოლი გავიტანე, **დიდიე სიქსმა** - მეორე.

და ჩვენ ისევ, ზედიზედ მეორედ გავედით მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე!

არგენტინის ჩემპიონატიდან მოყოლებული, ოთხი წლით „დავბერდით". კარგად ვაცნობიერებთ იმას, რომ შესარჩევ ტურნირში ჩვენმა თამაშმა ბევრი გააბედნიერა და ეს არა მარტო ფეხბურთელებზე ითქმის. დღეს ფეხბურთი მხოლოდ თამაში არ არის. აქ უკვე ვეღარ გადაუვლობავ გზას ბიზნესს და ყველანაირ ფინანსურ გარიგებას.

სწორედ ასეთი აზრები მოგდის თავში, როცა გაზეთ „ეკიპის" ერთ-ერთი სტატიის სათაურს შეავლებ თვალს. ამ ყოველდღიურმა გამოცემამ ორი მარტივი სიტყვით გამოხატა ჩვენ მიმართ მადლიერება: „ბრავო, მადლობა!"

შეუძლებელია გულგრილად შეხვდე ასეთ მადლობას, მით უმეტეს, როცა ერთი მოლაყბე კორესპონდენტისგან არასაგაზეთო ინფორმაციას ვიგებთ. ის გვატყობინებს, რომ ჩვენი წარუმატებლობის შემთხვევაში დაგეგმილი 350-ათასიანი ტირაჟი, საფრანგეთის გამარჯვების წყალობით, 630 ათასამდე ავიდა!

ასე რომ, ვაცნობიერებთ რა საყოველთაო ინფლაციას, არ გვიკვირს, რომ ჩვენ იმ სარეკლამო სააგენტოების მსხვერპლნი ვართ, რომლებიც მოკლევადიან ინვესტიციებზე არიან დაგეშილები.

ვიხსენებთ ოთხი წლის წინ, არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში გატარებულ ჩვენს ულიმლამო დღეებს და ვცდილობთ, მაშინდელი შეცდომები აღარ დავუშვათ. ამჯერად, ყველას შეუძლია ატაროს ის ბუცი, რომელიც მას მოესურვება, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა მასზე გამოსახული სამი სიმბოლური სარეკლამო ზოლი.

სწორედ ასეთი განწყობა იგრძნობა ჩვენს საუბრებში ზამთრის შეკრების დროს, რომელიც **მიშელ იდალგომ** შობაზე ჩაატარა.

ნაკრები პირენეის მაღალმთიან კურორტ ფონ-რომიოში შეიკრიბა. სულ 30 კაცი ვართ, ამაში, რა თქმა უნდა, ტექნიკური პერსონალიც შედის. წვრთნები, სამკურნალო პროცედურები - ეს ყველაფერი სტადიონსა და იმ ლიცეუმის ტერიტორიაზე ხდება, სადაც ჩვეულებრივ, სანატორიუმებისთვის კადრებს ამზადებენ. საღამოობით ვახშამი და მოსაწყენი დღეები... თუმცა ხანდახან ადგილობრივ კაზინოში დავდივართ, სადაც წარსულში ცნობილი არტისტები **- დელპეკი, პატრიკ სებასტიანი, ფრანსის კაბრელი** გამოდიან.




რეკლამის მიზნით მოთამაშეთა მოზიდვის პროგრამა დამაჯერებლად მოქმედებს. ეს იდეა უკვე დიდი ხანია დაებადათ ჩვენს ხელმძღვანელებს და საბოლოოდ, დღის სინათლე ოთხი წლის წინ, არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატამდე რამდენიმე თვით ადრე ნეაპოლში საფრანგეთისა და იტალიის ნაკრებების მატჩის წინ ჰპოვა.

ბიევრის ხეობაში, ვერსალის ახლოს ჟუი-ან-ჟოზაში, ტყის პატარა სახლში საფრანგეთის ნაკრები შეიკრიბა და სწორედ იქ გაირკვა ჩვენი პრემიალური თანხების საკითხი.

შეთანხმება საკმაოდ სწრაფად იქნა მიღწეული. იქმნება სპეციალური საზოგადოება - „ფუტბოლ ფრანს პრომოსიონი" („საფრანგეთში ფეხბურთის განვითარების საზოგადოება"), რომლის მთავარი დანიშნულებაა განკარგოს ის თანხები, რომელიც მომავალ ჩემპიონატში ჩვენი მონაწილეობის წყალობით სარეკლამო სააგენტოებიდან შემოდის.



პირობებს თავად ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ფერნან სასტრი** გვაცნობს. ყველაფერი წინასწარ არის შეთანხმებული ჩემთან, **მაქსიმ ბოსისთან** და **მარიუს ტრეზორთან**.

„ფუტბოლ ფრანს პრომოსიონი" მზად არის თავისი მოგების 42 პროცენტი გამოყოს. მისი მეხუთედი ნაწილი თანაბრად გაიყოფა იმ 36 ფეხბურთელს შორის, რომლებმაც პირველ რვა შესარჩევ მატჩში მიიღეს მონაწილეობა. ოთხი-მეხუთედი 24 ნაწილად გაიყოფა: აქედან ორი-მეხუთედი ტექნიკურ პერსონალს ეკუთვნის (იდალგო, **ბურიე, გერენი**, ექიმი **ვრილაკი**, მასაჟისტი **სერენი**, ფიზიკურ მომზადებაზე პასუხისმგებელი **ალენ და მეტინი** და მეკარეების მწვრთნელი **ივან ჩურკოვიჩი**).

დისკუსიის დროს, განსაკუთრებული ყურადღება ჩემს პერსონაზეა გამახვილებული: „და პლატინი? ბევრ ფირმას სურს, პირდაპირ მასთან გააფორმოს კონტრაქტი. მხოლოდ მასთან".

მე წინააღმდეგი გამოვდივარ. ზედმეტად კატეგორიულიც კი. ვერ დავუშვებ, რომ გუნდის სოლიდარობა ცალკეული პირების მიმართ პრივილეგიებმა დააზარალოს.

ჩვენ ჯერ კიდევ მარ-დელ-პლატაში დავინახეთ სანამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ პრივილეგიებმა. თერთმეტი ფეხბურთელიდან ორი ვალდებული იყო, „ადიდასთან" პირადი კონტრაქტის პირობები შეესრულებინა. მათ, ბუნებრივია, მონაწილეობა არ მიიღეს „ფუნჯების გაფიცვაში" და ამ დუეტის მოქმედებამ გუნდში სერიოზული უსიამოვნებები მოიტანა.

დარწმუნებული ვარ, ყველასთვის ერთიანი, საერთო ხელშეკრულება ჯობია პირად კონტრაქტებს.

ჩვენ შევათანხმეთ ნაკრების თითოეული მოთამაშისთვის პირველადი პრემია - 150 ათასი ფრანკი.

ამასობაში, ახლოვდება სახელგანთქმული შეხვედრა საფრანგეთსა და იტალიას შორის, რომელშიც საფრანგეთმა სამი გოლი გაიტანა, არადა, იტალიელები აგერ უკვე 62 წელია ჩვენთან ყველა შეხვედრას გამარჯვებით ასრულებენ.

მაგრამ მე მათთან მსოფლიოს ჩემპიონატზე დაპირისპირება მერჩივნა. ვოცნებობ ფინალში შეხვედრაზე. „სამფეროვანი" საფრანგეთი და „სკუადრა აძურა"...

ჩვენთვის ესპანეთის ჩემპიონატი 16 ივნისს, ინგლისის ნაკრებთან მატჩით იხსნება. დავტოვეთ ფონ-რომიეუ და ბილბაოში „ელმონტიკოს" ულტრათანამედროვე და კომფორტულ რეზიდენციაში დავბანაკდით. ფაქტობრივად, ზღვის დონიდან ორი ათას მეტრზე ვიმყოფებით.

ბილბაო - ბასკთა ქვეყნის დედაქალაქია, ისეთი რუხი ფერების ქალაქი, როგორიც სენტ ეტიენია **ემილ ზოლას** წარმოდგენაში. ამ დღეს, მზე ჩვენს თავზე, რაღაცნაირად თეთრია. ცხელა. ჩრდილში ტემპერატურა 40 გრადუსია - ზუსტად ანდალუზიური ამინდია...

ცხადია, რომ სიცხისა და მზის გამო წუწუნი სათვალავში არ მიიღება. მაგალითად, თუ იტალიის, ესპანეთის ან პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ ვითამაშებთ, ამის გამო წუწუნი კიდევ შეიძლება. მაგრამ ინგლისელებთან მატჩში სიცხეზე ყურადღების გამახვილება გამორიცხულია, რადგან ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ტემზიდან ჩრდილოეთით, წელიწადში სულ რაღაც 100 მზიანი დღის დათვლაა შესაძლებელი.

ჩემს კარიერაში ყველაზე ცნობილი ფოტო, რომელიც დიდხანს ამშვენებდა ჟურნალებისა და წიგნების ყდებს, სწორედ ამ სამარცხვინოდ წაგებული მატჩის დროს იყო გადაღებული. მე იქ აღშფოთებული გამომეტყველება მაქვს, მკაცრი მზერით, შავი წვერით, ხელებზე დაბერილი ვენებით, დაძაბული კუნთებით - ნამდვილ კომანდორს ვგავარ, რომელიც უშედეგოდ ცდილობს დაამყაროს წესრიგი თავის მოთამაშეებს შორის...

ჩვენთვის მატჩი თავიდანვე ცუდად დაიწყო.

„სან მამესის" სტადიონზე საათი პირველ წუთს ითვლიდა, როცა ნახევარმცველმა **კოპელმა** ფლანგზე ჩაირბინა, სიღრმეში პასი **ტრევორ ფრენსისს** გაუკეთა, მან კი ბურთი „ნოტინგემ ფორესტში" თავის თანაგუნდელ **ტერი ბატჩერს** გადააწოდა, რომელმაც კიდევ უფრო შორს **ბრაიან რობსონი** მონახა. და ეს უკანასკნელი, სრულიად თავისუფალი, მაკრატელათი იტანს გოლს.

თამაშის 27 წამი! დამხობილია **ბერნარ ლაკომბის** რეკორდი (34 წამი), რომელიც მარ-დელ-პლატაში იყო დამყარებული.

ამ მატჩში იდალგომ დაცვითი ტაქტიკის გამოყენება არჩია - ისევე ღირსეული, როგორც ასწლიანი ომის დროს. თეორიულად, მე ცენტრალურ თავდამსხმელად ვითვლები. უნდა შევეცადო „დერეფნებში" გაძრომა და მთელ მინდორზე ვიმოძრაო პარტნიორის მოსაძებნად და პასის მისაღებად...

შესვენება ნამდვილი შვება აღმოჩნდა. გასახდელში ინგლისური ჩაი შემოაქვთ, მაგრამ ჩვენ წყალს ვსვამთ. გუნდის შეცდომების გარშემო ცხარე კამათი მიმდინარეობს. პირდაპირ ცივ იატაკზე ვჯდები. ნახევარმა გუნდმა მე მომბაძა და სიამოვნებას იღებს სიგრილით. ამასობაში, ჩვენი ექიმები აქტიურად მოძრაობენ და შუბლზე ცივი წყლით გაჟღენთილ საფენებს გვადებენ.

გამოფიტულები ვართ და ამის გამო, მეორე ტაიმში წარმატების შანსი თითქმის არ გვრჩება, მიუხედავად იმისა, რომ **ჟერარ სოლერმა** საპასუხო გოლის გატანა მოახერხა.

ფეხები დამძიმებული და მოდუნებული გვაქვს, თავშიც აუტანელ სიმძიმეს ვგრძნობთ, თვალებიდან ძლივს ვიხედებით.

ეს ბილბაოს „სან მამესი" კი არა, ხარების ბრძოლის არენა „ტატაუინია", და ეს არა საფრანგეთის ნაკრები, არამედ წითელი ნაჭერია.

გაისმის მსაჯის სასტვენის ხმა, რომელიც თამაშის განახლებას გვაიძულებს.

როგორც ვვარაუდობდი, უშანსოდ ვაგებთ მატჩს, თანაც ჩვენი დაცვა უაღრესად დელიკატურია, როცა რობსონს მარტივი გოლის გატანის საშუალებას აძლევს, შემდეგ კი იმავე საჩუქარს უკეთებს **მარინერს**.

ბილბაოს ისეთი შეგრძნებით ვტოვებთ, თითქოს ბოლომდე ვიყოთ გადამწვარნი. რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავივიწყოთ ბასკეთში ჩატარებული ეს წარუმატებელი მატჩი.

(გაგრძელება იქნება)

გია **თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭადრაკი

# გოგონათა სამაია

დღეს საქართველოს ოცწლამდელთა ჩემპიონატის ბოლო ტურია. როგორც ვვარაუდობდით, ინტრიგამ ბოლომდე მოატანა და გადამწყვეტი შეხვედრები საკმაოდ თვალსასეირო უნდა გამოდგეს. გუშინ საინტერესო ბევრი რამ მოხდა - როგორც ვაჟებში, ისე გოგონებში ძალიან დაიძაბა ვითარება. თუმცა თუ აქამდე გოგონათა შორის უპირობოდ და ერთპიროვნულად ლიდერობდა **ქეთი ნანალაშვილი**, ხოლო ვაჟებში რამდენიმე მონაწილე ედგა ერთნაირი ქულებით ქარავანს თავში, დღეისათვის ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა: ნანალაშვილმა უპირატესობა გაანიავა და ახლა ორ მეტოქესთან ერთად იბრძოლებს გამარჯვებისთვის. ვაჟებში კი **გიორგი მარგველაშვილმა** შეძლო **დავით ჯოჯუას** გადასწრება, გიორგიმ ეს ჯოჯუასთან უშუალო შეხვედრაში წარმატებით მოახერხა: შავი ფერის მიუხედავად ძალიან კარგად ითამაშა, დებიუტიდანვე აქტიურად გაისარჯა, არაორდინარული გეზი აიღო, რომელსაც ადეკვატურად დავითმა ვერ უპასუხა. შედეგად მარგველაშვილი 6 ქულით ცხრილს სათავეში მოექცა, ხოლო ჯოჯუამ მდევრებში გადაინაცვლა. კოეფიციენტის მხრივ დავითს გიორგიზე უკეთესად აქვს საქმე, მაგრამ თუკი ჩემპიონობა სურს, მხოლოდ მისი წარმატება არ გახდება საკმარისი - მარგველაშვილიც უნდა შეფერხდეს, - მინიმუმ ქულა უნდა გაუყოს მეტოქეს. გავბედავთ და ვიტყვით, რომ მარგველაშვილის დონის ოსტატს თეთრებით ბევრად მეტი შანსი აქვს, გამარჯვებას მიაღწიოს **ზურაბ ჯავახაძესთან**, ვიდრე ჯოჯუა დაამარცხებს შავებით **ლუკა პაიჭაძეს**. ლუკაც ერთ-ერთი ფავორიტია და გუშინდელ შეხვედრაში ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როცა ძალზე საინტერესო პარტიაში ქულა გაუყო **დავით ბენიძეს**. ლუკამ შუა თამაშში ფიგურა შესწირა და თითქოს ვერ მიიღო სათანადო კომპენსაცია, მაგრამ ბოლოსკენ მაინც შეძლო მეტოქის შევიწროება და თუმც ვერ მოიგო, არც წააგია - ყაიმი.

საკმაოდ მოულოდნელი იყო **გაიოზ ნიგალიძის** დამარცხება, - იგი თეთრებით თითქმის უბრძოლველად დანებდა **შოთა აზალაძეს**. როგორც ჩანს, გაიოზზე წინა დღით განცდილმა მარცხმა ძლიერ იმოქმედა და ძალების კონცენტრირება ველარ შეძლო.

იგივე შეიძლება ითქვას ნანალაშვილზე, იმ განსხვავებით, რომ მას არ წაუგია, თუმცა ყაიმით ითამაშა, რაც მისთვის ზედიზედ მეორე იყო. მეტოქეებმა ამით ისარგებლეს და ლიდერს წამოეწივნენ. ასეთები **სოფიკო გურამიშვილი** და **მირანდა მიქაძე** არიან. სოფიკომ გუშინ თეთრებით დაამარცხა **მერი არაბიძე**, ხოლო მიქაძემ ასევე თეთრებით შეძლო **თეონა მესხის** დაჯაბნა. სამივეს 6-6 ქულა აქვს და მთავარი ბრძოლაც დღეს მათში უნდა გაიმართოს, თუმცა არაპირდაპირად - გურამიშვილი **ქრისტინე მჟავიას** ხვდება, მიქაძის მეტოქე **თინათინ ბერიძეა**, ხოლო ნანალაშვილს თეონა მესხი დაუპირისპირდება. სამივენი შავებით იასპარეზებენ, კოეფიციენტით ყველას ნანალაშვილი ჯობს, ამიტომ თუ მან გაიმარჯვა, ჩემპიონი ხდება. დამატებითი მაჩვენებლით მეორეა მიქაძე, გურამიშვილი ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაშია - მესამეა ლიდერთა შორის... ვარიანტების ჩამოთვლას აზრი რომ არ აქვს, მკითხველი იოლად მიხვდება, ფაქტი კი ის არის, რომ დღევანდელი ტური თავიდან ბოლომდე ურთულეს ბრძოლებში ჩაივლის. საკითხავი ისაა, ვის გაუღიმებს ფორტუნა და ვინ გაემგზავრება შორეულ არგენტინაში მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ბოლო ტურის გამორჩეული წყვილები: გოგონები: **ქრისტინე მჟავია (4) - სოფიკო გურამიშვილი (6); თინათინ ბერიძე (4) - მირანდა მიქაძე (6); თეონა მესხი (4) - ქეთი ნანალაშვილი (6); მარიამ დანელია (5) - მარიამ თევზაძე (4).**

ვაჟები: **გიორგი მარგველაშვილი (6) - ზურაბ ჯავახაძე (5); ლუკა პაიჭაძე (5,5) - დავით ჯოჯუა (5,5); ლევან ბრეგაძე (5) - შოთა აზალაძე (5,5); დავით ბენიძე (5,5) - დავით ლომსაძე (4,5); ზვიად ფაცია (4,5) - გაიოზ ნიგალიძე (4,5).**

**ზვიად ШАТИРИШВИЛИ**

ჩოგბურთი

# მეოთხედფინალში...

18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (324) ხარკოვში 25-ათასიან ტურნირში ასპარეზობს, სადაც ჩვენებური მე-5 ნომრადაა განთესილი. მან პირველ წრეში უკრაინელ **ოქსანა ტეპლიაკოვას** (599) მოუგო ორ სეტში - 6:2, 6:4. ანალოგიური დონის ტურნირი დაიწყო მოსკოვშიც, სადაც 17 წლის **ეკა გორგოძე** (581) მონაწილეობს. ეკამაც გაგვახარა, პირველ წრეში იოლად დაამარცხა საკვალიფიკაციო ბადიდან გასული უკრაინელი **იულია უნამეცი** (1081) - 6:3, 6:4. თურქულ ანთალიაში დაიწყო 10-ათასიანი ტურნირი, სადაც ორი ჩვენებური ჩაება. **ანა ჯიქიამ** პირველ წრეში შვედ **იულია კლაკენბერგთან** წააგო - 6:7 (5), 2:6. მე-8 ნომრად განთესილმა **მანანა შაფაქიძემ** (723) კი შანსი არ დაუტოვა თურქ **იდილ პაჩირაიფოლლუს** - 6:0, 6:1. ეგვიპტეში (10 ათასი $) ზედიზედ მეორე კვირაა **მარიამ კუპრეიშვილი** ბულგარელ **ბილიანა პავლოვას** (750) ხვდება, პირველ მატჩში მარიამი დამარცხდა, ახლა შურისძიების დროა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

აიკიდო — საქართველოს მე-5 ღია ჩემპიონატი

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

რანდორი ნო კიხონ კატა: 1. **რევაზ ცქიფურიშვილი / გიორგი მაისურაძე** (ვაკე), 2. **მარიამ კაკუტაშვილი / ეკა კაკუტაშვილი** (ცენტრალური კლუბი), 3. **ნიკა მირიანაშვილი / გიორგი კენჭიაშვილი** (ვაკე) და **არარატ საიადიანი / სოსო ისაიანი** (ვარკეთილი)

თავისუფალი კატა: 1. **ნიკოლოზ ჯახუა / თემურ ავსაჯანიშვილი** (ცენტრალური კლუბი), 2. **ალექსანდრე ხეროდინაშვილი / თორნიკე ჯოხაძე** (ცენტრალური კლუბი), 3. **ლაშა როსტომაშვილი / ლევან ველიჯანაშვილი** (ცენტრალური კლუბი).

ტონატო-რანდორი (7-10 წ): **არარატ საიადიანი** (ვარკეთილი); **სოსო ისაიანი** (ვარკეთილი); **რევაზ ნიქაბაძე** (ვარკეთილი).

მოზარდები (11-14 წ.): **ნიკოლოზ ჯახუა** (ცენტრალური კლუბი), **ნიკოლოზ ბენდიანიშვილი** (ვარკეთილი), **თემურ ავსაჯანიშვილი** (ცენტრალური კლუბი) და **იონა შეროზია** (სოლოლაკი).

უფროსები (15+): **ლაშა როსტომაშვილი** (ცენტრალური კლუბი); **ალექსანდრე ხეროდინაშვილი** (ცენტრალური კლუბი); **თორნიკე ჯოხაძე** (ცენტრალური კლუბი).

გოგონები: **მირანდა რეხვიაშვილი** (ცენტრალური კლუბი); **თამარ რეხვიაშვილი** (ცენტრალური კლუბი); **თინათინ ავსაჯანიშვილი** (ცენტრალური კლუბი).



გამარჯვებულები და პრიზიორები — გიორგი ჭანიშვილის ფოტო

ბატუტზე ხტომა

# ეროვნული ჩემპიონატის პრელუდია

**გიორგი ეგნატაშვილის** სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალისა და სპორტსაზოგადოება „მართვეს“ 60-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა ახალგაზრდა ბატუტისტთა თბილისის პირველობაზე, რომელშიც ევროპის მესამე პრიზიორის **თამარ კაკაშვილისა** და **ლია სამხარაძის** გარდა, 18-წლამდე ასაკის ყველა ძლიერი ათლეტი ასპარეზობდა.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

**სპორტის ოსტატობის პროგრამით. გოგონები.** 1. **ანა ოდიშვილი** (49-ე სკოლა), 2. **თეონა ჯანჯღავა** (49-ე სკ.), 3. **ნანა გოგაშვილი** (183-ე სკ.); **ვაჟები.** 1. **რუსტამ კალოევი** (105-ე სკ.), 2. **ზურაბ ნოზაძე** (მე-19 სკ.), 3. **დიმიტრი ზუტიკოვი** (121-ე სკ.).

**ოსტატობის კანდიდატის პროგრამით. გოგონები.** 1. ანა ოდიშვილი, 2. თეონა ჯანჯღავა, 3. **თამარ ბეიტრიშვილი** (39-ე სკ.). **ვაჟები.** 1 ზურაბ ნოზაძე, 2. **ლაშა გაბაშვილი** (99-ე სკ.), 3. **ირაკლი ბეიტრიშვილი** (49-ე სკ.).

— შეჯიბრება, რომელიც თბილისის მერიის სპორტის სამსახურის დაფინანსებით გაიმართა, ერთობ დაძაბული და საინტერესო გამოდგა, — მითხრა ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა და ეროვნული ნაკრების თავკაცმა **ზაურ სულაშვილმა**. — ფაქტობრივად, ეს იყო ეროვნული ჩემპიონატის პრელუდია. გვინდოდა, კიდევ ერთხელ შეგვემოწმებინა იმ ახალგაზრდა სპორტსმენების ოსტატობა, რომლებიც მსოფლიოს პირველობისთვის ემზადებიან. ფაქტობრივად, უკვე შევარჩიეთ ნაკრების ძირითადი ბირთვი. 17-18-წლიანებში აშკარად გამოირჩევა **გიორგი ფუტკარაძე**. ამ შეჯიბრებაზე მან 13,5 სირთულის კოეფიციენტის ვარჯიშები შეასრულა, თუმცა ფინალში პაექრობისას ლეიბს შეეხო და საბოლოოდ საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩნდა, არადა, მას საერთაშორისო სარბიელზეც მედლის რეალურ კანდიდატად მივიჩნევთ.

15-16-წლიანებში რუსტამ კალოევსა და დიმიტრი ზუტიკოვს, ალბათ, ვერავინ შეეცილება. ორი წლით უმცროსებში ნანა გოგაშვილი და **თემურ სონღულაშვილი** გამოირჩევიან. 11-12-წლიანებში ტოლი არ ჰყავთ ანა ოდიშვილსა და თეონა ჯანჯღავას, რომლებმაც შარშან საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირზე სინქრონულ ხტომებში ყველას აჯობეს. ვფიქრობთ, რომ ისინი წლეულსაც მედლებისთვის იბრძოლებენ, ისევე, როგორც ზურაბ ნოზაძე ამავე ასაკში.



რაც შეეხებათ უფროსებს, მსოფლიოს ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიადის ფინალისტი **ლუბა გოლოვინა** და **თენგიზ კოშკაძე** გაემგზავრებიან. შეჯიბრებაზე კიდევ ერთი სპორტსმენის წაყვანას ვვარაუდობთ, რომლის ვინაობაც მოგვიანებით გაირკვევა. პლანეტის უძლიერესი ბატუტისტები (უფროსებიც და ახალგაზრდებიც) წლეულს 17-24 ნოემბერს სანკტ-პეტერბურგში შეიკრიბებიან.

მჯერა, რომ ჩვენი სპორტსმენები მწვრთნელებთან — **ლია ხრიკულთან, ზურაბ კიკნაძესთან, რეზო გამხოშვილთან** და **ვლადიმირ გოლოვინთან** ერთად ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ წლის უმთავრეს შეჯიბრებაზე თავი გამოიჩინონ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონ **რუსუდან ხოფერიას**, რომელიც ჩვენთან ერთადაა დარბაზში და ახალგაზრდებს მდიდარ გამოცდილებას უზიარებს.

— **მსოფლიოს ჩემპიონატამდე რომელ ტურნირებში იასპარეზებთ?**

— მაისის მიწურულს ეროვნული ჩემპიონატი გვაქვს დაგეგმილი ყველა სპორტსმენის მონაწილეობით. ივლისში ახალგაზრდები გამოვლენ საქართველოს პირველობაზე; აგვისტო-სექტემბერში გოლოვინა და კოშკაძე ბელგიაში, პოლონეთსა და გერმანიაში მსოფლიოს თასებზე მოსინჯავენ ძალებს. ვფიქრობ, რომ ხელცარიელი არც ამ შეჯიბრებებიდან დავბრუნდებით.

**ვაჟა დანელია**

რაგბი



გია ლაბაძემ ტულონური კარიერა დაასრულა

# ცხრა წელი ტულონის სამსახურში

ინტერვიუ გია ლაბაძესთან

**საქართველოს ნაკრების მესამეხაზელმა, ბორჯღალოსანთა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა და ყველაზე გამოცდილმა მორაგბემ გია ლაბაძემ თავისი ტულონური კარიერა დაასრულა. გასულ შაბათს, საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში „მონპელიეს“ წინააღმდეგ გიას და ჩეხ გარემარბ მარტინ იაგრს გაცილება მოუწყვეს. ტულონელებმა მეტოქე 22:3 დაამარცხეს და გაცილებაც სევდანარევი მხიარულებით აღინიშნა.**

- „ტულონში“ ცხრა წელი გავატარე - გვიამბობს გია ლაბაძე - ეს ცოტა არ არის. ამ ქალაქმა, კლუბმა, ცხადია, ბევრი რამ მომცა როგორც რაგბში, ისე ცხოვრებაში. შესაბამისად ძალიან მიჭირს განშორება. მაგრამ რას იზამ. ასეთია სპორტული ცხოვრება. ისედაც, ზოგადად ცხოვრებაში, ყველაფერი ოდესღაც მთავრდება.

**- „ტულონიდან“ წასვლა თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, თუ ეს გუნდის მწვრთნელების არჩევანია?**

- „ტულონს“ ჩემი ნებით არასდროს დავტოვებდი. უბრალოდ, წლეულს ავადმყოფობის გამო თითქმის მთელი სეზონი გამიცდა. თანაც ახალი მწვრთნელი გვყავს, რომელსაც ახალი მორაგბეები მოჰყავს გუნდში. ყოველივე ამის გამო გადაწყვიტეს კონტრაქტი აღარ გამიგრძელონ.

**- ხომ არ დაგრჩათ დაუკმაყოფილებლობის განცდა, იქნებ თქვენი ღვაწლი ამ კლუბის წინაშე არასათანადოდ დააფასეს?**

- არა, რატომ? ძალიან კარგი გაცილება მომიწყვეს. კმაყოფილი დავრჩი. განსაკუთრებით ქომაგების დამოკიდებულებამ გამაკვირვა სასიამოვნოდ. არ მინდა წასვლა, მაგრამ...

**- ვინ მოჰყავთ გუნდში ასეთი, რომ თქვენი დატოვება არ შეიძლებოდა და თუ საიდუმლო არაა, რომელ კლუბში გააგრძელებთ კარიერას?**

- მომავალი კლუბის შესახებ ჯერ ვერაფერს გეტყვით. ალბათ მალე გაირკვევა. რაც შეეხება ახალწვეულებს, სია მართლაც შთამბეჭდავია. მე ჩამოვთვლი და თავად განსაჯეთ: მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე ჯონი ვილკინსონი, საფრანგეთის ნაკრების ცხრა ნომერი პიერ მიონი, საფრანგეთის ნაკრების პირველხაზელები სებასტიან ბრუნო და ლორან ემანუელი, არგენტინელები ფელიპე კონტეპომი და ხუან ფერნანდეს ლობე. ეგვიპტური წარმოშობის ინგლისელი ჯო ელ აბდი და კიდევ ხუთი თუ ექვსი არანაკლები დონის მორაგბე.

**- „ტულონის“ ქართველი პირველხაზელი დავით ქუბრიაშვილი გუნდში დარჩება?**

- დათო „ტულონში“ რჩება. მას კიდევ ორი წელიწადი აკავშირებს კონტრაქტის მიხედვით კლუბთან. ამასთან, „ტულონს“ კიდევ ერთი ქართველი პირველხაზელი შეემატება. უნივერსიტეტელი ლევან ჩილაჩავა, „ტულონის“ სკაუტებმა საფრანგეთში გამართულ თვრამეტწლამდელ მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატზე შენიშნეს და გუნდში მოიწვიეს. ცხადია, „ტულონში“ ის თავიდან, თავისი ასაკის გუნდში ითამაშებს.

**- ივნისში საქართველოს ნაკრები ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება ჩერჩილის თასზე სასასპარეზოდ. თქვენ იქნებით ბორჯღალოსანთა შორის?**

- დიახ, ჩერჩილის თასზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში აუცილებლად ვითამაშებ. ჩვენს ეროვნულ გუნდში, თუ ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს და ძალ-ღონეც მეყოფა, ყოველთვის მზად ვარ ვითამაშო.

**ბესიკ ჯანგავაძე**

უნივერსიადა

# ჭავჭავაძელები ლიდერობენ

„უნივერსიადა 2009" საქართველოში აკრედიტებული 20 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტ სპორტსმენთა მონაწილეობით მიმდინარეობს. უკვე ჩატარდა შეჯიბრებები ძიუდოსა და ცურვაში. ლიდერიც გამოიკვეთა - ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მეორე ადგილზე ჯერჯერობით თსუ მიდის, მესამეზე - აგრარული უნივერსიტეტი.

„უნივერსიადა 2009" საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და თბილისის მერიის ორგანიზებით ტარდება.

**კვარცხლბეკი**

**ძიუდო**

**60 კგ:** 1. ზურაბ ზედგინიძე (სტუ), 2. გიორგი გუჯეჯიანი (აგრარული)

**66 კგ:** 1. ელიზბარ ქარდავა (აგრარული), 2. გიორგი მკალავიშვილი (სტუ), 3. ზვიად ამირანაშვილი (ჭავჭავაძე).

**73 კგ:** 1. ბექა ბაიდაური (თსუ), 2. ბექა ბერიაშვილი (საავიაციო), 3. თორნიკე კობაიძე (მცირე-აკადემია). 3. ირაკლი ფოლადიშვილი (სამედიცინო)

**81 კგ:** 1. ზაზა დავაძე (გორის უნივერსიტეტი), 2. ხვიჩა ნიკლაური (თსუ), 3. ზაქრო ფოლადაშვილი (სამედიცინო), 3. მერაბ ჩინჩალაძე (ქართულ-ევროპული).

**90 კგ:** 1. ალექსანდრე ლვინიაშვილი (აგრარული), 2. ბექა ბექოშვილი (სამედიცინო), 3. ბეთქილ ნავერიანი (სტუ), 3. ნიკა ქვათაძე (ჭავჭავაძე).

**100 კგ:** 1. კონსტანტინე მუკვანი (სამედიცინო), 2. შავლეგ ბერუაშვილი (აგრარული), 3. შოთა ცინცაძე (თსუ), 3. გიორგი ბუულულაშვილი (სტუ).

**+100 კგ:** 1. ლევან მუქერია (ჭავჭავაძე), 2. რევაზ ნამურაძე (თსუ), 3. ზურაბ ტოპეშაშვილი (სტუ) 3. გურამ მჭედლიძე (აგრარული).

**ცურვა**

**50 მ. ბრასი.** გოგონები: 1. ნინო მემარნიშვილი (თსუ), 2. მარი ქველაძე (სამედიცინო), 3. დარია რომელაშვილი (ჭავჭავაძე).

ვაჟები: 1. ალექსანდრე ხახანაშვილი (ჭავჭავაძე), 2. ივანე ლექვითაძე (თსუ), 3. რევაზ იმესაშვილი (აგრარული)

**50 მ ბატერფლაი:** 1. გიორგი ბუხრიკიძე (ჭავჭავაძე), 2. ლაშა მეტრეველი (თსუ), 3. დავით ლომაძე (საავიაციო)

**50 მ გულაღმა:** 1. ალექსანდრე ნემსაძე (თსუ), 2. ალექსანდრე ხახანაშვილი (ჭავჭავაძე), 3. მიხეილ სურამელაშვილი (სამედიცინო).

**50 მ თავისუფალი სტილი:** 1. გიორგი ბუხრიკიძე (ჭავჭავაძე), 2. ლექსო ყანჩაველი (თსუ), 3. რევაზ იმესაშვილი (აგრარული).

**100 მ კომპლექსური:** 1. გიორგი ბუხრიკიძე (ჭავჭავაძე), 2. ლაშა მეტრეველი (თსუ), 3. გიორგი ლემონჯავა (საქ. უნივერსიტეტი).

## ლავრენტი კაციაშვილი



არაერთი სპორტსმენი თუ სპორტის მუშაკი სიცოცხლეშივე ქცეულა ლეგენდად. იგივე ითქმის ლავრენტი კაციაშვილზე, კაცზე, რომელმაც ქართული სპორტის ისტორიაში ერთ-ერთმა პირველმა ყველაზე ასაკოვანმა მიატოვა სარბიელზე გამოსვლა, რის შემდეგ ათეული წლები დაუღალავად ემსახურა ქართველ სამბისტთა თაობების აღზრდას.

ლ. კაციაშვილი ყმაწვილობიდან ქართულ ჭიდაობას ეზიარა. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა, ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო სამბოს დანერგვა საქართველოში. თავად ოთხგზის გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი, მეოთხედ 40 წლის ასაკში ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, მომდევნო წელს კი მეორე პრიზიორი იყო. საერთოდ, შვიდგზის გახდა ვიცე-ჩემპიონი. როგორც მწვრთნელმა, აღზარდა სხვადასხვა რანგის ასპარეზობების ჩემპიონები და პრიზიორები, მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. არასდროს შეუწყვეტია ზრუნვა ქართულ ჭიდაობაზე, რადგან მიაჩნდა, რომ სწორედ ამ ეროვნულ საუნჯეში იყო, საერთოდ, ქართველ მოჭიდავეთა წარმატების საიდუმლოება.

ლ. კაციაშვილი არა მარტო შეგირდებისთვის იყო უსაყვარლესი ადამიანი და მისაბაძი პიროვნება. მას მოწიწებით მიაგებდა პატივს ღვაწლისათვის მთელი ჩვენი სპორტული სამყარო და ფართო საზოგადოებრიობა.

ქართული სპორტის საამაყო რაინდის, საუკეთესო პიროვნული თვისებებით შემკული ადამიანის ლავრენტი კაციაშვილის ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ჩვენს ხსოვნასა და ქართული სპორტის ისტორიაში.

საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია

## არჩილ კონსტანტინოვი

86 წლისა გარდაიცვალა ქართული სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, სახელოვან მძლეოსანთა თაობების ცნობილი აღმზრდელი არჩილ კონსტანტინოვი.

მრავალი ათეული წელიწადი ემსახურა იგი საქართველოში მძლეოსნობის განვითარებას, ნიჭიერ ათლეტთა გამოვლენა-დაოსტატებას და დიდ სპორტულ სარბიელზე მათ წარმოჩენას. სამი მათგანი ოლიმპიურ სარბიელზეც იცავდა საქართველოს სპორტულ ღირსებას. მისი შეგირდებიდან ბევრი მერე თავად გახდა მძლეოსანთა აღმზრდელი. მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს ჯერ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, შემდეგ კი საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭა, დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

არჩილ კონსტანტინოვის ხსოვნა და ღვაწლი სამუდამოდ დარჩება ქართული სპორტის ისტორიაში.

საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოში მძლეოსანთა თაობების, მათ შორის ოლიმპიური თამაშების სამი მონაწილის აღმზრდელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

არჩილ კონსტანტინოვი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი მწუხარებას გამოთქვამს მძლეოსნობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული მუშაკის, ღირსების ორდენის კავალერის

არჩილ კონსტანტინოვის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 83 წლისა გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენი და სპორტსმენთა თაობების აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

ლავრენტი კაციაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქართული ჭიდაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებითი იუწყება, რომ გარდაიცვალა წარსულში სახელგანთქმული მოჭიდავე, ქართული ჭიდაობის უბადლო ოსტატი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონების აღმზრდელი სამბოში, ღვაწლმოსილი მწვრთნელი

ლავრენტი კაციაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სუმოს სამყარო

ნაცვე ბაშო (10-24 მაისი)

# შავი ღრუბლები შავი ზღვის თავზე

როდესაც სოხუმელ **ლევან ცაგურიას** კლუბის პრეზიდენტმა საბრძოლო სახელი შეურჩია, გაითვალისწინა, საიდან იყო მისი ახალი მოწაფე წარმოშობით და მას „შავი ზღვა" - **კოკაი** დაარქვა. კოკაი წლებია კლუბის საუკეთესო რიკიში და სახეა, თუმცა დღეისათვის „შავი ზღვის" თავზე შავი ღრუბლები მოიქუფრნენ - კოკაის გავარდნა ელიტიდან სულ უფრო რეალური ხდება...

არადა, გუშინ კოკაის სულ ნახევარი წამი დააკლდა მოგებამდე, მან მოახერხა ყოფილი ოძეკის **დეჯიმას** დოჰიოდან განდევნა, მაგრამ სანამ იაპონელი ფეხს გადააბიჯებდა რკალს, მანამდე ქართველი მუცლით დაეცა დოჰიოზე. კოკაის დადებითი ბალანსი გაუნულდა - 5-5.

ბაშოს ორი მესამედი ელიტის უმრწემესმა სუმოისტმა **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** 6-4 ბალანსით გალია. გუშინ მან ყოჩაღად იბრძოლა 183-კილოიანი მთაკაცის, **მიაბიამას** წინააღმდეგ. ქართველი არ შეუშინდა მეტოქის ცუპარის, მისი მავაშიც იგდო ხელთ და ისე შეუტია, რომ „კოკუგიკანის" ოვაციები დაიმსახურა, მაგრამ ტოჩინოშინს კონტრილეთი გამოეპარა და დამარცხდა.

დღეს ქართველ სუმოისტთა „მენიუში" მონღოლები არიან. იმედია, არ ვცდებით და ჩვენებურები არ არიან მონღოლი მეტოქეების „სალუკმედ" გამზადებულნი. **შოტენროს** და **ტამავაშის** შესახებ ინფორმაციას ქვემოთ იხილავთ...

ბაშოზე იმპერატორის თასისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის, სულ ხუთი სუმოისტი ინარჩუნებს გამარჯვების რეალურ შანსს. 10-10 მოგება აქვთ მონღოლებს, დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** და ჩემპიონ **ჰარუმაფუჯის**. კიდევ ერთ მონღოლს, იოკოძუნა **ასაშორიუს** 9 მოგება აქვს. ჩამოწერა არც **კისენოსატოს** და **კაიოსი** შეიძლება. ჰაკუჰოს ყელში სწვდა ოძეკის ტიტულის დამცველი **ჩიოტაიკაი**, მაგრამ იოკოძუნამ ადვილად გაითავისუფლა თავი და იოლად მოიგო. უკვე 27 ორთაბრძოლაა ჰაკუჰო დოჰიოდან გამარჯვებული ჩადის.



## სუმოს ლექსიკონიდან

ცუიუჰარაი - იოკოძუნას დოჰიოირის და დოჰიოზე შემოსვლის ცერემონიალის დროს, დიდი ჩემპიონის დამხმარე სუმოისტი.

იოკოძუნა - ბანძუკეს უმაღლესი რანგი. დიდი ჩემპიონი. იაპონიაში იოკოძუნებს ცოცხალი ლეგენდის სტატუსი აქვთ.

იუმიტორი-შიკი - „მშვილდ-ისრის მოხრის" ცერემონიალი, იმართება ბაშოს დღის ბრძოლების დასრულების შემდეგ. იუმიტორი-შიკის პატივი სხვადასხვა სუმოისტს ერგება ხოლმე.

**X დღე**

| | |
|---|---|
| კიმურაიამა (მ 16) -მოკონამი (ძ 1) | 0:1 (უვატენაგე) |
| ტოსაიუტაკა (ძ 1) -ბუშუიამა (მ 15) | 0:1 (ოშიდაში) |
| კოკაი (მ 14) -დეჯიმა (მ 12) | 0:1 (ცუკიოტოში) |
| მიაბიამა (მ 11) -ტოჩინოშინი (მ 13) | 1:0 (შიტატენაგე) |
| ჰოკუტორიკი (მ 13)-შიმოტორი (მ 10) | 0:1 (იორიკირი) |
| ტოკიტენკუ (მ 9)-შოტენრო (მ 15) | 0:1 (ცუკიოტოში) |
| კაკიძოე (მ 14) -ტამავაში (მ 8) | 0:1 (კოტენაგე) |
| ასასეკირიუ (მ 7) -ფუტენო (მ 10) | 1:0 (შიტატენაგე) |
| კოტოშოგიკუ (მ 6) -ტაკამისაკარი (მ 12) | 0:1 (მაკიოტოში) |
| ტოჩინონადა (მ 5) -იამამოტორიამა (მ 9) | 0:1 (იორიკირი) |
| ივაკიამა (მ 8) -იოშიკაძე (მ 5) | 1:0 (აბისეტაოში) |
| კისენოსატო (მ 4) -ტოიოჰიბიკი (მ 11) | 1:0 (ცუკიოტოში) |
| ტამანოშიმა (მ 3) -არანი (მ 4) | 1:0 (იორიტაოში) |
| ტოიონოშიმა (მ 3) -კიოკუტენჰო (მ 2) | 0:1 (იორიკირი) |
| კაკურიუ (კ) -ტაკეკაძე (მ 2) | 1:0 (ოშიდაში) |
| ამინიშიკი (მ 1) -ტოჩიოძანი (კ) | 0:1 (იორიკირი) |
| ჰომაშო (მ 1) -გოეიდო (ს) | 0:1 (იორიკირი) |
| კოტომიცუკი (ო) -ჰარუმაფუჯი (ო) | 0:1 (იორიკირი) |
| კოტოოშუ (ო) -კაიო (ო) | 0:1 (კოტენაგე) |
| ჰაკუჰო (ი) -ჩიოტაიკაი (ო) | 1:0 (იორიკირი) |
| ბარუტო (ს) -ასაშორიუ (ი) | 0:1 (ოშიდაში) |

## დღის ამბავი

გადაწყდა, რომ სუმოს ერთ-ერთი კლუბი „სადოგატაკე" ამსტერდამში ტურნეს 5-6 ივნისს მოაწყობს. ეს ტურნე ჰოლანდიასა და იაპონიას შორის 400-წლიანი ურთიერთობის აღნიშვნის ეგიდით მოხერხდა. ჰოლანდიაში კლუბის 20 რიკიში ჩავა, რომლებიც საჩვენებელ შეხვედრებს გამართავენ ამსტერდამში. მოეწყობა ნამდვილი მინი-ტურნირიც. ბილეთები არ იყიდება თავისუფლად, მისი შეძენა მხოლოდ სპონსორების მეშვეობით შეეძლოთ სუმოს მოყვარულებს. შეეძლოთ იმიტომ, რომ უკვე ყველა ბილეთი გაიყიდა. სპონსორები ბილეთებს საცალო ქსელში არ ყიდდნენ, ისინი მხოლოდ ჯგუფურ მოთხოვნებს იღებდნენ, 15 ბილეთი ათასი ევრო ღირდა. ამსტერდამში სუმოისტებს 3,5-ათასიანი დარბაზი უმასპინძლებს. კლუბში ორი ოძეკია: ბულგარელი **კოტოოშუ** და იაპონელი **კოტომიცუკი**, კლუბს ელიტაში კიდევ ერთი წარმომადგენელი ჰყავს, მე-6 მაეგაშირა **კოტოშიგიკუ**.

**XI დღე**

კიმურაიამა (მ 16), 3-7-კასუგაო (ძ 4), 6-4
ვაკაკოიუ (ძ 2), 6-4-ბუშუიამა (მ 15), 5-5
კოკაი (მ 14), 5-5-შოტენრო (მ 15), 7-3
მიაბიამა (მ 11), 7-3-ჰოკუტორიკი (მ 13), 3-7
ტაკამისაკარი (მ 12), 7-3-იამამოტოიამა (მ 9), 5-5
ტოჩინოშინი (მ 13), 6-4-ტამავაში (მ 8), 5-5
ივაკიამა (მ 8), 6-4-კაკიძოე (მ 14), 5-5
ასასეკირიუ (მ 7), 4-6-დეჯიმა (მ 12), 4-6
კოტოშოგიკუ (მ 6), 7-3-ტოიოჰიბიკი (მ 11), 7-3
შიმოტორი (მ 10), 2-8-იოშიკაძე (მ 5), 3-7
ტოჩინონადა (მ 5), 4-6-ფუტენო (მ 10), 3-7
ტოკიტენკუ (მ 9), 5-5-არანი (მ 4), 4-6
ტაკეკაძე (მ 2), 2-9-ტოიონოშიმა (მ 3), 2-8
ჰომაშო (მ 1), 0-10-ტამანოშიმა (მ 3), 3-7
კაკურიუ (კ), 5-5-კიოკუტენჰო (მ 2), 4-6
ტოჩიოძანი (კ), 3-7-გოეიდო (ს), 5-5
ჩიოტაიკაი (ო), 5-5-ამინიშიკი (მ 1), 3-7
კისენოსატო (მ 4), 9-1-ჰარუმაფუჯი (ო), 10-0
კოტოოშუ (ო), 6-4-ბარუტო (ს), 3-7
კაიო (ო), 8-2-ასაშორიუ (ი), 9-1
ჰაკუჰო (ი), 10-0-კოტომიცუკი (ო), 7-3

**ლიდერები**

10-0: ჰაკუჰო, ჰარუმაფუჯი.
9-1: ასაშორიუ, კისენოსატო.
8-2: კაიო

## სუმოს წესებიდან

სუმოს იერარქია: სუმოს რეიტინგში (ბანძუკე) სპორტსმენები ორ მხარედ არიან გაყოფილი: დასავლეთის და აღმოსავლეთის. ასეთი გაყოფა პირობითია, სუმოისტები გუნდური პრინციპით არ ხვდებიან ერთმანეთს, და ერთი მხარის სუმოისტებსაც უწევთ ჩვეულებრივ ერთმანეთთან ჭიდაობა. მაგალითისთვის, აღმოსავლეთის პირველი მაეგაშირა ოდენ ნახევარი საფეხურით წინაა, ვიდრე დასავლეთის პირველი მაეგაშირა რეიტინგში. ანუ რიკიშთა დაყოფა აღმოსავლეთის და დასავლეთის ფალავნებად ძირითადად პირობითია.

რეიტინგი პირამიდის ტიპისაა, უმაღლესი მაკუ-უჩის დივიზიონი ხუთ კატეგორიას შეიცავს: იოკოძუნა, ოძეკი, სეკივაკე, კომუსუბი და მაეგაშირა. მაკუ-უჩის დივიზიონში დაახლოებით 40 სუმოისტია. მაკუ-უჩის შემდეგ მოდის ძურიოს, მაკუშიტას, სანდანმეს, ჯონიდანის და ჯონოკუჩის დივიზიონები. ძურიოს ქვემოთ ბაშო 7-დღიანია და თითოეულ სუმოისტს 15 დღეში მხოლოდ 7 ორთაბრძოლის გამართვა უწევს. ბრძოლები დილით იწყება ყველაზე დაბალი დივიზიონის ყველაზე დაბალი რანგის რიკიშებიდან, დღის ბოლოს იოკოძუნა ჭიდაობს.




## მეტოქეები



**კოკაი შოტენროს** წინააღმდეგ: 1 ორთაბძოლა, 1 მოგება, ბოლო მოგება 2009 წლის მარტის ბაშოზე.

შოტენრო (7-3): აღმოსავლეთის მე-15 მაეგაშირა

27 წლის, 189 სმ, 154 კგ.



**ტოჩინოშინი ტამავაშის** წინააღმდეგ: 8 ორთაბრძოლა, 3 მოგება, 5 წაგება, ბოლო მოგება 2008 წლის სექტემბრის ბაშოზე.

ტამავაში (5-5): დასავლეთის მე-8 მაეგაშირა

24 წლის, 189 სმ, 155 კგ.

## დღის ილეთი



**ცუკიოტოში** (დაქნევით დაგდება)

ეს ილეთი ბაშოზე გუშინ სამჯერ გამოიყენეს, ცუკიოტოშით დაგვიმარცხეს **კოკაიც**.

შემტევი ერთ ხელს მეტოქის ზურგზე ან მხარზე მოათავსებს და დაიქნევს მას მთელი ძალით, რის შედეგადაც მეტოქე ვარდება დოჰიოზე. ცუკიოტოში ხშირად გამოიყენება მაშინ, როცა სუმოისტს სხვა შანსი აღარ რჩება, დოჰიოს კიდესთანაა მიმწყვდეული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ფაჩულიას ატლანტასთან კონტრაქტის გაგრძელება სურს

## ზაზას ხილვა ჰიუსტონშიც უნდათ

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტასთან" კონტრაქტი სეზონის დასრულებასთან ერთად ამოეწურა. იგი სადღეისოდ თავისუფალ აგენტად ითვლება და უპრობლემოდ შეუძლია ახალ კლუბში გადასვლა, თუმცა ატლანტელი ჟურნალისტების მტკიცებით ქართველ ცენტრს "ჰოქსში" დარჩენა სურს.

ვიდრე ჯორჯიელი მედიელების მიერ გამოქვეყნებულ სტატიას შევეხებოდეთ, ჰიუსტონელი ჟურნალისტის ნაუბარს ვთარგმნით: *"როკეტსის" ხელმძღვანელობა იაო მინის ღირსეულ შემცვლელს ეძებს. სიაში არაერთი ცენტრია, მაგრამ, ჩემი აზრით, საუკეთესო ვარიანტი ზაზა ფაჩულიაა, რომელიც "ატლანტა ჰოქსის" სათადარიგო ცენტრია და გუნდისთვის დიდი სარგებელი მოაქვს. იგი "ჰიუსტონის" მონახაზშიც კარგად ჩაჯდებოდა."*

ეს გახლავთ რიგითი ჟურნალისტის მოსაზრება, თუმცა რიგ შემთხვევებში მედიელები გუნდის ოფიციალური პირების მოსაზრებების მიხედვით მსჯელობენ... ზაზას სათადარიგო ცენტრობისთვის ნამდვილად ვერ გავიმეტებთ, თუმცა ვერც იმას დავიჩემებთ, რომ "ჰოქსში" დარჩენის შემთხვევაში, სასტარტო მეფარე იქნება.

ქართველ ცენტრს "ატლანტაში" დარჩენა რომ სურს, "ატლანტა კონსტიტუშენის" ჟურნალისტის, **სეკუ სმიტის** მცირე სტატიიდანაც ჩანს: *"სათადარიგოები, ზაზა ფაჩულია და ფლიპ მიურეი თავისუფალი აგენტები არიან.* ზაზა ოთხი წლის წინანდელ ამბებს იხსენებს:

- *"ატლანტასთან" კონტრაქტის გაფორმების შემდეგ პირველი სეზონში 13 მოგება გვქონდა. წლეულს პლეი ოფშიც გავედით და პირველი ეტაპი დავძლიეთ. პროგრესი აშკარაა.*

ფაჩულია იქვე დასძენს, რომ "ჰოქსში" დარჩენის სურვილი აქვს. მას "კლივლენდის" მაგალითი მოჰყავს:

- *შარშან "კლივლენდ კავალიერსს" ისეთივე შედეგი ჰქონდა, როგორიც წლეულს "ატლანტას". ეს მაფიქრებინებს, რომ გაისად ისეთივე მიზნებისთვის ვიბრძოლებთ, როგორისთვისაც "კავალიერსი". ეს გუნდი ხომ კონფერენციის ჩემპიონობისთვის იბრძვის. ჩემი აზრით, "ჰოქსი" სწორი მიმართულებით მიდის და, ვფიქრობ, გაისად იგი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იქნება. ასეთ კლუბში თამაში კი ნებისმიერი კალათბურთელისთვის სასიამოვნოა.*

**ვაჟა სიმონიშვილი**



ესტონეთის ჩემპიონატი. ფინალი

# 16 და 6

**გიორგი ცინცაძისა** და **ვიქტორ სანიკიძის** „ტარტუ როკი" ფინალურ სერიაში მეორე გამარჯვებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ ოვერტაიმში მოგება "კალევს" დაუთმო – 74:84.

მატჩი მეტად დრამატულად წარიმართა, პირველი ტაიმი როკერებმა 43:26 მოიგეს. მეოთხე პერიოდსაც 9-ქულიანი ფორით შეხვდნენ, მაგრამ ბოლო რაუნდში "კალევმა" თამაში გამოასწორა და საფინალო სირენასთან ერთად ანგარიში გაათანაბრა – 70:70.

დამატებით დროში სტუმრებმა 14:4 იმარჯვეს. "როკერებს" გუნდური თამაში არ გამოუვიდათ, ლიდერობა კი გიორგი ცინცაძემ იკისრა და თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი ქულა ჩააგდო – 16 (7-დან 3 ორქულიანი, 6-დან 3 სამიანი, 2-დან 1 საჯარიმო), რასაც 4-4 მოხსნა-პასი მიამატა. მან მატჩი ხუთი პერსონალური შენიშვნის გამო ბოლომდე ვერ ჩაამთავრა.

ვიქტორ სანიკიძემ 22 წუთი ითამაშა და 6-დან 6 საჯარიმო გამოიყენა. ამის გარდა, მან ორი სამქულიანი არაზუსტად ისროლა და მატჩი 6 ქულით, 9 მოხსნითა და 2 პასით დაასრულა.

ასე და ამგვარად, ფინალურ სერიაში ანგარიში გათანაბრდა – 1:1. მესამე მატჩი "კალევის" მოედანზე, ტალინში 21 მაისს გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**


გიორგი ცინცაძე

# თორნიკე შენგელია NBA-ს კემპზე

## შარაბიძე ბარსელონას წინააღმდეგ



"ვალენსიას" ახალგაზრდა ქართველი ფორვარდი **თორნიკე შენგელია** ამ ზაფხულს იტალიის ქალაქ ტრევიზოში გასამართ NBA-ის კემპზე გაემგზავრება. ამის შესახებ ესპანური გაზეთი "სოლობასკეტი" წერს: *"ვალენსიელთა ორი იუნიორი, თორნიკე შენგელია და ბულგარელი ბოჟიდარ ავრამოვი ივნისში გასამართ ტრევიზოს კემპში მიიღებენ მონაწილეობას. საზაფხულო ბანაკი იტალიაში 6-8 ივნისს გაიმართება და იქ ევროპის საუკეთესო ახალგაზრდები შეიკრიბებიან. ტრევიზოს კემპი NBA-ის ორგანიზებით ტარდება და მასში მოთამაშე კალათბურთელებს ამერიკული გუნდების სკაუტები აკვირდებიან."*

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ტრევიზოს კემპში სხვადასხვა დროს არაერთ ქართველ კალათბურთელს მიუღია მონაწილეობა: **ნიკოლოზ ცქიტიშვილს, მანუჩარ მარკოიშვილს, გიორგი ცინცაძეს, გიორგი შერმადინს, ვიქტორ სანიკიძეს, გიორგი გაფრინდაშვილს** და **გიორგი მამაცაშვილს**. მათგან ორი NBA-ის დრაფტზე აირჩიეს. წლეულს შენგელიას ამერიკაში გადასვლა ნაადრევია, თუმცა მას ამერიკელი სკაუტების თვალთახედვის არეში მოხვედრა ნამდვილად არ აწყენს.

ახლა კიდევ ერთ სასიამოვნო ვალენსიურ ამბავზე: ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, რომ შენგელიასთან ერთად "ვალენსიას" ახალგაზრდულ გუნდში **გიორგი შარაბიძე** ირიცხება. იგი 1990 წელსაა დაბადებული და ცენტრის პოზიციაზე თამაშობს. როგორც ჩანს, თორნიკეს მსგავსად, მწვრთნელმა მისი პროგრესიც შენიშნა და უმაღლესი ლიგის გუნდში გადაიყვანა. "ვალენსიას" დამრიგებელმა, **ნევენ სპაჰიამ** შარაბიძე "ბარსელონასთან" ნახევარფინალური მატჩის განაცხადში შეიყვანა, თუმცა მოედანზე არ გაუყვანია. ასე რომ, ესპანეთის ჩემპიონატის ელიტას მორიგი ქართველი შეემატა. "ბარსასთან" მომდევნო მატჩებში მწვრთნელმა შეიძლება გამოუცდელი გიორგი შარაბიძის მოედანზე შეყვანისგან თავი შეიკავოს, მაგრამ იმედი დავიტოვოთ, რომ მას ადრე თუ გვიან ესპანეთის უმაღლეს ლიგაში თამაში მოუწევს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

სპორტული ცეკვები

# ასე შეხვედრა მხოლოდ თბილისში თუ შეუძლიათ



**მათი გვარების გამოცხადებას გულშემატკივრები მქუხარე ტაშით შეხვდნენ. დარბაზის ცენტრში კი ცერებზე შემდგარი სახეგაბადრული წყვილი მუსიკის დაწყებას ელოდა...**

**- ოვაციებით ქომაგობის იმედი თუ გქონდათ? - ვკითხე შეჯიბრების შემდეგ მოსკოველ ალექსანდრ მორდვინცევს.**

**- ასე შეხვედრა მხოლოდ თბილისში თუ შეუძლიათ. დიდი მადლობა საქართველოს...**

ოლიმპიური ჩემპიონის **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა სპორტულად მოცეკვავეთა „კავკასიის თასის" გათამაშება, რომელშიც 9 ქვეყნის 500-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა სხვადასხვა კატეგორიასა და ასაკში. გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი საქართველოს ნაკრებმა დაიკავა და მთავარი პრიზი მეთოთხმეტედ დაისაკუთრა. მეორეზე აზერბაიჯანელები გავიდნენ. მესამე ადგილი თბილისის ნაკრებს ხვდა.

ათი ცეკვის ჯამში ახალგაზრდებს შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **რატი გაჩეჩილაძე-თიკო ჯაბანაშვილი** („თელა"), 1. **სერგო ნივნივაძე-ლიკა ცნობილაძე** („არაბესკი"), 3. **ოთარ ფოლადაშვილი-ანი კირაკოსიანი** („თელა").

ლია საერთაშორისო ტურნირში ორთაბრძოლები უფრო მიმზიდველი და დაძაბული გამოდგა. ევროპულ ცეკვებში სამივე საპრიზო ადგილი საქართველოს წარმომადგენლებს ხვდათ: 1. **ლევან ახვლედიანი- მარი ბეჟიაშვილი**, 2. რატი გაჩეჩილაძე-თიკო ჯაბანაშვილი (ორივე - თბილისი), 3. სერგო ნივნივაძე- ლიკა ცნობილაძე (ბათუმი).

ლათინურამერიკულ ცეკვებში ტოლი არ ჰყავდათ უკრაინელებს - **დმიტრი როსენკოსა** და **ნატალია გრანკოს**. გამარჯვებულებს მცირედით ჩამორჩნენ მოსკოველები - **ალექსანდრ მორდვინცევი** და **დინა ახმედგარეევა**. ბრინჯაოს მედალი ლატვიელებს - **დანიილ კუტუზოვსა** და **ვიქტორია პუკოვიკას** ხვდათ. შარშანდელი ჩემპიონები - **მაქსიმ ლიტიუშკინი** და **კატერინა იოვიკი** ამჯერად მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ტურნირის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს დიპლომები და მედლები გადაეცათ, ხოლო საუკეთესო მოცეკვავეები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

- შეჯიბრებამ მაღალ დონეზე ჩაიარა, - გვითხრა სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **თენგიზ გაჩეჩილაძემ**. - დიდი მადლობა ყველას დახმარებისა და თანადგომისთვის. მომავალ უქმეებზე უკვე მინსკი უმასპინძლებს საერთაშორისო ტურნირს, სადაც მსაჯად ვარ მიწვეული. საქართველოდან **გენადი ცინკევიჩისა** და **მზია ორველაშვილის** წყვილი იასპარეზებს, ხოლო საქართველოს ჩემპიონები - ლევან ახვლედიანი და მარი ბეჟიაშვილი 4-5 ივნისს ასტანაში (ყაზახეთი) მოსინჯავენ ძალებს.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

უკრაინის ჩემპიონატი

# უკრაინული პრესა: მარკოიშვილის თამაში ქებას... არა, აღტაცებას იმსახურებს!

## ფანტასტიკური მეოთხე პერიოდი

**მანუჩარ მარკოიშვილმა** სეზონის ბოლოს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ "კიევზე" მაღალი კლასის კლუბში თამაშს იმსახურებს. მან უკრაინის პირველობის მესამე ადგილისთვის მატჩში პირადად მოუგო "ხიმიკს" – 74:65.

მანუჩარმა 40-დან მხოლოდ 2 წუთი დაისვენა, თუმცა ბოლო პერიოდის მაღალ დონეზე ჩასატარებლად საკმარისი ენერგია შერჩა: 5-დან 4 სამქულიანი სწორედ მეოთხე პერიოდში ჩააგდო და საბოლოოდ 26 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა მიითვალა.

აი, რას წერენ უკრაინელი ჟურნალისტები "კიევი"-"ხიმიკის" მატჩის მიმოხილვაში:

*"გამთამაშებელი დენის ლუკაშოვის ტრავმის გამო "კიევის" ძირითად შემადგენლობაში ახალგაზრდა ალექსანდრე ლიპოვოი გამოჩნდა. მან უაიკინ კელის მეურვეობას თავი კარგად გაართვა და პირველი მეოთხედი 17:17 დასრულდა.*

*მეორე ათწუთეულის დასაწყისში ლიდერობა იკისრა მანუჩარ მარკოიშვილმა, რომელმაც ჯერ სამქულიანი მოათავსა კალათში, შემდეგ ტომასს თავსზემოდან დაატენა და - 27:20 "კიევის" სასარგებლოდ. ამ ეპიზოდმა სტუმარი ქიმიკოსები გამოაფხიზლა და დიდ შესვენებაზე 9-ქულიანი ფორით გავიდნენ – 43:34.*

*მესამე პერიოდმა, ისევე როგორც პირველმა, თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და ტრიბუნაზე შეკრებილ გულშემატკივარს ნაკლებად სჯეროდა, რომ მეოთხე რაუნდში სიტუაცია მასპინძელთა სასარგებლოდ შეიცვლებოდა.*

*...მაგრამ "მგლებმა" მეოთხე პერიოდი ფანტასტიკურად ჩაატარეს. ქებას იმსახურებს მანუჩარ მარკოიშვილის თამაში... ქებას კი არა – აღტაცებას იმსახურებს. ქართველმა უკანახაზელმა ერთმანეთის მიყოლებით სამი სამქულიანი გამოიყენა, რასაც ჯარიმიანი ორქულიანი მიაყოლა და ანგარიში გაათანაბრა – 65:65. იუჟნელ ქიმიკოსებს ვერც წუთშესვენებამ უშველა – მარკოიშვილი შეუჩერებელი იყო: საკვანძო ეპიზოდში მან მორიგი სამიანი ჩააგდო და 71:65. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა."*

მესამე ადგილისთვის მატჩების სერია 20 მაისს გაგრძელდება. მეორე შეხვედრასაც "კიევი" უმასპინძლებს. სერია სამ მოგებამდეა.



**ვაჟა სიმონიშვილი**

რაგბი

# ზე 14 ფართოვდება


ენდი მარინოსი


ჯონ ონილი

გადაწყდა, 2011 წლიდან მსოფლიო რაგბის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს, რომელიც ჩვენში ზე 14-ის სახელითაა ცნობილი, კიდევ ერთი გუნდი დაემატება და ცხადია, ზე 15 დაერქმევა.

ტურნირში გუნდების რაოდენობის ზრდა, გათამაშების ფორმატის ცვლილებასაც გამოიწვევს. მე-15 გუნდი, სავარაუდოდ, ავსტრალიური იქნება, თუმცა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად, პრეტენდენტებს ტენდერის მოგება დასჭირდებათ.

გათამაშება თებერვლის ბოლო კვირას დაიწყება და აგვისტოს პირველ უქმეებზე დასრულდება. ივნისში, სანაკრებო ტესტების დროს ყველა გუნდს მიეცემა საშუალება, სამი კვირა დაისვენოს. შეიქმნება სამი ხუთ-ხუთგუნდიანი ჯგუფი. სავარაუდოდ, თითოეულ ჯგუფში ერთი და იმავე ქვეყნის წარმომადგენლები იქნებიან განაწილებულნი, რომლებიც ორ წრედ ითამაშებენ შინ და გარეთ.

ამასთან, თითოეული გუნდი სხვა ჯგუფების ოთხ გუნდს შეხვდება ასევე შინ და გარეთ. პლეი ოფში ჯგუფებში გამარჯვებულები და სამი საუკეთესო მაჩვენებლის მქონე გუნდი გადის. ამდენად, პლეი ოფის საგზური შესაძლებელია ერთი და იმავე ჯგუფის მეორე და მესამეადგილოსანმაც მოიპოვოს, თუ ცხადია სხვა ჯგუფის გუნდებზე მეტი ქულები ექნებათ დაგროვებული.

ნახევარფინალში პირდაპირ მოხვდება, ჯგუფებში გამარჯვებულთა შორის ორი საუკეთესო მაჩვენებლის მქონე გუნდი. მესამე კი, დანარჩენ სამ საუკეთესო მაჩვენებლის მქონე გუნდთან ერთად, ნახევარფინალში გასასვლელ პლეი ოფს ითამაშებს.

შესაბამისად, რადგან ზე 15-ის გათამაშება აგვისტოს პირველ უქმეებზე დასრულდება, სამი ერის გათამაშება სტარტს ყოველთვის სამხრეთ აფრიკაში აიღებს აგვისტოს მეორე ან მესამე კვირას.

*„ეს საინტერესო, ძალიან შრომატევადი მოლაპარაკებები იყო. გადაწყვეტილება, რომელიც მივიღეთ, ვფიქრობ, ძალიან კარგია ზოგადად რაგბისთვის, სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირისთვის, თვითონ მორაგბეებისა და რაგბის ქომაგებისთვის"* - თქვა სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ენდი მარინოსმა.**

მიღებული გადაწყვეტილების გამო სიხარულს ვერ მალავდა ავსტრალიის რაგბის კავშირის მმართველი დირექტორი და პრეზიდენტი **ჯონ ონილი:**

*„ამ ტურნირის ფორმატის შეცვლა, მოასპარეზე გუნდების რაოდენობის გაზრდა შეჯიბრებას კიდევ უფრო პოპულარულს გახდის და მასში მონაწილე გუნდებს შესაძლებლობა მიეცემათ კიდევ უფრო გაიუმჯობესონ მატერიალური მდგომარეობა.*

*განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ გადაწყვეტილებას ავსტრალიური რაგბისთვის. მე-15 გუნდი, რომელიც გათამაშებას დაემატება, ჩვენი იქნება. ეს კი, საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავზარდოთ რაგბით დაკავებული ადამიანების რაოდენობა. კონკურენცია გავუწიოთ სპორტის სხვა სახეობებს ქვეყნის შიგნით."*

ზელანდიის რაგბის კავშირის პრეზიდენტ **სტივ ტეუსთვის** მიღებული გადაწყვეტილება დიდი ხნის ოცნების ახდენა იყო:

*„მოხარულნი ვართ, რომ შეთანხმებას მივაღწიეთ. ტურნირის ფორმატის შეცვლა აუცილებლად გამოიწვევს ზელანდიური რაგბის კიდევ უფრო განვითარებას. თვით ტურნირი კი, რანგით კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავა, განვითარდება, დაიხვეწება და ამით მოგებული დარჩება ყველა: გუნდები, მორაგბეები, ფუქციონერები, ქომაგები და სპორტული მედიაც".*

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მე-15 გუნდად ავსტრალიური გუნდის დამატების ალბათობამ. ზე 14-ის ერთ-ერთი წამყვანი ავსტრალიური კლუბის, „ვორათაზის" მწვრთნელს **კრის ჰიკის** მიაჩნია, რომ მის ქვეყანას არ გააჩნია საკმარისი რესურსი, რათა ამ უმაღლესი დონის შეჯიბრებაში მეხუთე გუნდი გაიყვანოს.

*„ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება შეიქმნას გუნდი, რომელიც მთლიანად კუნძულელებით: ფიჯელი, სამოელი და ტონგელი მორაგბეებით იქნება დაკომპლექტებული. შესაძლებელია ამ გუნდის ინფრასტრუქტურა, ბაზა ავსტრალიაში შეიქმნას. ვფიქრობ, ეს შეჯიბრებას ბევრად უფრო საინტერესოს გახდის".*

ერთი სიტყვით გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. მე-15 გუნდს, როგორც უკვე აღვნიშნეთ ტენდერი გამოავლენს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

კრივი

# მეივეზერები ერთად არიან

პროფესიულ რინგზე დაბრუნებულ **ფლოიდ მეივეზერ-უმცროსს** ახალი მწვრთნელი ეყოლება. დაუმარცხებელ მოკრივეს 18 ივლისს გასამართი ბრძოლისთვის მამამისი - **ფლოიდ მეივეზერ-უფროსი** მოამზადებს. მამა-შვილი დიდი ხანი ნაჩხუბრები იყვნენ და საერთოდ არ ჰქონდათ ურთიერთობა. ამ ხნის განმავლობაში უფროსი მეივეზერი ბრიტანელ **რიკი ჰატონს** ავარჯიშებდა.

*„პაკიაოსა და ჰატონის ბრძოლის შემდეგ, მამაჩემი ყოველდღე მუშაობს ჩემთან,* - ამბობს უმცროსი მეივეზერი. - *ჩვენ ვვარჯიშობთ, პულს ვთამაშობთ და ბევრს ვლაპარაკობთ სხვადასხვა მოკრივეზე".*

მწვრთნელი მეივეზერი ფილტვების მძიმე სენით არის დაავადებული, რის გამოც ბოლო დროს 12 კილოგრამი დაიკლო. ეს საკითხი მის ვაჟს ძალიან აღელვებს.

*„ჩემი მშობლები ბერდებიან და არსებობს გარკვეული საკითხები, რის შესახებაც იქამდე უნდა დავილაპარაკოთ, სანამ ისინი ამ ქვეყანას დატოვებენ",* - ამბობს მოკრივე.

მეივეზერის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა **მენი პაკიოასა** და რიკი ჰატონის ბოლო ბრძოლა. *„მე ვიცი, რისი სწავლებაც შეუძლია მამაჩემს, მაგრამ ზოგიერთ მოკრივეს არ შეუძლია ახალი ილეთებისა თუ ტაქტიკის აღქმა. ჰატონმა იჩქარა და ბრძოლისთვის არჩეულ ტაქტიკას არ მიჰყვა",* - განაცხადა „ლოს ანჯელეს თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში ფლოიდ მეივეზერ-უმცროსმა.

**გია თვალაბეიშვილი**

სხვადასხვა

კალათბურთი

## დალასი კიდს გაუშვებს

„დალას მავერიქსის" ხელმძღვანელობა ვეტერანი მცველის **ჯეისონ კიდის** შენარჩუნებას აპირებს, მაგრამ თუ ეს ვერ მოახერხა, გამთამაშებლის სანაცვლოდ სოლიდური კომპენსაციის მიღება სურს. კიდი, შესაძლოა, sign-and-trade-ის სისტემით გაიცვალოს, ანუ ჯერ ხელი მოაწეროს „მავერიქსთან" შეთანხმებას და შემდეგ გადავიდეს სხვა კლუბში.

ბოლო პერიოდში, ჯეისონით „ლეიკერსი", „კლივლენდი", „ნიუ იორკი" და „პორტლენდი" დაინტერესდნენ.

## ბრანტი პარკინსონით დაავადდა

ახლო წარსულში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კალათბურთელ **ბრაიან გრანტს** პარკინსონის დაავადების ადრეული სტადია დაუდგინეს.

*„ყველაზე მეტად იმის მეშინია, რომ საკუთარ თავზე კონტროლს დავკარგავ. ისეთი ადამიანი მჭირდება, რომელიც მუდმივად ჩემს გვერდით იქნება და ჩემზე იზრუნებს",* - აცხადებს 37 წლის კალათბურთელი, რომელიც NBA-ში „საკრამენტოს", „პორტლენდის", „მაიამის", „ლეიკერსისა" და „ფინიქსის" ღირსებას იცავდა. სულ გრანტს ლიგაში 756 მატჩი აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე საშუალოდ 10.5 ქულა მოდის.

## სიქსერზი ტიბოდოს უმიზნებს

„ფილადელფია სიქსერზი" კვლავაც ახალი მწვრთნელის ძიებაშია. ამჯერად, ამ კლუბის ხელმძღვანელობა „ბოსტონ სელტიქსის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტთან **ტომ ტიბოდოსთან** აწარმოებს მოლაპარაკებებს. სპეციალისტი, რომელიც დაცვითი სტრატეგიების დიდოსტატად ითვლება, შესაძლოა, უკვე 2009-10 წლების სეზონიდან ჩაუდგეს სათავეში „სიქსერზს".

ტიბოდოს დიდი დამსახურებაა ის, რომ „სელტიქსმა" შარშან NBA-ის ჩემპიონატი მოიგო. ხოლო ამ მწვრთნელის „ნიუ იორკში" მუშაობისას, „ნიქსმა" 2000-01 წლების სეზონში NBA-ის რეკორდი დაამყარა - ზედიზედ 33 მატჩში არ მისცა მეტოქეებს მატჩში 100 ან მეტი ქულის დაგროვების საშუალება. აღსანიშნავია, რომ ტიბოდოს აქამდე მთავარ მწვრთნელად არასოდეს უმუშავია.

ჰოკეი

სტენლის თასი. 1/2 ფინალი

აღმოსავლეთი

| პიტსბურგი-კაროლინა | 3:2 |
|---|---|

2:0, 0:1, 1:1

გოლები: 1:0 სტაალი-1 (კუკი-3, გილი-2), 2:0 მალკინი-7 (ბუშე-2), 2:1 ლაროუზი-3 (კოული-3, კულენი-3), 3:1 ბუშე-1 (კროსბი-10, მალკინი-14), 3:2 კორვო-2 (რეი უიტნი-7, ბრინდამორი-2).

სერია: 1:0

**გია თვალაბეიშვილი**

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

| ჰოლანდია | |
|---|---|
| **პლეი ოფი** | |
| ექსელსიორი-ვაალვიკი | 1:2 |
| დორდრეჰტი-როდა | 1:1 |
| ცვოლე-კამბური | 2:1 |
| მაასტრიხტი-გრააფსხაპი | 2:3 |
| **ნორვეგია** | |
| სანდეფიორდი-რუსენბორგი | 2:2 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-ლეობენი | 2:0 |
| ავსტრია A-ფოკლაბრუკი | 1:0 |
| ტიროლი-ადმირა | 2:1 |
| გრატკორნი-გრიოდიგი | 1:0 |
| ზალცბურგი A-ლუშტენაუ | 0:0 |
| ვინერი-სტ. პოლტენი | 4:1 |
| **ირლანდია** | |
| **ლიგის თასი** | |
| უოტერფორდი-შემროკი | 2:1 |
| უექსფორდი-ბოჰემიანსი | 1:2 |
| **ჰოლონეთის თასი** | |
| რუხი-ლეხი | 0:1 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| ალ ჯაზირა-ესტეგალი | 2:2 |
| ალ ითიჰადი-უმ სალაი | 7:0 |
| სეპაჰანი-ალ ითიფაქი | 3:0 |
| ბუნიოდკორი-ალ შაბაბი | 0:0 |
| სუვონი-სინგაპური | 3:1 |
| შანხაი-კაშიმა | 1:1 |
| სენტრალი-ტიანინი | 0:1 |
| კავასაკი-პოჰანგი | 0:2 |

კალათბურთი

| ესპანეთი | |
|---|---|
| **პლეი ოფი. 1/4 ფინალი** | |
| ბილბაო-ტაუგრესი | 76:97 |
| ვალენსია-ბარსელონა | 55:81 |
| გრან კანარია-უნიკახა | 68:70 |

ჩოგბურთი

| ATP. კიტცბუელი | |
|---|---|
| მელცერი-ჟილი | 6:3, 6:0 |
| ბენეტო-სელა | 7:5, 6:1 |
| კაპდევილე-ჟანკუეირა | 3:6, 2:6 |
| კუბეკი-პეტშნერი | 7:6, 6:4 |
| ჩელა-ჟიკელი | 5:7, 6:3, 6:0 |
| არგელო-გარსია ლოპესი | 6:4, 4:6, 3:6 |
| ერნანდესი-სანტორო | 6:2, 6:3 |
| **ATP. დიუსელდორფი** | |
| ტიპსარევიჩი-ვოვკი | 6:2, 6:4 |
| შუტლერი-სიმონი | 6:4, 6:4 |
| ვინსიგერა-ჯინეპრი | 7:5, 6:4 |
| დელ პოტრო-სეპი | 6:3, 6:4 |
| სიოდერლინგი-კუერი | 6:2, 6:2 |
| ტროიცკი-კოროლიოვი | 6:2, 6:2 |
| **WTA. ვარშავა** | |
| გალოვიტცი-კრეიბასი | 6:3, 5:7, 3:6 |
| დოკიჩი-ოლარუ | 4:6, 3:6 |
| ერანი-არნი | 6:2, 1:6, 7:6 |
| დულგჰერუ-შატმარი | 6:3, 6:4 |
| კუსტოვა-ტვაროსკოვა | 6:4, 6:1 |
| ჰანტკხოვა-ლაგოსტერა ვივესი | 3:6, 6:3, 6:3 |
| კორიტცევა-უ. რადვანსკა | 3:6, 6:3, 3:6 |
| მაირი-ვოსკობოევა | 4:6, 1:6 |
| შჩინკი-ზაკოპალოვა | 6:3, 4:6, 3:6 |
| **WTA. სტრასბურგი** | |
| ლეპჩენკო-პარმენტიე | 6:7, 6:7 |
| მედინა გარიგესი-ვიკმაირი | 1:6, 6:3, 6:3 |
| იაკიმოვა-ანი | 6:3, 7:5 |
| ბეგელციმერი-ფერშტეინი | 0:6, 7:6, 6:3 |
| ვესნინა-კოინი | 4:6, 2:6 |
| გრონეფელდი-ნიკულესკუ | 6:4, 2:6, 3:6 |
| დეში-კუდრიავცევა | 0:6, 7:6, 3:6 |
| კუტუზოვა-ტანასუგარნი | 6:3, 6:0 |
| ჰრადეცკა-ვორი | 3:6, 6:1, 6:2 |
| იაჰონსონი-კოენ ალორო | 6:4, 4:6, 1:6 |
| ფორეცი-ფლიპკენსი | 6:1, 2:6, 6:2 |

TV პროგრამა

20 მაისი. ოთხშაბათი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:25 ლიბერტადორესის თასი.
09:15 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:15 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
14:10 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:20 ლიბერტადორესის თასი.
18:19 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლიონი.
22:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:45 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
23:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:20 ლიბერტადორესის თასი.
01:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:15 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი (LIVE).
04:15 საფეხბურთო პროგრამა.
04:45 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

06:00 როდეო. BULL RIDERS.
08:00 სპორტული დილა.
08:45 ბეისბოლი. MLB-ის ჩემპიონატი. სან ფრანცისკო-ნიუ იორკი.
11:20 ახალი ამბები.
11:30 ბრძოლა წესების გარეშე.
12:30 მძლეოსნობა. სეზონის სტარტის წინ. ოქროს ლიგა. გერმანია.
14:30 რალი-რეიდი.
15:00 სპორტული დღე.
15:30 როდეო. BULL RIDERS.
16:30 ბადმინტონი.
18:50 სპორტული გლობუსი - TRANS WORLD SPORT წარმოგიდგენთ.
19:20 ახალი ამბები.
19:50 ბრძოლა წესების გარეშე.
20:50 სპორტული ცეკვები.
22:00 სპორტული საღამო.
22:30 მძლეოსნობა. სეზონის სტარტის წინ. ოქროს ლიგა. გერმანია.
00:30 ახალი ამბები.
00:40 კალათბურთი. ევროლიგა. ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. ბარსელონა (ესპანეთი)-ცსკა (რუსეთი).
03:40 ახალი ამბები.
04:10 სინქრონული ცურვა.

**EUROSPORT**

10:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. X ეტაპი.
12:05 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
12:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჰამბურგი-ვერდერი.
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. შახტარი-დინამო.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. ვარშავა. რუსეთი (LIVE).
16:45 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. X ეტაპი.
17:05 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
17:15 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XI ეტაპი (LIVE).
19:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
19:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა.
20:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. ოლივერ კანი.
21:40 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა. ტელეჟურნალი.
21:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:00 ევროსპორტი - 20 წელი.
23:05 მულტისპორტი.
23:10 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. საფრანგეთი.
00:10 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
00:15 გოლფი. US PGA-ის ტური.
01:10 გოლფი. ევროპის ტური.
01:40 გოლფ-კლუბი.
01:45 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
02:00 მარათონი.
02:30 ბრძოლა წესების გარეშე.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. პოლინეზია.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. პოლინეზია.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთი.
14:30 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. პოლინეზია.
15:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ვერდერი-ჰამბურგი.
17:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჰამბურგი-ვერდერი.
18:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:45 ახალი ამბები.
19:00 სპიდვეი. პოლონეთის გრანპრი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 რალი. IRC-ის სერია. პორტუგალია.
21:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 სერფინგი. პოლინეზია.
22:15 რესტლინგი.
22:45 პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. საშუალო წონა. ა. აბრაჰამი (გერმანია)-დ. საიმონი (აშშ). გერმანია.
00:45 სერფინგი. პოლინეზია.
01:00 ახალი ამბები.
01:45 სერფინგი. პოლინეზია.
02:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. პოლინეზია.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. პოლინეზია.
04:00 ახალი ამბები.

ფორმულა 1

# მეკობრული ფორმულა ნამდვილს აჯობებს



**ფორმულა 1-ის ალტერნატიული ჩემპიონატის ჩატარება დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება ფანტაზიებში გადავვარდეთ და გავარკვიოთ, როგორ იარსებებს პარალელურად ორი ფორმულა 1. გავიმეორებთ, ეს მხოლოდ ფანტასტიკის სფეროდანაა...**

მაშ ასე, ფორმულა 1-ის გუნდები **მაქს მოსლისთან** და **ბერნი ექლსტოუნთან** ჩხუბობენ, დიალოგს შედეგი არ მოაქვს და მხარეები საბოლოოდ იყრებიან. რა სახეს მიიღებს ლეგალური, ლიცენზირებული ფორმულა 1?

ბოლომდე გაურკვეველია „ბრაუნისა" და „უილიამსის" პოზიციები: ისინი თითქოს ამბოხებულ გუნდებს უცხადებენ სოლიდარობას, მაგრამ 2010 წლის სეზონისთვისაც აპირებენ განაცხადის შეტანას. მოდით, ეს გუნდები და აგრეთვე „ფორს ინდია" ფედერაციას დავუტოვოთ. აქვე ყოფნა გარანტირებული აქვს **დეივ რიჩარდსს**, ამერიკელებს თავიანთი USGPE-ით და „ლოლას" - ამ შემთხვევაში საკმაოდ საინტერესო და პერსპექტიულ პროექტებთან გვაქვს საქმე. ასევე თითქმის ეჭვგარეშეა, რომ მწვანე შუქს აუნთებენ საჯინიბო iSport-ს გრან-პრი 2-ის სერიიდან - აი, უკვე შვიდი გუნდი შეგროვდა.

კიდევ ვინ შეიძლება ამ ჯგუფს შეუერთდეს? იქნებ „ლაითსპიდი" ბრიტანეთის ფორმულა 3-დან? ამ გუნდზე ნაკლები ინფორმაციაა და მიღწევებიც მოკრძალებულია... სასტარტო ბილიკზე 11-12 საჯინიბოა საჭირო. აქ შეიძლება **მაიკ გასკოინი** ჩაერთოს საქმეში. **აგური სუძუკიმ** უარყო ფორმულაში დაბრუნების ჭორები, სამაგიეროდ, **ჯანკარლო მინარდიმ** უკვე არაერთხელ მიანიშნა იმის შესახებ, რომ ბიუჯეტის ლიმიტირების შემთხვევაში დაფიქრდება „დიდ ცირკში" დაბრუნების შესახებ. ტრადიციული ლიდერების წასვლის შემდეგ, ლეგალურ ფორმულა 1-ს ხმაურიანი სახელების მხრივ პრობლემები შეექმნება და ამ შემთხვევაში მინარდი მას ძალიან გამოადგება.

ამის გათვალისწინებით, ასევე შესაძლებელია პადოკში **ედი ჯორდანის** ან **პოლ სტოდარტის** შეშვება, მით უმეტეს, რომ მათ ავტოსპორტისადმი ინტერესი არ განელებიათ. მე-11 გუნდი ბერნი ექლსტოუნის რეკომენდაციით შეიძლება შეირჩეს - ამბობენ, რომ ფორმულა 1 კიდევ ერთი ამერიკული გუნდის მიღებას აპირებს. ესეც თქვენი 22 ბოლიდი - იმაზე მეტი, ვიდრე დღეს არის.

მაგრამ გუნდებს ხომ ძრავებიც დასჭირდებათ?! ნუთუ, 2006 წლის „კოსუორტზე" შეაჩერებენ არჩევანს? კონკურენციისთვის შესაძლებელია ფორმულა 1-ში ვიხილოთ სხვა კომპანიები, რომლებიც ერთიანი ძრავის შექმნის ტენდერში იღებდნენ მონაწილეობას - მაგალითად, „ილმორი".

გარდა ამისა, ფორმულა 1-ში დარჩებიან ის ტრასები, რომლებთანაც მრავალწლიანი კონტრაქტებია გაფორმებული. რა თქმა უნდა, საბურავების მომწოდებელი „ბრიჯსტოუნი" იქნება.

მაშ ასე, ვაჯამებთ: „ბრაუნი", „უილიამსი", „ჯორდანი", „მინარდი", „პროდრაივი", „ფორს ინდია", USGPE, სტოდარტის გუნდი, „აი-სპორტი", „ლაითსპიდი" და კიდევ ერთი ამერიკული გუნდი. ისინი ყველანი „კოსუორტებითა" და „ილმორებით" გამოვლენ. როგორ მოგწონთ? თავისუფლად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ჩემპიონატი რამდენიმე წელიწადში გაქრება: „ფერარისა" და „მაკლარენის" გარეშე გამართულ რბოლებზე მაყურებელი არ ივლის, შეწყდება ტელევიზიებთან კონტრაქტები, ყველაზე ძლიერი პილოტები ალტერნატიულ სერიებში მონაწილე მდიდარ საქარხნო გუნდებში გადავლენ.

შემოსავლების დაცემასთან ერთად, გუნდების მოგების წილიც დაიკლებს და რამდენიმე საჯინიბო გაკოტრდება.

■ ■ ■

როგორ ცხოვრობს ამ დროს „მეკობრული" სერია? აღმოჩნდა, რომ გაცილებით უკეთ მაყურებლის წინაშე წარდგება პრაქტიკულად ყველა გრანდი, აქვე იქნებიან მსოფლიოს საუკეთესო პილოტები. სულ შვიდი საჯინიბო შეგროვდება? არ არის პრობლემა. გუნდები ტრასაზე სამ-სამ ბოლიდს გამოიყვანენ. ეს დიდ პერსპექტივებს აძლევს გუნდებს! მაგალითად, „ფერარიმ" სერიის პოპულარობის ასამაღლებლად, შესაძლოა, **მიხაელ შუმახერი** დაიყოლიოს დაბრუნებაზე ან მოტოციკლიდან ავტომობილზე გადასვლას **ვალენტინო როსი** ეფექტი გარანტირებულია!

„მაკლარენი" გადაიბირებს **როსბერგს**, „რენო", როგორც იქნა, თავისი ბოლიდის საჭესთან ფრანგ პილოტს დასვამს, „რედ ბული" „ტორო როსოს" **ბუემის** წაართმევს და მეორე გუნდში ნიჭიერი იუნიორების გამოცდის საშუალება მიეცემა, „ტოიოტაც" სიამოვნებით მიმართავს იაპონელი **კობაიასის** სამსახურს. აქ შეიძლება ათასგვარი ვარიანტის განხილვა... მაგალითად, **რონ დენისი**, შესაძლოა, „მაკლარენის" მმართველობას დაუბრუნდეს...

საბურავების მოწოდების მხრივ პრობლემა არ იქნება - მაშინვე „მიშლენი" გამოვა სცენაზე. იქნებ, ფორმულაში დაბრუნება მოისურვოს „გუდიარმა". საბურავების მწარმოებლების ბრძოლა ყოველთვის საინტერესოა.

ტრასები? ბოლო დროს, აქაც არიან ბერნი ექლსტოუნისგან დაჩაგრული ქვეყნები და მათი ტრასები. პილოტებს სიამოვნებით უმასპინძლებენ იმოლა, მონრეალი, მანი-კური, სილვერსტოუნი, A1-რინგი, ჰოკენჰაიმი, ინდიანაპოლისი - რით არის ცუდი არჩევანი? ეს ჯგუფი არაფრით ჩამოუვარდება იმას, რომელიც ლეგალურ ჩემპიონატს მოემსახურება.

პირველ ხანებში ყველა გუნდი გაძლებს ძლიერი სპონსორების მხარდაჭერის გარეშე, შემდეგ კი თანდათანობით მოეწერება ხელი ახალ სატელევიზიო კონტრაქტებს... მეთოდურად აუხსნიან პოტენციურ პარტნიორებს, თუ სად უნდა იპოვონ ნამდვილი ფორმულა 1? ხოლო ჩემპიონატის ჩატარებიდან მიღებულ მოგებას გუნდები თანაბრად გაინაწილებენ და არ მოუწევთ ხარბი ექლსტოუნისთვის ფულის გაყოფა.

მოკლედ, ასეთი ფანტასტიკური სურათი მივიღეთ და „მეკობრული" ვერსია ოფიციალურზე გაცილებით მომხიბვლელად გამოიყურება. რა თქმა უნდა, მოვლენათა ამგვარი განვითარება ნაკლებად დასაჯერებელია, მაგრამ ასეთი ფანტაზიები ნათლად გვიჩვენებენ, რამდენად სერიოზული კოზირები აქვთ ხელთ გუნდებსა და მაქს მოსლის.

### ლიცენზირებული ფორმულა 1

**გუნდები:** ბრაუნი, უილიამსი, ჯორდანი, მინარდი, პროდრაივი, ფორს ინდია, USGPE, სტოდარტი, აი-სპორტი, ლაიტსპიდი, USGPE-2;

**ძრავები:** კოსუორტი, ილმორი;

**საბურავები:** ბრიჯსტოუნი;

**მთავარი ტრასები:** სპა, მონცა, სუზუკა, ნიურბურგრინგი, სეპანგი, ჰუნგარორინგი.

### მეკობრული ფორმულა 1

**გუნდები:** ფერარი, მაკლარენი, BMW-ზაუბერი, რენო, რედ ბული, ტოიოტა, ტორო როსო;

**ძრავები:** ფერარი, მერსედესი, BMW, რენო, ტოიოტა;

**საბურავები:** მიშლენი, გუდიარი;

**მთავარი ტრასები:** იმოლა, სილვერსტოუნი, ინდიანაპოლისი, ჰოკენჰაიმი, მანიკური, მონრეალი.

# ნიკოლი ოჯახზე დაფიქრდა



ფორმულა 1-ის მოქმედი ჩემპიონი, ბრიტანელი **ლუის ჰემილტონი** და მისი გერლფრენდი, ჯგუფ Pussycat Dolls-ის სოლისტი **ნიკოლ შერცინგერი**, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში აპირებენ დაქორწინებას. ყოველ შემთხვევაში, ნიკოლი ბოლო პერიოდში ხშირად ლაპარაკობს ამ თემაზე.

*„შევქმნი თუ არა ოჯახს? რა თქმა უნდა, - განაცხადა Hello!-სთვის მიცემულ ინტერვიუში ნიკოლმა. - მაგრამ იმისთვის, რომ ქორწილი შედგეს, თავიდან შესაბამისი წინადადება უნდა გაკეთდეს. მაგალითად, ივლისის ბოლო ამისთვის ზედგამოჭრილი დრო იქნებოდა. ალბათ, ასეც მოხდება".*

საინტერესოა, გამოიცნობს თუ არა თავისი შეყვარებულის სურვილს ლუის ჰემილტონი?

*„ქორწილი სიყვარულის ნიშანია, - აგრძელებს ნიკოლი. - ჩემს სოლო ალბომში არის სიმღერები, რომლებშიც ნათლად ჩანს, თუ რას ნიშნავს ჩემთვის ქორწინების პროცესი და ყველაფერი, რაც მას უკავშირდება.*

*მე მიყვარს ლუისი. მიყვარს ისე, როგორც ამას ჩემს სიმღერებში გადმოვცემ და ჩემს კლიპებში ვაჩვენებ. მაგრამ არ მინდა ერთ-ერთი იმ თოჯინათაგანი გავხდე, რომლებიც მრავლად ტრიალებენ მის გარშემო. თუმცა ჩემი აზრით, მას მოსწონს ვარსკვლავის სტატუსი".*

ჩოგბურთი

# მისტერ ეისმა ცოლი მოიყვანა



ლეგენდარული ხორვატი ჩოგბურთელი **გორან ივანიშევიჩი** დაოჯახდა. მან, როგორც იქნა, ოფიციალურად გააფორმა ურთიერთობა თავის ძველ მეგობართან, ცნობილ მოდელ **ტატიანა დრაგოვიჩთან**.

ჯვრისწერის ცერემონია კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-პედროში გაიმართა, სადაც „მისტერ ეისი" (ივანიშევიჩის მეტსახელი) ბოლო თვეების განმავლობაში ცხოვრობს. ქორწილი საკმაოდ მოკრძალებული იყო - მას სულ 30 ადამიანი დაესწრო.

გორანი და ტატიანა 10 წელია ერთად ცხოვრობენ და ორი შვილიც ჰყავთ - 5 წლის ქალიშვილი **ამბერი** და წლი-ნახევრის ვაჟი - **ემანუელი**. მათი ქორწილი მხოლოდ ფორმალობა იყო.

შეგახსენებთ, რომ ATP-ის ტურში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოწოდების მფლობელმა ივანიშევიჩმა კარიერა ხუთი წლის წინ დაასრულა. მის ყველაზე დიდ გამარჯვებად 2001 წელს უიმბლდონის მოგება ითვლება.

# ფერარიმ რეკორდი დაამხო

ახალ რეკორდს სისწრაფესთან კავშირი არ აქვს. საქმე მანქანის ღირებულებას ეხება. ორი დღის წინ, 1957 წლის გამოშვების Ferrari 250 Testa Rossa სარეკორდო თანხად - 9 მილიონ ევროდ (16,2 მილიონი დოლარი) გაიყიდა. გარიგება იტალიის ქალაქ ფიორანოში შედგა.

„ფერარის" გაყიდვის წინა რეკორდი 7.04 მილიონ ევროს შეადგენდა. სწორედ ასეთი თანხა გადაიხადეს 1961 წლის მოდელში (250 GT California Spider), რომელიც ჰოლივუდის ვარსკვლავ **ჯეიმს ქობურნს** ეკუთვნოდა. რაც შეეხება Testa Rossa-ს, ის ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის რბოლებში მონაწილეობდა.



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

